Ismailov, E., & Papava, V. (2012). Central Eurasia: A New Geopolitical Understanding. Tbilisi, Intellect Publishing House. (In Georgian).

Keynes, J. M. (2017). *The economic Consequences of the Peace*. Routledge.

Kozak, Y., Shengelia, T., & Ierokhin, S. (2017). Essentials of International finance: Questions & Answers. Tbilisi: Publishing House Universal.

Mekvabishvili, E. (2016). Unity of Globalization and Modernization – The Modern Economic Development Paradigm. *Globalization & Business*. (In Georgian).

Mekvabishvili, E. (2018). The Financial Crisis of the Globalization Era and the Economy of Georgian. Tbilisi. (In Georgian).

Movsesian, A. G., & Ognivtsev, S. B. (2003). World Economy: A Textbook. *Moscow: Finances and Statistics*. (In Georgian).

Papava, V. (2015). Necroeconomics of Post-soviet PostIndustrialism and the Model of Economic Development of Georgia and Russia.

Papava, V. (2016). Globalization, the European Union and Georgia. *Globalization & Business*. (In Georgian).

Shengelia, T. (2015). Terrorism, as Socio-Political Phenomenon and Impeding Factor for Global Business. *Ecoforum Journal,* 4 (2).

Shengelia, T. (2016). Corruption on as Social Phenomenon and Determinant of Global Business. *Globalization & Business*. (In Georgian).

Silagadze, A. (2014). Integration Economic Indicators of the EU and Some Issues of Development of Post-Soviet Countries–New Associate Members of the EU. *Revista Moldovenească de Drept Internațional și Relații Internaționale.* 3, 78-83.

Silagadze, A., & Atanelishvili T. (2011). The Potential of the Agrarian Sector of Georgia–Priorities of the Sustainable Development of Agriculture. Tbilisi, TSU, 418-419.

Silagadze, A., & Atanelishvili, T. (2010). Some Questions of Economic Doctrines in Georgia. Moscow, *Vzfei*, 51.

Silagadze, A., & Zubiashvili, T. (2016). Georgia›s Economy against the Background of the Associate Agreement with the European Union. *International Journal of Business and Management Studies,* 5(2), 533-540.

Silagadze, A., Tvalchrelidze, A., Zubiashvili, & T., Atanelishvili, T. (2016). Aspects of China›s economic Development. Ecoforum 5 (1).
Sintserov, L. M. (2000). Long Waves of Global Integration. *Mirovaya Ekonomika I Mezhdunarodnyye Otnosheniya*, (5), 56-64.
Tvalchrelidze, A., & Silagadze, A. (2013). Macroeconomic Model for Oil-Exporting Countries. *Central Asia and the Caucasus*, *14*(4), 118-144.
Veshapidze, Sh. (2020). Religion and National Values in Georgia. In *World Economy and International Economic Relations*, 3, 33-36.
Veshapidze, Sh., & Mchedlishvili, Z. (2020). From Ilia Chavchavadze's Economic Views: Competition, Private Property and International Trade. *Ecoforum Journal*, *9*(2).
Veshapidze, Sh., & Zoidze, G. (2021). Institutional Evolution of Higher Education in Georgia. *The New Economist*, *16*(2), 1-1. DOI: 10.26399/meip.2(69).2020.10/g.zoidze. (In Georgian).
Veshapidze, Sh., & Zubiashvili, T. (2020). About the Origins of Modern Geoeconomic Foundations of Georgia. *Ecoforum Journal*, *9*(2).
Veshapidze, Sh., Chiabrishvili, K., Zubiashvili, T., & Zoidze, G. (2021). On The Relationship between Education and Economic Security. *Ecoforum Journal*, *10*(3).
Veshapidze, Sh., Darbaidze, M., & Beridze, T. (2016). Euro-Atlantic Values: What Tie up Us.
Zoidze, G. (2020). Georgian Agro-Sphere Development Priorities and Ways of Carrying out Some Improvements. *Myśl Ekonomiczna i Polityczna*, 2 (69), 55-71.
Zoidze, G., & Tkhilaishvili, G. (2021). Prospects of Intermodal Transportation and Logistics Channels Development for Georgia. In *Proceedings of 25th International Scientific Conference. Transport Means.*
Zubiashvili, T. (2012). Educational and Labor Emigration of Youth from Georgia. The book: Youth Employment: Challenges and Opportunities. *The West University of Timisoara, Romania. Eurostampa*, 317-327.
Zubiashvili, T., & Veshapidze, Sh. (2019). Labour Emigration and Employment in Georgia. *Humanities and Social Sciences Review*, *9*(01), 127-136.

JEL Classification: R23, J24, I23. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.004

SURVEY OF HIGHER EDUCATION INSTITUTIONS INVOLVEMENT IN THE REGIONS OF GEORGIA IN THE CONTEXT OF GRADUATE EMPLOYMENT

NATELA TSIKLASHVILI

Doctor of Economics, Professor

Batumi Shota Rustaveli State University, Georgia

natia.tsiklashvili@bsu.edu.ge

TAMARI POLADASHVILI

PhD Student

Batumi Shota Rustaveli State University, Georgia

tamari.poladashvili@bsu.edu.ge

Abstract. Reforms in the field of education have been going on for almost 30 years since Georgia gained its independence. During the period, numbers of ministers and heads of educational institutions were replaced. Unfortunately, the subject of graduate employment remains an unresolved issue. Higher education institutions (HEIs) are crucial in training qualified graduates and employing them according their profession.

The given paper presents the qualitative analysis of Higher Education Institutions involvement in the context of graduate employment. The study involves all accredited universities and teaching universities located in the regions of Georgia by January 2020, which had at least first-generation of graduates. This approach determines the reliability and validity of the study. Hence, the research encompasses 4 universities and 6 teaching universities located in the regions of Georgia.

The aim of the research is to evaluating the current conditions of HEIs in relation to labor market stakeholders, determine the problems and challenges in regards of graduates' employment by profession. Analyze the functions of career services and outline the aspects that create horizontal and vertical unemployment of graduates.

The presented article is one of the first academic attempt that examines region based Higher Educational Institutions by qualitative research method, using interview technique. Therefore, its scientific and practical significance is important in terms of the developing regional and then national higher educational environment.

KEYWORDS: HIGHER EDUCATION; EMPLOYMENT; GRADUATE COMPETITIVENESS; HIGHER EDUCATION INSTITUTIONS LOCATED IN THE REGIONS OF GEORGIA.

For citation: Tsiklashvili, N., Poladashvili, T. (2021). Survey of Higher Education Institutions Involvement in the Regions of Georgia in the Context of Graduate Employment. *Globalization and Business.* 12, 37-44. (In Georgian). https://doi.org/10.35945/gb.2021.12.004

JEL Classification: R23, J24, I23. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.004

საქართველოს რეგიონებში მდებარე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობის კვლევა კურსდამთავრებულთა დასაქმების ჭრილში

ნათელა წიკლაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
natia.tsiklashvili@bsu.edu.ge

თამარ ფოლადაშვილი

დოქტორანტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
tamari.poladashvili@bsu.edu.ge

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი განათლება, დასაქმება, კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა, საქართველოს რეგიონებში მდებარე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

ციტირებისთვის: წიკლაშვილი, ნ., ფოლადაშვილი, თ., (2021). საქართველოს რეგიონებში მდებარე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობის კვლევა კურსდამთავრებულთა დასაქმების ჭრილში. *გლობალიზაცია და ბიზნესი.* 12, 37-44. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.004

შესავალი

კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პრიორიტეტული ამოცანაა, ვინაიდან სწორედ კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობით და დასაქმების მაჩვენებლის შესწავლის გზით ხდება უმაღლესი განათლებით მიღებული სწავლის შედეგების შეფასება და უმაღლესი განათლებიდან მიღებული ამონაგების კოეფიციენტის განსაზღვრა (Blagg & Blom, 2018; Hailemariam , 2018; Amashukeli, et al., 2017; Mincer, 1974).

ლიტერატურის შესწავლისას გამოიკვეთა რამდენიმე მოსაზრება უმაღლეს განათლებასა და შრომის ბაზრის ურთიერთდამოკიდებულებასთნ მიმართებაში. მათ შორის მკვლევრები (Sala, et al., 2007) განიხილავენ ურთიერთმიმართების ორ მოდელს: დამოკიდებულება და ავტონომიურობა. დამოკიდებულების მოდელი ითვალისწინებს კურსდამთავრებულთა საგანმანათლებლო პროფილს და პროფესიით განსაზღვრული კომპეტენციების შესაბამისობას შრომის ბაზარზე, ავტონომიურობის მოდელის თანახმად კი, კურსდამთავრებულები უნდა ფლობდნენ ისეთ უნარებს, რომელიც მისცემს მათ საშუალებას, ცვალებად გარემოში სწრაფად ადაპტირდნენ და მოერგონ შრომის ბაზარზე წარმოშობილ ახალ მოთხოვნებს ("successive and flexible adjustments").

შრომის ბაზრის ანალიზისას, მკვლევარები ყურადღებას ამახვილებენ დაბალკვალიფიციური კადრების ჭარბ მიწოდებაზე, რომელიც ქმნის მოთხოვნა — მიწოდების დისბალანსს (Bregvadze, 2013; Amashukeli & Lezhava, 2015; Kakulia,et al., 2016). უმუშევართა სტრუქტურის განხილვისას დაუსაქმებელი ადამიანების დიდი წილი სწორედ ახალგაზრდებზე მოდის (Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, 2019; 2020). ამდენად, მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ თეორიული მასალის კვლევის კონტექსტში განგვეხილა კურსდამთავრებულთა კომპეტენციები საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებაში.

ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის სრული სურათის წარმოსაჩენად ჩვენ ქრონოლოგიურად განვიხილეთ რამდენიმე ეროვნული დოკუმენტის ანგარიში:

განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტმა (2013) ჩაატარა უმაღლესი განათლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული მიმართუ-

ლების მიხედით, მათ შორის მე-5 კომპონენტს წარმოადგენს — უმაღლესი განათლება და დასაქმება. კვლევის ძირითადი დასკვნების თანახმად, უმაღლესი განათლების მქონე პირთა შორის, საკუთარი სპეციალობით 60% მუშაობს, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნის მასშტაბით უმაღლესი განათლების მქონე პირთა მხოლოდ მეოთხედი მუშაობს საკუთარი სპეციალობით; ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებისგან განსხვავებით მაგისტრანტების დასაქმება სპეციალობით მნიშვნელოვნად მაღალია; ამის მიუხედავად, გამოკითხულ დამსაქმებელთა ნახევარს მიაჩნია რომ კურსდამთავრებულების კომპეტენციები არ შეესაბამება მათ მიერ წაყენებულ მოთხოვნებს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა „შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა" (2015). ანგარიში მოიცავს ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში დასაქმებულ ობიექტებს გეოგრაფიული არეალის მიხედვით, სულ 6 000 ორგანიზაცია. კვლევის თანახმად, კომპანიები განიცდიან კვალიფიციური კადრების ნაკლებობას. მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებულებს შორის 49% უმაღლესი განათლების მქონე ადამიანია. მინიმალური საკვალიფიკაციო დონის მოთხოვნის მიხედვით დასაქმებულებს შორის მეორე ადგილზე 32%-ით მოდის საშუალო განათლების მქონე პირების კატეგორია. აღნიშნული შეუსაბამობა ცალსახად მიუთითებს, რომ ქვეყანაში შეინიშნება დაბალი საკვალიფიკაციო დონის მოთხოვნის მქონე სამუშაო ადგილების სიმრავლე.

კვლევაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტის პოვნა შეიძლება, დამსაქმებლები სამუშაო ძალის მოძიების პირველ სამ ყველაზე გავრცელებულ წყაროებად ასახელებენ: ა) არაფორმალურ კავშირებს; ბ) ინტერნეტს; გ) მსგავსი პროფილის ორგანიზაციისადმი მიმართვას და რეკომენდაციების გათვალისწინებას. აღნიშნულ ჩამონათვალში მხოლოდ მე-7 ადგილზე მოდის ადგილობრივ უნივერსიტეტებთან მიმართვა კადრების მოძიების მიზნით. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დამსაქმებლების მოლოდინები კვალიფიკაციური კადრების მოძიებასთან მიმართებაში მცირედ ან თითქმის არ უკავშირდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ((Ministry of Labor, Health and Social Affairs of Georgia, 2015). სოციალურ მეცნიერებათა ცენტრმა (2015) გამოაქვეყნა „აკადემიური პროგრამების შედეგებსა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს შორის შესაბამისობის კვლევა". ანგარიში მოიცავს ორ სახელმწიფო და ორ კერძო უნივერსიტეტს. გამოიკითხნენ როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სტუდენტები. ანგარიშის მიხედვით რესპოდენტების 61% არ მუშაობს საკუთარი პროფესიით. საკუთარი პროფილით დასაქმებული რესპოდენტების 70%-ს მიაჩნია, რომ მათი ამჟამინდელი სამუშაო მოითხოვს უფრო მეტ ცოდნას და უნარებს, ვიდრე მათ მიიღეს უნივერსიტეტში სწავლის შედეგად. თუმცა ოთხივე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები უნივერსიტეტის როლს მათ პროფესიულ განვითარებაში პოზიტიურად აფასებენ.

რესპოდენტები დასაქმების ხელისშემშლელ ფაქტორებში ასახელებენ — სამუშაო ადგილების სიმცირეს და ნეპოტიზმს, ყველაზე ნაკლებად შემაფერხებელ ფაქტორად კი მიიჩნევენ სქესს, ასაკს, არასათანადო/არასაკმარისი ტრანსფერული უნარების ქონას და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების სიმცირეს (Center for Social Sciences, 2015). კვალიფიკაციის და კომპეტენციის ნაკლებობა ასევე განხილულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (2017) მიერ ჩატარებულ კვლევაში „საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი". კვლევა ყურადღებას ამახვილებს ორი მიმართულებით: 1) უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდებს შრომის ბაზარზე უჭირთ თავის დამკვიდრება, ვინაიდან არ არის მოთხოვნა მათ მიერ ათვისებულ პროფესიაზე ან/და 2) მიღებული კვალიფიკაცია ვერ პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ანგარიშის თანახმად, ამ კატეგორიაში ყველაზე დიდი წილი მოდის ფრიქციულ უმუშევრობაზე, რადგანაც ახალგაზრდებს მეტი დრო სჭირდებათ სამუშაოს მოსაძიებლად.

სამინისტროს მიერ ამავე წელს გამოქვეყნდა „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის სტატისტიკური გამოკვლევის ანგარიში" (2017). დოკუმენტის თანახმად, საწარმოებმა საშუალოზე ნაკლებად შეაფასეს დასაქმებულთა ICT უნარები, ლიდერობის, ინფორმაციის გაცნობის, ანალიზის, გადმოცემის და ახალი ინფორმაციის შეძენის ნიჭი. ეს მიგნება იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც ამავე დოკუმენტის თანახმად დასაქმებულთა 56%-ს (442 203) მოქალაქეს აქვს უმაღლესი განათლება.

განხილულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურსდამთავრებულებსა და შრომის ბაზრის წარმომადგენლებს შორის არის ერთგვარი ჩატეხილი ხიდი, ვინაიდან დამსაქმებლების შეფასებას, რომ კურსდამთავრებულები არასათანადო დონეზე ფლობენ ტრანსფერულ და პროფესიულ კომპეტენციებს, არ იზიარებენ უშუალოდ სამუშაოს მაძიებლები. უმუშევრები თვლიან, რომ შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა განაპირობებს მათ უმუშევრობას. კერძოდ: ნეპოტიზმი, სამუშაო ადგილების სიმცირე და სხვ.

რეგიონებში მდებარე უსდ-ებში (უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში) კვლევის ჩატარებით, ჩვენ ერთი მხრივ გავაანალიზებთ მათ ამჟამინდელ მდგომარეობას შრომის ბაზართან მიმართებაში, კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის შეფასების კონტექსტში, ღრმად შევისწავლით არსებულ გამოწვევებს და გავაანალიზებთ პრობლემების დაძლევის პერსპექტივებს; მეორე მხრივ კი თავად უსდ-ებისგან მივიღებთ პირველად ინფორმაციას, თუ როგორ ახორციელებენ კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობას საგანმანათლებლო დაწესებულებები, რეალურად არსებობს თუ არა ქმედითი ღონისძიებები კურსდამთავრებულთა დასაქმების სტიმულირებისთვის და სხვა.

კვლევის მეთოდოლოგია

საქართველოს რეგიონეში მდებარე ავტორიზებული უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულებებთან განხორციელდა თვისებრივი კვლევა სიღრმისეული ინტერვიუს ფორმატით. სოციალური პრობლემის შესასწავლად თვისებრივი მეთოდი იძლევა ღრმა და ყოვლისმომცველ ინფორმაციას (Haradhan, 2018; Tsuladze, 2020). წინამდებარე კვლევაში ჩართული იყო 2020 წლის იანვრისთვის საქართველოს რეგიონებში მდებარე ყველა აკრედიტირებული უნივერსიტეტი და სასწავლო უნივერსიტეტი, რომელთაც ჰყავდათ მინიმუმ პირველი თაობის კურსდამთავრებული. აღნიშნული მიდგომა განაპირობებს კვლევის სანდოობას და ვალიდურობას. უმაღლესი საგანმანათლებლო უნივერსიტეტებისა და სასწავლო უნივერსიტეტების შერჩევის კრიტერიუმები არის შემდეგი:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფიული მდებარეობა;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების თარიღი.

სასწავლებლის მიზნებიდან გამომდინარე კვლევაში არ ჩაერთო ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს რეგიონების მასშტაბით კვლევაში ჩაერთო სულ: 4 უნივერსიტეტი და 6 სასწავლო უნივერსიტეტი.

ჩვენს რესპოდენტებს სხვადასხვა ინსტიტუციაში წარმოადგენდნენ კვლევის შინაარსთან დაკავშირებული კომპეტენტური თანამშრომლები, მათ შორის: ვიცე რექტორები, ხარისხის სამსახურის უფროსები, კარიერული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელები და სხვა.

კვლევის შედეგები და დისკუსია

კვლევაში მონაწილე უსდ–ების აბსოლუტურ უმრავლესობას გავლილი აქვს ავტორიზაცია და პროგრამული აკრედიტაცია. შესაბამისად, მათ აქვთ უფლება, საქართველოში განახორციელონ სხვადასხვა საფეხურის სასწავლო პროგრამები: საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები. სასწავლო უნივერსიტეტები ოპერირებენ მხოლოდ საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე.

ქვეყნის მასშტაბით უსდ–ების კურსდამთავრებულთა რაოდენობა წლიურად საშუალოდ 15000–დან — 20000–მდე მერყეობს. კურსდამთავრებულთა დასაქმება კი მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. შრომის ბაზრის წლიური კვლევა არის ერთ–ერთი მთავარი ინსტრუმენტი, რითიც უსდ–ებს შეუძლიათ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისას იხელმძღვანელოს.

ჩვენ დავინტერესდით რამდენად ხშირად ატარებენ უსდ–ები ყოველწლიურ შრომის ბაზრის კვლევას. რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს რომ ამ პროცესს რეგულარულად ახორციელებენ.

კითხვაზე: „სასწავლო პროგრამების დაგეგმვისას, ითვალისწინებთ თუ არა შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს ან/და თქვენი კურსდამთავრებულების დამსაქმებელი ორგანიზაციების მოთხოვნებს? თუ კი, გთხოვთ მოკლედ აღწეროთ როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი?“.

რესპოდენტების პასუხები მეტად მრავალმხრივი აღმოჩნდა.

„იმართება პერიოდული შეხვედრები კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებელთან და მათთან ერთად განიხილება პროგრამების განახლება, ან/და ახალი პროგრამების შემუშავება“

„ვაწარმოებთ გამოკითხვისა და შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიების შესწავლის ანალიზს, გააჩნია პროგრამის სპეციფიკასაც“

„უნივესიტეტში შექმნილია სტუდენტთა კარიერული წინსვლის სამსახური, რომელიც სტუდენტთა დასაქმების შესახებ ინფორმაციას აგროვებს, ასევე გვაქვს ხშირი შეხვედრები დამსაქმებელთან და ვითვალისწინებთ მათ მოთხოვნებს“

„...სახელშეკრულებო პირობებით თანამშრომლობს დამსაქმებელ კომპანიებთან, რომლებიც საქართველოში უშუალო დამსაქმებლის არარსებობის გამო, ასრულებენ შუამავლის ფუნქციას. შუამავალი (საკრუინგო) კომპანიები ჩართულნი არიან ყველა ძირითად პროცესში, აფასებენ კურსდამთავრებულთა შესაბამისობას საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, გამოთქვამენ მოსაზრებებს პროგრამის მოდიფიცირებასთან დაკავშირები და უშუალოდ მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესის შეფასებაში“

„გახშირდა შემთხვევები, როდესაც კურსდამთავრებულებიც და დამსაქმებელი ორგანიზაციებიც მონაწილეობენ ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში. ამის გარდა, ისინი ყოველთვის არიან წარმოდგენილნი პროგრამის აკრედიტაციისა და უნივერსიტეტის ავტორიზაციის პროცესში და ხვდებიან ექსპერტებს. ხშირ შემთხვევაში, დამსაქმებლები მონაწილეობენ პროგრამების შუალედური ანგარიშების წარმოდგენისა და მათში ცვლილებების განხილვის პროცესში“

„დიახ, ითვალისწინებს, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებიც ამას მოითხოვს“

„დამსაქმებელთან კომუნიკაციაშია პროგრამის ხელმძღვანელი, ასევე ეგზავნება დამსაქმებელს კითხვარი და იმართება შეხვედრები, რომელთა საფუძველზე სწავლის შედეგების შემუშავება–კორექტირება ხდება“

რესპოდენტთა პასუხების ანალიზით ირკვევა, რომ ფინანსური რესურსები რომელიც მობილიზებული უნდა იყოს შესაბამისი რაოდენობრივი თუ თვისებრივი კვლევების ჩასატარებლად არის მიზერული, შესაბამისად შესაძლებლობის მიხედვით ატარებენ აღნიშნულ კვლევას. აქვე გამოიკვეთა ტენდენცია, რომ უსდ–ებისთვის შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი ხშირად უფრო ფასადური ხასიათისაა, ვიდრე შინაარსობრივი დატვირთვის, ვინაიდან ეს ავტორიზაციისა და

აკრედიტაციის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა. ამის თქმის საშუალებას იძლევა კიდევ ის გარემოება, რომ კვლევაში მონაწილე მხოლოდ ცალკეული უსდ-ების ვებ გვერდზე იძებნება შრომის ბაზრის კვლევა და კვლევის შედეგები, ზოგიერთ შემთხვევაში კი კვლევა არ არის რეპრეზენტატული.

საქართველოს რეგიონებში მდებარე უსდ-ების უმეტესობა ორიენტირებულია მხოლოდ საქართველოს მასშტაბით კონკურენტუნარიანი კადრის წარმოებაზე. თანამედროვე ცხოვრებაში, გლობალიზაციის წყალობით, თითქმის არ არსებობს ბარიერები და საზღვრები კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ აქვთ თითქმის თანაბარი შესაძლებლობები მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში სასურველი მიმართულებით დასაქმდნენ, თუკი აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და კვალიფიკაცია.

მიმდინარე კვლევის ფარგლებში, მხოლოდ ერთი ინსტიტუცია აღნიშნავს, რომ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე ისინი სისტემატურად აწარმოებენ შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიების შესწავლის ანალიზს და გვევლინებიან როგორც შუამავალ აქტორად კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებელ კომპანიებს შორის, როგორც ქართულ ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე. შესაბამისად, თანამშრომლობენ არაერთ საკრუინგო კომპანიასთან.

ცხადია, რომ უსდ, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო შრომის ბაზრის მონაწილეებთან, იძენს მეტ პერსპექტივებსა და შესაძლებლობებს, დაასაქმოს მის მიერ მომზადებული კადრები როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რაც ცალსახად დადებითად აისახება უსდ-ს ხარისხსა და სამომავლო პერსპექტივებზე.

კითხვაზე: ითვალისწინებს თუ არა თქვენი საგანმანათლებლო პროგრამები სტაჟირებას? ა) თუ კი, გთხოვთ დაგვიწეროთ 3 ორგანიზაცია, რომელთანაც ყველაზე ხშირად თანამშრომლობთ სტუდენტთა სტაჟირების თვალსაზრისით. ბ) თუ არა, გთხოვთ ახსნათ ამის განმაპირობებელი მიზეზები.

გამოკითხული რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ ძირითად დასაქმების სფეროს წარმოადგენს სამოქალაქო სექტორი, იუსტიციის სახლები, ბანკები და მიკროსაფინანსო ინსტიტუტები, სადაზღვევო კომპანიები, ნავსადგურების მენეჯმენტისა და ლოგისტიკის ოფისები. ტურიზმის მიმართულებით აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი, სასტუმროები, მუზეუმები და სხვა.

ცალკეული უსდ-ები აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტის მრავალფეროვნებისა და პროგრამული სიუხვის გათვალისწინებით სტაჟირების და პრაქტიკის ობიექტები ძალიან ბევრია. ამასთან, სტაჟირება არ არის სავალდებულო კომპონენტი უნივერსიტეტის პროგრამისთვის. პრაქტიკა კი ყველა პროგრამის ნაწილია.

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციების ფართო სპექტრია წარმოდგენილი, ჩვენ ვთხოვეთ დაესახელებინათ კონკრეტული დაწესებულებები, რომელზეც უსდ-ების წარმომადგენლები თავს იკავებენ და უფრო ზოგადი დახასიათებით შემოიფარგლებიან.

ასევე აღნიშნავენ, რომ ზოგიერთ დაწესებულებაში პრაქტიკა უფრო ფასადური ხასიათისაა ვიდრე შინაარსობრივი.

რესპოდენტები ერთხმად გვეთანხმებიან, რომ უნივერსიტეტებისთვის უმნიშვნელოვანესია საჯარო და კერძო სექტორის დამსაქმებლებთან ურთიერთკავშირი, მაგრამ არ მიმდინარეობს ამის ხარისხობრივი კონტროლი. შესაბამისად ბევრი კითხვა რჩება პასუხგაუცემელი, კერძოდ:

- უშუალოდ რას აკეთებენ პრაქტიკანტები ადგილზე?
- კონკრეტულად რა შედეგებზე გადიან სტუდენტები ამ პროგრამით?
- ეხმარებათ თუ არა მიღებული შედეგები შემდგომ სამუშაოს მოძიებაში?
- არსებობს, თუ არა კვლევა სტუდენტების რამდენი პროცენტი საქმდება მის მიერ გავლილი პრაქტიკის პროგრამის მიმართულებით?
- არსებობს თუ არა სტუდენტთა დასაქმების ხელშემწყობი სხვა კომპონენტები? და სხვა.

ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ კითხვებისა, რომელიც წარმოიშვება უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის ან/და სხვა მომიჯნავე საკითხის კვლევისას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილება და პრაქტიკა ამ მიმართულებით ძალიან განსხვავებულია. უპირველესად, უსდ-ები აქტიურად თანამშრომლობენ ინდუსტრიულ მწარმოებლებთან, კონსალტინგურ ორგანიზაციებთან, საბანკო, საინჟინრო და ტექნოლოგიურ ოფისებში და სხვა. ასევე პარტნიორული ურთიერთობები აკავშირებთ ევროპულ და აზიურ კომპანიებთან, რომლებიც უშუალოდ რეგიონში ოპერირებენ. სასწავლო პროგრამები ისეა დაგეგმილი, რომ სტუდენტებს სწავლის მანძილზე რამდენიმე სხვადასხვა ორგანიზაციაში და პოზიციაზე უწევთ სტაჟირება, შესაბამისად მათ აქვთ შესაძლებლობა მოსინჯონ ძალები სხვადასხვა მიმართულებით, რაც სამომავლოდ ეხმარებათ, სწორად კონცენტრირდეს სამუშაო სპეციფიკასთან მიმართებაში (Stringer, et al., 2011; Ali & Jalal, 2018).

კითხვაზე: გააჩნიათ თუ არა ინსტიტუციას მემორანდუმები საქართველოში მოქმედ უცხოურ კომპანიებთან? დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ დაასახელოთ რამდენიმე მათგანი.

რესპოდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მსგავსი მიმართულებით სამწუხაროდ ვერ ახერხებენ თანამშრომლობას. აქვთ მემორანდუმები უშუალოდ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სადაც ახორციელებენ სტუდენტთა მობილობებს კრედიტების აღიარების გზით, თუმცა არა სტაჟირების თვალსაზრისით. ამ მიმართულებით ერთადერთი საიმედო მიმართულება აღმოჩნდა სასწავლო

უნივერსიტეტები, რომლებიც გემთწამყვანის, ნავიგაციისა და ლოგისტიკური მიმართულებებით მუშაობას ასახელებენ. უსდ–ების ინფორმაციით მათი კურსდამთავრებულების დამსაქმებლები უცხოური გემთმფლობელი კომპანიები არიან.

კითხვაზე: აქვს თუ არა ინსტიტუციას კარიერული განვითარების/დასაქმების ცენტრი და როგორ ეხმარება სტუდენტებს სტაჟირების ან/და სამუშაო ადგილის მოძიებაში?

უსდ–ების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ კარიერული სამსახურების შექმნა დღის წესრიგიდან იმპლემენტაციის ეტაპზე გადავიდა.

„კარიერის განვითარების ცენტრი პირველ რიგში სტუდენტებს აძლევს კარიერულ განათლებას, ატარებს მათთვის კარიერის მართვის ტრენინგ–კურსებს, სემინარებს კარიერასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე. ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან, აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას ვაკანსიებთან დაკავშირებით, უწევს რეკომენდაციას და ეხმარება დამსაქმებელთან ურთიერთობაში“

„...მოქმედებს პრაქტიკისა და დასაქმების სამსახური, რომელიც მუშაობს პოტენციურ დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან. ქმნის კურსდამთავრებულთა ბაზებს, მუშაობს სტუდენტებთან პირადი დოკუმენტაციის შედგენისა და საკუთარი თავის წარდგენის, საზოგადოდ მიღებულ წესებზე; აგროვებს ინფორმაციას კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდისა და პროფესიონალური საქმიანობის შესახებ“

„არა, სტრუქტურულად არ გვაქვს“

„სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა ბაზების წარმოების კოორდინატორი ახდენს სტუდენტების ინფორმირებას შრომის ბაზრის შესაძლებლობებისა და პერსპექტივების შესახებ ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციების საშუალებით. პროფესიული ორიენტაციის, საკუთარი განათლებისა და კარიერის დაგეგმვის, სამუშაოს ძიების პროცესისათვის საჭირო დოკუმენტების მომზადების საკითხებზე, ხელშეწყობას სტუდენტებისათვის პოტენციურ დამსაქმებლებთან ურთიერთობაში, მათთან საქმიანი ურთიერთობის წარმოებას და მემორანდუმების გაფორმებას უნივერსიტეტის არსებული სტუდენტების სტაჟირების/დასაქმების მიზნით“

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, ჩვენ მიერ 5 წლის წინ წარმოებულ კვლევაში, სადაც შესწავლილ იქნა უსდ–ების ვებ გვერდები, სტრუქტურა, ხედვა და მისია, უსდ–ების უმეტესობას და მათ შორის იმ სასწავლებლებსაც, რომლებიც მდებარეობენ დედაქალაქში, სტრუქტურულად არ ქონდათ კარიერული სამსახურები. 5 წლის ინტერვალით კი 90% უსდ–ებს აქვს კარიერული დაგეგმვისა და განვითარების სამსახურები, რაც ცალსახად მისასალმებელი გარემოებაა.

მეორე საკითხია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. უსდ–ების უმეტესობას აქვს სოლიდური რაოდენობის მემორანდუმები, მათგან დიდი წილი მოდის სხვა პარტნიორ უნივერსიტეტებზე საქართველოში და უცხოეთში. პროცენტულად ნაკლებ წილს იკავებს მემორანდუმები საჯარო თუ კერძო სექტორთან. უნდა აღინიშნოს, რომ მემორანდუმების ამ ნაწილში ხშირად ვხვდებით სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკასთან მიმართებაში ჩამოყალიბებულ შეთანხმებებს. ხშირად მემორანდუმების ინიციატორები სწორედ საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები არიან, თუმცა არსებობს მედალს მეორე და რეალური მხარე. მემორანდუმების უმეტესობა რჩება მხოლოდ შეთანხმებად და უსდ–ები იყენებენ მხოლოდ გაფორმებული მემორანდუმების 20–30%.

ამრიგად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და შრომის ბაზრის წარმომადგენლების შორის ურთიერთობების გაღრმავება, შესაბამისი სწავლა–სწავლებისა და პრაქტიკის დანერგვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მხოლოდ ამ ფორმით იქნება შესაძლებელი მაღალ კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება სასწავლებლის ბაზაზე და მეორე მხრივ მისი მიღება შრომის ბაზარზე.

კითხვაზე: აქვს თუ არა კარიერული განვითარების/დასაქმების ცენტრს ცალკე ბიუჯეტი ისეთი ღონისძიებების დასაგეგმად და განსახორციელებლად, როგორიც არის მაგ: დასაქმების ფორუმი; პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრების ორგანიზება და სხვა.

„არა, უნივერსიტეტში ერთიანი ბიუჯეტიდან ხდება მსგავსი ღონისძიებების დაფინანსება“

„არა, ყველა აღნიშნული აქტივობისთვის უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოფა თანხა“

როგორც კვლევა ცხადყოფს, ჩვენ მიერ გამოკვლეული უსდ–ების 90%–ს არ გააჩნია კარიერული დაგეგმვისა და განვითარების სამსახურებისთვის ცალკეული ბიუჯეტი.

კითხვაზე: საშუალოდ რა სიხშირით ტარდება თქვენს უსდ–ში დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების შეხვედრები?

უსდ–ების 50%–ში მსგავსი აქტივობა არ იგეგმება, უსდ–ების 30%–ში წელიწადში ერთხელ და უსდ–ების 20% წელიწადში ორჯერ ან მეტჯერ.

ირკვევა, რომ მიუხედავად უსდ–ების ენთუზიაზმისა, მოტივაციისა და მონდომებისა, კარიერული სამსახურები სრული დატვირთვით ამუშავდნენ, ეს ამ ეტაპზე შეუძლებელია. რეკომენდებულია, მათ ჰქონდეთ დამოუკიდებელი ბიუჯეტი. სწორად დაგეგმილი ბიუჯეტის წყალობით სამსახურები შეძლებენ ოპტიმალურად დაგეგმონ რესურსები, რათა შეძლონ მათი ფუნქციების ზედმიწევნით შესრულება.

კითხვაზე: როგორ ფიქრობთ, რა განაპირობებს დღეს უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციების კონკურენტუნარიანობას?

რესპოდენტების უმეტესობა, უსდ–ს კონკურენტუნარიანობის მთავარ განმსაზღვრელ კრიტერიუმად ფინანსური მდგრადობა და სტაბილურობა მიაჩნია. მთავარ კრიტერიუმებში ასევე დაასახელეს საგანმანათლებლო პროგრამები და მათი ხარისხი, უსდ–ს ინფრასტრუქტურა და უსდ–ს აკადემიური პერსონალი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კვლევა მთლიანად კონცენტრირებული იყო კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობაზე შრომის ბაზარზე და მათ შემდგომ დასაქმებაზე, სამწუხაროდ არცერთ უსდ-ს არ აღუნიშნავს კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი, როგორც უსდ-დ კონკურენტუნარიანობის განსაზღვრის კრიტერიუმი.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები თითქმის ყოველწლიურად მკაცრდება და უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს უსდ-ებს, მათ შორის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა სწორედ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელია, ფაქტია რომ თავად უსდ-ები მას პრიორიტეტულ მაჩვენებლად ჯერ კიდევ არ განიხილავენ:

- უსდ-ები ერთმანეთთან არ არიან კონკურენციაში კურსდამთავრებულთა დასაქმების თვალსაზრისით;
- უსდ-ები ერთმანეთთან კონკურენციას აწარმოებენ უფრო მეტად სტუდენტთა კონტიგენტის მოზიდვის მიზნით ვიდრე მათზე შემდგომი ზრუნვით: კარიერის დაგეგმვით, განვითარებით, კარიერული ზრდით სხვა.

კითხვაზე: როგორ ფიქრობთ, რა კრიტერიუმების გაძლიერებით გახდებოდა თქვენი ინსტიტუცია უფრო კონკურენტუნარიანი?

რესპოდენტების პასუხები უსდ-ების სპეციფიკიდან გამომდინარე მრავალფეროვანია:

„საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვით და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით“

„უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვით და სადოქტორო პროგრამების შექმნით“

„მატერიალური-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებით“

„დაფინანსების ახალი წყაროების მოძიების გზით“

„აკადემიური განათლების ხარისხის ამაღლებით“

„კვლევითი პროექტების განხორციელებით და უცხოეთის გაცვლითი პროგრამების მოზიდვით“

კვლევის შედეგად მიღებული პასუხები გვარწმუნებს, რომ ინსტიტუციები სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებაზე მუშაობენ, რაც მომავალში ახალ უნარებს შესძენთ კურსდამთავრებულებს, თუმცა პრობლემად რჩება მიმდინარე და გასული პერიოდის კურსდამთავრებულები. ვინაიდან არც ერთ უსდ-ს არ აღუნიშნავს დასაქმების ბაზართან ურთიერთობების გაფართოვება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ უსდ-ებისთვის საჯარო და კერძო სექტორთან თანამშრომლობის და სტუდენტების შემდგომი დასაქმების მხრივ თანამშრომლობის გაძლიერება, არც თუ ისე პოპულარული განაცხადია. შესაბამისად სუსტია კომუნიკაციის ძაფები უსდ-ებსა და შრომის ბაზრის მოთამაშეებს შორის და მის რეალურ შედეგებს ვერ ვიმკით.

კითხვაზე: როგორ ფიქრობთ, თქვენს სფეროში გყავთ თუ არა რეალური კონკურენტები?

რესპოდენტების უმეტესობა თანხმდება, რომ კონკურენტების ძირითადი ნაწილი თავმოყრილია დედაქალაქში. ძალიან იშვიათად განიხილავენ რეგიონულ მოთამაშეებს რეალურ კონკურენტებად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახეზე გვაქვს კონკურენცია რეგიონებში „არა-კონკურენტუნარიან“ მოთამაშეებს შორის.

მცირე ხარისხის კონკურენცია კი უპირატესად გამოხატულია სტუდენტთა კონტიგენტის მოზიდვაში და ეს თითქმის არასოდეს უკავშირდება სტუდენტთა კვალიფიკაციის და პრაქტიკული უნარების ზრდას დასაქმების პერსპექტივით.

კითხვაზე: როგორ ფიქრობთ, რა არის რეგიონში მდებარე უნივერსიტეტების მთავარი გამოწვევა, იმისთვის რომ მოამზადოს დასაქმების ბაზარზე მაღალ კონკურენტუნარიანი კადრები?

რესპოდენტების თქმით, უპირველესი სირთულეები უკავშირდება აკადემიური პერსონალის ნაკლებობას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას და ზოგადად ხარისხიან განათლებას. რესპოდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ მათთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია მატერიალური რესურსები და შესაბამისი დაფინანსება.

„ჩვენი უსდ დამოკიდებულია სახელმწიფო დაფინანსების ოდენობაზე, რაც კანონით არის გათვალისწინებული, მაგრამ დაფინანსება შეუსაბამოა უნივერსიტეტის სტატუსთან და არ არის პროპორციული თბილისის (შესაბამისი დარგის) უნივერსიტეტის დაფინანსებასთან“

უსდ-ების თქმით, პრობლემურია „რეგიონებში არსებული ძლიერი აბიტურიენტების მოზიდვა, ვინაიდან სტუდენტთა დიდი ნაკადი დედაქალაქში გაედინება“.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის ზრდაზე დადებით გავლენას ახდენს უნივერსიტეტის ფინანსური ავტონომიურობა, ადამიანური რესურსების მოზიდვა და მართვა, აკადემიური ავტონომია და ხარისხის ამაღლება, თუმცა, ჩვენ მიერ გამოკითხული რესპოდენტებიდან მხოლოდ ერთმა აღნიშნა დამსაქმებლების ნდობის მოპოვება და მათი შეგნებული ჩართულობა პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში.

კითხვაზე: როგორ ფიქრობთ, სახელმწიფოს მხრიდან შემოთავაზებული რეგულაციები და წესები პროგრამების და სილაბუსების შემუშავებისას, ხომ არ ზღუდავს უმაღლესი საგანამანთლებლო დაწესებულების თავისუფლებას?

გამოკითხული რესპოდენტების 60%-ის განცხადებით, მათი აკადემიური თავისუფლება, სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესებითა და რეგულაციებით არ იზღუდება; 40% კი მიიჩნევს რომ ნაწილობრივ კი, მაგრამ ამას პროცესზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა არ შეუძლია.

დასკვნა და რეკომენდაციები

ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს რეგიონებში მდებარე უნივერსიტეტებისა და სასწავლო უნივერსიტეტების ჩართულობის კვლევა კურსდამთავრებულთა დასაქმების

პროცესში. კვლევამ მოიცვა საქართველოს რეგიონებში მდებარე 4 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და 6 სასწავლო უნივერსიტეტი. თვისებრივი კვლევის შედეგებით შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

- ადგილობრივი შრომის ბაზარზე არსებობს დიდი დისბალანსი კურსდამთავრებულთა რაოდენობასა და დასაქმებას შორის. აღნიშნულ დისბალანსს ხელს უწყობს კვლევების ეპიზოდური ხასიათი მოთხოვნად კომპეტენციებთან მიმართებაში. ერთ–ერთი მთავარი ბერკეტი, რითიც საქართველოს რეგიონში მდებარე უსდ–ებს შეუძლიათ, დააბალანსონ და გაზარდონ კურსდამთავრებულთა დასაქმება, არის შრომის ბაზრის კომპეტენციათა მოთხოვნების კვლევა, როგორც რეგიონულ ასევე ეროვნულ დონეზე. სამწუხაროდ, უნივერსიტეტებს აქვთ მწირი ფინანსური რესურსები რეპრეზენტატული კვლევის ჩასატარებლად. გამოკვეთილი ტენდენციის თანახმად, უსდ–ებისთვის შრომის ბაზრის ყოველწლიური კვლევა ხშირად უფრო ფასადური ხასიათისაა, ვიდრე შინაარსობრივი დატვირთვის, ვინაიდან ეს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ერთ–ერთი უმთავრესი პირობაა.
- უსდ–ებს მოეთხოვებათ მეტი ჩართულობა და ინიცირება შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან სათანადო კავშირ–ურთიერთობების დამყარების პროცესში.
- რეკომენდებულია, კერძო სექტორის წარმომადგენლებთან გაფართოვდეს სტაჟირებისა და პრაქტიკის შესაძლებლობები. ამასთანავე, სტუდენტებს რეალურად მიეცეთ პრაქტიკასთან დაკავშირებული დავალებები, რომელიც აამაღლებს მათ ცოდნასა და კვალიფიკაციას.
- კურსდამთავრებულებისთვის სწავლის დასასრულს ნომერ პირველ გადაუჭრელ პრობლემად ყალიბდება პროფესიით დასაქმება. რეკომენდებულია, უსდ–ებმა მეტი რესურსის მობილიზება მოახდინონ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერულ სამსახურებში. დაგეგმონ და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები, რაც გაზრდის სტუდენტთა პროფესიით დასაქმების შესაძლებლობებს.
- ეროვნულ დონეზე სასურველია საქართველოში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის სარეიტინგო სისტემის შექმნა, რომელიც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ პირებს შეადარონ სწავლის ცალკეული საფეხურების და მათ შორის ცალკეული პროგრამების დასრულების შედეგად პროფესიით დასაქმების მაჩვენებელი.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

Ali, M., &Jalal, H. (2018). Higher Education as a Predictor of Employment: The World of Work Perspective. Bulletin of Education and Research, 40(2), 79-90.

Amashukeli, M, & Lezhava, D. (2015). Correlation study between the results of academic programs and employment market requirements in the social sciences. Tbilisi: Centre for Social Sciences (In Georgian).

Amashukeli, M., Lezhava, D., & Gugushvili, N. (2017). Education Outcomes, Employment Market and Labor Satisfaction in Georgia. Tbilisi: Open Society – Georgia (In Georgian).

Blagg, K., & Blom, E. (2018). Evaluating the return on Investment in Higher Education. Wadhington, DC: Urban Institute.

Bregvadze, T. (2013). Higher Education and Employment. Strategic Development of Higher Education and Science. Analysis of Higher Education Policy in Georgia according to Five Strategic Directions. Tbilisi: International Institute for Education Policy Planning and Management (In Georgian).

Center for Social Sciences, (2015). Correlation Study between Academic Program Outcomes and Employment Market Requirements. Tbilisi. (In Georgian).

Hailemariam, A. (2018). Returns to Higher Education in the Very Long-run 1870-2010. *Journal of Education and Work,* 31:3, 291-306.

Haradhan, M. (2018). Qualitative Research Methodology in Social Sciences and Related Subjects. *Journal of Economic Development, Environment and People,* 7(01) 23-48.

Kakulia, M., Kapamadze, N, Lomjaria, N., & Kurkhuli, L. (2016). Unemployment Structure and Structural Unemployment in Georgia. Tbilisi: Georgian Foundation for Strategy and International Studies (In Georgian).

Mincer, J. (1074). Schooling, Experience and Earnings. *Human Behavior & Social Institutions* (2).

Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, (2017). Georgian Labor Market Analysis. Tbilisi. (In Georgian).

Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, (2017). Statistical Survey of Enterprise Demand for Skills (Report). Tbilisi. (In Georgian).

Stringer, K., Kerpelman, J., & Storikov, V. (2011). Career preparation: A Longitudinal, Process-Oriented Examination. Journal of Vocational Behavior, 79(1) 158-169.

Tsuladze, L. (2020). Qualitative Methods of Sociological Research. Tbilisi: *Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing House*. (In Georgian).

JEL Classification: 03, 030, 031. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.005

THE ROLE OF THE STATE IN FORMING THE INNOVATIVE ECONOMICS: THE CASE OF GEORGIA

SALOME DANELIA
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
salome.danelia@tsu.ge

Abstract. The modern paradigm of economic development shows that an important factor affecting the economic development is not only natural resources, but also innovative approaches that stimulate the competitiveness of the country. Forming the innovative economics in the direction of education, trade, investment and financial decentralization requires the selection of effective tools of innovative economics formation, which creates fertile foundation for the introduction of innovations in these areas. And this is achieved by optimal coordination of different combinations of state regulation instruments.

Relevance of the topic: Determining the importance of the role of state in forming the innovative economics and developing the concept of national innovation system is connected with the scientists-economists of the neoclassical school of the 90s of the last century. However, apart from theoretical assessments, no complex research has been conducted in this direction.

Scientific novelty of the research: The article outlines the main directions of forming the innovative economics based on the identification and analysis of the factors affecting the innovative economics. The need for the involvement of state institutions in the process of forming an innovative economy is also substantiated in this article.

KEYWORDS: NATIONAL INNOVATION SYSTEM, GLOBAL INNOVATION INDEX, KNOWLEDGE-BASED ECONOMY, GLOBAL COMPETITIVENESS INDEX, INTERNATIONAL PROPERTY RIGHTS INDEX, GROSS DOMESTIC PRODUCT, RESEARCH AND DEVELOPMENT.

For citation: Danelia, S. (2021). The Role of the State in Forming the Innovative Economics: The Case of Georgia. *Globalization and Business.* 12, 45-51. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.005

INTRODUCTION

The purpose of this article is to define the role of the state in the process of forming an innovative economics.

The study's object is the problems related to forming the innovative economics in Georgia.

The study's subject is to determine the factors affecting the innovative economics and conceptual analysis of state involvement.

The works of Georgian and foreign scientists are the theoretical-methodological bases of the innovative economics research. And the publications of the following professors are noteworthy among Georgian scientists: A. Silagadze (2013), V. Papava (2018), G. Gaganidze (2016), R. Gvelesiani (2014), E. Mekvabishvili (2016), S. Gelashvili (2014), R. Abesadze (2016), L. Bakhtadze (2019), G. Bedianashvili (2017), Sh. Veshapidze (2014).

Among the foreign scientists, the fundamental works of the following authors are of great importance: I. Schumpeter (1942), R. Solow (2957), K. Freeman (1995; 2002; 2008), B. A. Lundvali (2007), R. Nelson (1993), K. Pavit (1984) et al.

The study is also founded on the materials and Legislative Acts of the World Bank, National Statistics Office of Georgia, Georgian and Foreign Profile Ministries on the research topic.

The paper uses research analysis, synthesis and other methods.

Theoretical-methodological foundations of innovative economics

The word "Innovation" means the creation of something new and a qualitative change. "Creating new" and "innovation" are synonymous, but they have different meanings. In particular, "Innovation” is the result of the development of a new scientific idea and innovative activity, while the "Creation of new" is the process of introducing innovation. The word “Innovation” expresses both the process of activity and its result.

According to the World Bank, "Innovation"1 is a process of new technologies and methods that can bring significant benefits to society. Putting innovation into practice is of great importance, as new technologies and methods significantly improve both the existing product and the production process and services.

The modern methodology of innovation is based on the modern standards developed in Oslo in 1992 that are used to classify technological innovations. The classification of innovations is carried out in relation to the activities of an individual field, in which the following types of innovation are outlined: technological, informational, organizational-managerial, etc.

At the present stage, innovation is an important fac-

tor of economic growth, which affects the structure of production, the social situation of the country and ensures the stabilization of the socio-economic situation in the country. Innovative economics in its substantive sense provides an effective link between education, scientific research and business innovation based on knowledge and scientific-technical progress.

In the 20s of the last century, the first innovation observations were made by the Russian economist N. Kondratiev, who discovered the so-called "Long waves" in the economy. These waves are created by the introduction of baseline determinative novelties that, in turn, give stimulus to the use of many secondary and comprehensive innovations. N. Kondratiev attributed the innovations to the cumulative elements that define economic development.

There is another point of view, according to which innovative economics means “knowledge-based economy.” It considers the professional-technical training of workers and raising the qualification in accordance with the requirements of the labor market. Great importance is also given to supporting the development of innovative thinking and the formation of an innovative, knowledge-based society.

The word ,,Innovation" as a new economic category was first used by the Austrian economist Josef Alois Schumpeter (Schumpeter, J.A. 1883-1950), who developed N. Kondratiev's theory on innovation.

N. Kondratiev and I. Schumpeter recognize industrial innovation as the driving force of economic growth in their main works. They view the impact of institutional factors on the structure of innovative activities as new combinations of changes in economic development and consider the cyclical nature of the economy as a pattern of economic growth.

According to I. Schumpeter, "Innovation is a commercialized invention." It is a factor that accelerates public welfare and economic growth. It should be noted that through innovations based on scientific and technical knowledge more economic wealth is created at low cost that increases production efficiency and labor productivity.

I, Schumpeter in his work ,,Capitalism, Socialism and Democracy" relies on the idea according to which the driving force of economic progress is ,,Creative destruction", that means replacing old business models, products and professions with new ones. He believes that "Creative destruction" and the creation of new things are prerequisites for economic development.

Achieving innovative economic development is possible only through establishment of an appropriate economic system, development of science, industrial and agrarian sectors, improvement of sectoral and social structures (Abesadze, 2016).

The technological progress and innovative, creative thinking are often attributed to private companies and small firms; while the state with its regulatory function and tax system is considered as a disruptive power to the above. However, all the projects that are the basis of modern technologies are funded by the state. The state gives impetus to innovation and invests in it. It is the first to enter the new market, when “risky” private companies, despite adequate resources, become active only when the foundation has already been laid and major work has been done. The state implements the above-mentioned through the resources at its disposal and taxes, the reduction of which, in the long run, has a negative impact on public welfare and the benefits of innovation fall into the hands of only a small group of people.

National Innovation System

One of the forms of innovative economics, in particular scientific and technical development was formed during the Soviet era, in the 50s of XX century. Off course, the model of the Soviet Union was different from the modern models of economic development, but it is noteworthy that knowledge was transforming and becoming an important priority of state policy during that period.

The implementation and support of economic activities, focused on knowledge and introduction of new technologies in parallel with traditional production factors, are important for developing countries like Georgia. This implies the formation and implementation of the innovative economics development strategy by both central and regional governments.

It is believed that the creation, dissemination and adoption of technologies initially reduces economic growth rates and productivity levels (due to integration and restructuring problems). However, the technological innovation is seen as a major driving force of economic growth due to the improvement of productivity levels and, ultimately, the acceleration of economic growth in the long run. Some of the scientists are quite critical of the relationship between invention and national economic growth. They believe that the lowest economic growth is in countries that invest heavily in new technologies, while the countries that introduce new technologies are characterized by higher economic growth.

In the early 1990s, the name of the scientists-economists of the neoclassical school was connected with the development of the concept of national innovation systems. It is a combination of institutional, economic and social factors. In addition to the term “National innovation”, the following terms are used to define the formation of an innovation economics by the state: regional economic system, sectoral innovation system and global innovation system. The concept of national innovation economics is based on the fact that the creation and dissemination of new knowledge, technologies are carried out through the interaction of state, private and public organizations.

According to many economists, the concept of a national innovation system is a key factor in forming innovation economics. The British economist Christopher Freeman made a significant contribution to the revival of the neo-Schumpeterian tradition. He argues: “Scientific research suggests that economics has evolved from the despair of science into an economy of hope” (Freeman, 1992).

National innovation is defined in different ways. K. Freeman describes it as "The unity of public and private institutions through whose activities and interactions new technologies are created". According to P. Patel and K. Pavitt (Patel & Pavitt, 1994), national institutions determine the quality

Table 1. Factors of the National Innovation System

Universities (Scientific researches)	Research institutes (Technological development)
National Innovation System	
Private companies (Commercialization)	State (Legislative framework, institutions and support programs)

and direction of technological education within the country. S. Metcalfe (Metcalfe, 1995) believed that institutions, collectively and individually, contribute to the development and dissemination of new technologies, while governments develop and implement innovative process policies that define new knowledge and technologies. After that R. Nelson (1995) and Lundwall (1992) developed theoretical views about national innovation systems.

Thus, the national innovation system includes four interrelated factors:

As usual, innovation policy of a country is defined by the state. The innovation development strategy should be in line with the country's socio-economic development strategy and program.

Identifying the role of the state in the process of forming an innovative economics can be done in different ways, particularly (table 1):

- Through regulatory tools (institutions, legislation and support programs);
- By research institutes (technological development) and universities (scientific research);
- Through private companies (commercialization).

It should be noted that creating a legal framework for the formation of an innovative economics in Georgia began in the 90s of last century. The regulatory instruments and legislative norms developed by the state to promote the development of an innovative economics in Georgia are supported and approved by the state (table 2).

State regulation mechanism for the formation of an innovative economics for the country is considered to be a key condition for the formation of an innovation economics.

Table 2. Legislative, institutional and state support

Year	Legislative, institutional and state support
COVID-19 ახალი კორონავირუსის შედეგად წარმოქმნილი პანდემიური პროცესებიდან გამომდინარე, თანდათან იზრდება კორონომიკის აქტუალურობა. ამასთან საგულისხმოა, რომ მსგავსი ტიპის გლობალური საფრთხეების რისკი ყოველთვის იარსებებს. აღნიშნულის გაცნობიერება ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის როგორც მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში, აგრეთვე იმ ეკონომიკური პროექტების დაგეგმარებისას, რომელთა რეალიზაცია უნდა განხორციელდეს მომავალში (Papava, 2020a; Papava & Charaia, 2020, 4-5; Papava, 2020b).

დღეს კაცობრიობა დგას სრულიად ახალი გლობალური ეკონომიკური კრიზისის წინაშე, რომლის გამომწვევი მიზეზები პროვოცირებულია ეკონომიკის გარეთ არსებული ფაქტორების (კორონავირუსი) მეშვეობით. ამის ნათელი მაგალითია ის სირთულეები, რომლებიც აისახა როგორც ჩინეთის, ასევე რიგი წამყვანი ევროპული ქვეყნების ეკონომიკაზე. ჩინეთში, რომელიც მსოფლიოში მეორე სიდიდის ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, დაიხურა არაერთი კომპანია. ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა ევროკავშირში. კაცობრიობა ცალსახად დადგა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წინაშე. კორონომიკური კრიზისის წინააღმდეგ საბრძოლველად ძირითადად განიხილება ის მექანიზმები და საშუალებები, რომლებსაც

აქტიურად იყენებდნენ 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის დროს. მიუხედავად ამისა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე კრიზისი ფუნდამენტურად განსხვავდება 2008-2009 წლებში განვითარებული მოვლენებისგან, რამე თუ მაშინ კრიზისის წყარო წმინდად ეკონომიკური შინაარსის მატარებელი იყო, ხოლო 2020 წლის კრიზისის წყარო სამედიცინო-ბიოლოგიური შინაარსის მატარებელია. შესაბამისად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ კორონომიკური კრიზისის დამარცხება ბევრად დამოკიდებულია მედიცინის წარმატებულობაზე (Papava, 2020a; Papava & Charaia, 2020, 4-5; Papava, 2020b).

კორონომიკური კრიზისის ფარგლებში, გლობალური საფრთხეების მინიმიზაციის მიზნით, ასევე შეინიშნება ჩინეთში თავმოყრილი მსხვილი კომპანიების დეკონცენტრაციის აქტიური ტენდენცია (Papava, 2020a; Papava, Charaia, 2020, 6-7).

საგულისხმოა, რომ დაავადების გავრცელების შიშით, საგრძნობლად შემცირდა ან საერთოდ შეწყდა ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი ხერხემალი – საგარეო ვაჭრობა, შეწყვეტილია უცხოური პირდაპირი ინვესტიციები. იმის ფონზე, რომ COVID 19-ის ფართო გავრცელების ერთ-ერთ არეალს დასავლეთ ევროპა და აშშ წარმოადგენდა, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამ ქვეყნებმა მცირე ხნით, მაგრამ მაინც დაკარგეს მოწინავე როლი მსოფლიო ეკონომიკური თეატრის ავანსცენაზე, რამე თუ მათი ეკონომიკის ყველა მთავარი სექტორი პარალიზებული გახდა. გარდა ამისა, პარალიზებულ იქნა მასობრივი დასვენების სისტემა და დიდი სპორტული ღონისძიებები, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკური ინდუსტრიის ერთ-ერთ უმთავრეს აგრეგატს წარმოადგენენ (Grigoryev, 2020, 18-25).

პანდემიური სახის კრიზისები საბოლოოდ განაპირობებს როგორც სრულიად ახალი ტექნოლოგიების, ახალი ბიზნეს მოდელების შექმნას, ასევე არსებული ტექნიკური საშუალებების ფართოდ გავრცელებას. იმავე ჩინეთში, COVID 19-ის გავრცელების ფონზე, მნიშვნელოვნად განვითარდა მიწოდების სერვისი, ონლაინ მაღაზიები, ხოლო ფულმა, როგორც ფიზიკურმა მოცემულობამ, ადგილი დაუთმო ე.წ. უკონტაქტო გადახდებს. აქედან გამომდინარე, მსგავსი ტიპის კრიზისები განაპირობებს განსხვავებული, ხშირ შემთხვევაში – ინოვაციური მართვის სისტემების შექმნას და რეალიზაციას. უნდა აღნიშნოს, რომ ჩვეულებრივ გარემოებებში მსგავს ფუნდამენტურ ცვლილებებს შეიძლება წლები დასჭირვებოდა (Buklemishev, 2020, 13).

კორონომიკის ფარგლებში არსებობს საკმაოდ რეალური თეორიული დაშვება იმის თაობაზე, რომლის მიხედვითაც მსხვილმა კომპანიებმა შესაძლოა გადაიტანონ ჩინეთიდან თავიანთი ქარხნები ისეთ ქვეყნებში, სადაც უკვე არსებობს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება როგორც საკუთრივ ჩინეთთან, ასევე ევროკავშირთან (Papava, 2020b).

იმის გათვალისწინებით, რომ პანდემია გლობალური ფენომენია და კორონომიკური კრიზისი მთელი მსოფლიოს საფრთხეა, იზოლაციონიზმი და დეგლობალიზაცია მსოფლიო ეკონომიკისთვის აშკარად დამღუპველი გზაა. პირიქით, პოსტ-კრიზისულ პერიოდში, აუცილებელია მოხდეს ღირებულებათა ჯაჭვების დივერსიფიკაცია, რამაც უნდა უზრუნველყოს შესაძლო რისკების შემცირება (Derviş & Strauss, 2020).

სოციალური ქსელების შექმნამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ტექნოლოგიურ განვითარებაზე. სოციალური ქსელი არის საშუალება, სადაც ყალიბდება ახალი, სრულიად განსხვავებული ინდუსტრიები. გარდა აღნიშნულისა, ბოლო პერიოდში სულ უფრო მეტს საუბრობენ ე.წ. ბლოკჩეინ ტექნოლოგიებზე და მის პერსპექტივებზე, რომელის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება სხვადასხვა ინდუსტრიის განვითარება ონლაინ ტექნოლოგიების საშუალებით, რაც განსაკუთრებით აქტუალური ხდება 2019 წლის ბოლოს და 2020 წლის დასაწყისში, როდესაც მსოფლიოში გავრცელდა COVID-19 ახალი კორონავირუსის პანდემია. სწორედ, აქედან გამომდინარე, ონლაინ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინდუსტრების განვითარება სულ უფრო აქტუალური ხდება (Bobilev & Grigoriev, 2020, 4-24). ამ თვალსაზრისით, მეტად საინტერესოდ ვითარდება ე.წ. ონლაინ აპლიკაციებსა და პლატფორმებზე დაფუძნებული საკომუნიკაციო საშუალებები (Zoom, MS. Teams, Facebook Room და ა.შ.), რომლის გამოყენებით შესაძლებელი ხდება ლექციების, კონფერენციების, ტრენინგების, შეხვედრების და კომუნიკაციის სხვა ფორმების ორგანიზება და განხორციელება. ეს კი თავის მხრივ, დროითი და მატერიალური რესურსის დაზოგვის უნიკალურ შესაძლებლობას გვთავაზობს.

კორონავირუსის გავრცელებამ გარკვეული გავლენა მოახდინა იმ თეორიულ მიდგომებზე, რომლებიც ცალსახად ეწინააღმდეგებიან თავისუფალ ვაჭრობას, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის ქვეყნები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან გლობალიზაციას, ნახულობენ უფრო დიდი მასშტაბის ეკონომიკურ ზარალს სწორედ პანდემიის პირობებში (Frankel, 2020).

თანამედროვე პირობებში მდგრადი ეკონომიკური განვითარების მისაღწევად უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, საჭიროა შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, რათა მოხდეს ქვეყანაში სწორედ ამ ტიპის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა. სწორედ ცოდნაზე დაფუძნებულმა ეკონომიკამ უნდა უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი ინოვაციური პროდუქციისა ან/და მომსახურების შექმნა.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარება დიდად არის დამოკიდებული იმ ტექნოლოგიურ საშუალებებზე, რომლებიც გამოიყენება პროდუქციის ან მომსახურების შესაქმნელად. ამრიგად, რაც უფრო თანამედროვეა ტექნოლოგიური საშუალება, მით უფრო დადებით ეფექტს ახდენს ის ეკონომიკურ წინსვლაზე. ამასთან, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ტექნოლოგიურ განვითარებას შეუძლია გამოიწვიოს საზოგადოებაში გავრ-

ცელებული ნორმების, ღირებულებებისა და ტრადიციების ფუნდამენტური ცვლილებები. გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ საზოგადოებაში არსებული მოთხოვნილებები, ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად, განიცდიან ძირეულ სახეცვლილებას და შესაბამისად, მათი დაკმაყოფილებისთვის საჭირო ხდება სრულიად განსხვავებული, მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინოვაციური საშუალებების შემუშავება.

დასკვნა – პრობლემის გადაჭრის სავარაუდო მიმართულებები

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რა შეიძლება ჩაითვალოს კორონომიკის დაძლევის ძირითად საშუალებად? გამომდინარე იქიდან, მისი წარმოშობა დაკავშირებულია არაეკონომიკურ მოვლენებთან, მისი დაძლევის გზები მოსაძებნია სამეციცინო სფეროში (Papava, 2020b). ჩემი აზრით, COVID-19 ახალი კორონავირუსის ვაქცინის შექმნა ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯია კორონომიკის შედეგების მინიმიზაციის თვალსაზრისით, მაგრამ მაინც არ არის საკმარისი. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ მსოფლიო საზოგადოებაში ჯერ კიდევ ძლიერია ე.წ. ანტივაქსერული მოძრაობები. აღსანიშნავია, რომ საკუთრივ ვაცინაზე წვდომა არათანაბრად არის წარმოდგენილი სხვადასხვა ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნებში (El-Erian, 2021). ასევე, კვლავ ბუნდოვარნია, თუ როგორ უნდა განხორეციელდეს ყველა ქვეყნის მოსახლეობის ვაქცინაცია (Malpass, 2021) გარდა ამისა, ვაქცინა თავისი შინაარსით არ წარმოადგენს სამკურნალო საშუალებას. ვაქცინირებული ადამიანი ვირუსის ისეთივე გადამტანია, როგორც არავაქცინირებული. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ კორონომიკის მინიმიზაცია მჭიდრო კორელაციურ დამოკიდებულებაშია კორონავირუსის სამკურნალო პრეპარატის წარმატებით შექმნასთან.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

Alwis, A. D. (2020). Coronomics – Plan your eggs and the basket!. Daily FT - Business Paper, February 6. <http://www.ft.lk/columns/Coronomics-%E2%80%93-Plan-your-eggs-and-the-basket-/4-695109>.

Bobilev, S., & Grigoriev, L. (2020). In Search of the Contours of the Post-COVID Sustainable Development Goals: The case of BRICS. BRICS Journal of Economics, 1(2), 4-24, <https://www.brics-econ.org/archive/2020.Vol.1.No.2/>.

Buklemishev, O. (2020). Coronavirus Crisis and Its Effects on the Economy. Population and Economics, 2, 13-17. <https://populationandeconomics.pensoft.net/article/53295/>.

Derviş K., & Strauss S. (2020). What COVID-19 Means for International Cooperation. Project Syndicate – The World's Opinion Page, March 6. <https://www.project-syndicate.org/commentary/global-cooperation-can-prevent-next-pandemic-by-kemal-dervis-and-sebasti-n-strauss-2020-03?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=cba7e1c6a1-sunday_newsletter_15_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-cba7e1c6a1-93567601&mc_cid=cba7e1c6a1&mc_eid=e9fb6cbcc0>.

El-Erian, M. (2021). Vaccines and the West's Credibility Crisis. Project Syndicate – The World's Opinion Page, May 27. <https://www.project-syndicate.org/commentary/global-vaccination-failures-threaten-western-led-international-system-by-mohamed-a-el-erian-2021-05?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=88d95de03c-sunday_newsletter_05_30_2021&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-88d95de03c-93567601&mc_cid=88d95de03c&mc_eid=e9fb6cbcc0>.

Frankel, J. (2020). Will the Coronavirus Trigger a Global Recession? Project Syndicate – The World's Opinion Page, February 24, <https://www.project-syndicate.org/commentary/coronavirus-global-recession-prospects-by-jeffrey-frankel-2020-02?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=11fa1362d7-sunday_newsletter_01_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-11fa1362d7-93567601&mc_cid=11fa1362d7&mc_eid=e9fb6cbcc0>.

Grigoryev, L. (2020). Global Social Drama of Pandemic and Recession. Population and Economics, 2, 18-25, <https://populationandeconomics.pensoft.net/article/53325/>.

Malpass, D. (2021). How to Vaccinate Every Country. Project Syndicate – The World's Opinion Page, May 19. <https://www.project-syndicate.org/commentary/global-covid19-vaccination-three-key-factors-by-david-malpass-2021-05?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=2a8a9309bc-sunday_newsletter_05_23_2021&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-2a8a9309bc-93567601&mc_cid=2a8a9309bc&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog>.

Papava, V. (2020a). Coronomic Crisis: When The Economy Is A Hostage To Medicine. Eurasia Review, March 29. <https://www.eurasiareview.com/29032020-coronomic-crisis-when-the-economy-is-a-hostage-to-medicine-oped/>.

Papava, V. (2020b). Coronomic and Economic in Face of Crisis. For.ge – News and analytical portal, March, 21. <https://for.ge/view/182671/koronomika-da-ekonomika-krizisis-winaSe.html> (in Georgian).

Papava V., & Charaia, V. (2020). The Coronomic Crisis and Some Challenges for the Georgian Economy. Expert Opinion, 136. Tbilisi, GFSIS, <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/136-expert-opinion-geo.pdf> (In Georgian).

JEL Classification: M1, M2, M31, M5, M41. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.016

LOGISTICS DEVELOPMENT POTENTIAL OF GEORGIA AND COVID 19

LALI OSADZE

Doctor of Economics, Associate Professor
Gori State Teaching University, Georgia
l.osadze@gmail.com

MAKA SOSANIDZE

Doctor of Economics, Associate Professor
Gori State Teaching University, Georgia
m.sosanidze@mail.ru

Abstract. In recent years, logistics have gained great importance both locally and internationally. The status of a "transit country" has long been an important precondition for the development of the economy and international relations of Georgia. With the growth of the economy, Georgia's function as a trans-Caucasian corridor has expanded. This is the shortest route connecting East Asia with the Europe. Significant railway, motorway and pipeline transport passes through the territory of Georgia – by means of which, it is possible to cheaply and efficiently transport goods from the Caspian Sea to the Black Sea and vice versa.

As a result of economic and infrastructural reforms carried out in recent years, the transport and logistics sector in Georgia has developed significantly, but not sufficiently yet. As a result of infrastructure modernization, simplification of customs procedures and liberalization of services in key sectors of the economy, the country's transit and logistics potential has been increased, providing better international connections with global markets. Georgia is currently modernizing and expanding its transport infrastructure, which includes a growing national expressway system, new rail routes, international airports and expanded seaports / terminals. At the same time, legislative approximation with the EU continues in the field of transport, which is a priority issue in the process of Georgia's European integration.

The development of the country's infrastructure, transport, logistics, communications, energy, technology, education and financial hubs is important for realizing the potential. Donors are providing their assistance in achieving Georgia's logistics goals. With their help, the National Logistics Strategy of Georgia for 2021-2030 was prepared, which states that the logistics sector of Georgia is in the process of transformation. An important indicator of the state of the logistics sector in Georgia is the World Bank Logistics Index (LPI), where Georgia is not in the most favorable place (119th place among 160 countries). The Logistics Index reflects the vision of international service providers and business operators on how countries integrate into the global logistics network through their major trade gateways. Therefore, it reflects not only the changes throughout the country, but also problems associated with the access overseas.

It should be noted that over the past decade Georgia has invested heavily in the development of road infrastructure, but logistics and intermodal infrastructure continues to be developed, resulting in low efficiency of maintenance of logistics system, relatively its high cost and less reliability of the logistics system, which negatively affects international transportation. COVID-19 has affected not only on the healthcare system, but also on global critical infrastructure, including transport and logistics. The start of pandemic highlighted a critical importance of transport and logistics systems, both on international and local level, which previously had not gained much attention.

Despite the success achieved, number of problems has remained for transformation of Georgia into a regional transit and logistics hub. Efforts to improve transport infrastructure and services should continue until existing constraints are completely removed. Poor service quality, outdated logistics infrastructure and equipment, ineffective supply chain management, as well as disorganization of personnel and their poor qualification are not a complete list of problems.

An effective and consistent policy for the development of transport and logistics will make Georgia more attractive for investment and improve the country's economic potential.

KEYWORDS: LOGISTICS, REGIONAL TRANSIT AND LOGISTICS INFRASTRUCTURE, SUPPLY CHAIN.

For citation: Osadze, L., & Sosanidze, M., (2021). Logistics Development Potential of Georgia and Covid 19. *Globalization and Business.* 12, 114-119. (In Georgian). https://doi.org/10.35945/gb.2021.12.016

JEL Classification: M1, M2, M31, M5, M41. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.016

საქართველოს ლოგისტიკური განვითარების პოტენციალი და COVID 19

ლალი ოსაძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო
l.osadze@gmail.com

მაკა სოსანიძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო
m.sosanidze@mail.ru

საკვანძო სიტყვები: ლოგისტიკა, რეგიონული სატრანზიტო და ლოგისტიკური ჰაბი, ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა, მიწოდების ჯაჭვი.

ციტირებისთვის: ოსაძე, ლ., & სოსანიძე, მ. (2021). საქართველოს ლოგისტიკური განვითარების პოტენციალი და COVID 19. *გლობალიზაცია და ბიზნესი.* 12, 114-119. https://doi.org/10.35945/gb.2020.11.016

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა ოდითგანვე მნიშვნელოვანი იყო სატრანსპორტო გზების არსებობისათვის. აქ გადიოდა უმნიშვნელოვანესი საქარავნო გზები: აღმოსავლეთიდან – დასავლეთისკენ, ჩრდილოეთიდან – სამხრეთისაკენ. ეკონომიკის ზრდასთან ერთად, გაფართოვდა საქართველოს ფუნქცია, როგორც ტრანსკავკასიური კორიდორისა. იგი უმოკლესი გზაა, რომელიც აღმოსავლეთ აზიას აკავშირებს ევროპასთან. საქართველოს ტერიტორიაზე გადის მნიშვნელოვანი სარკინიგზო საავტომობილო და მილსადენი ტრანსპორტი – მათი გამოყენებით შესაძლებელია ტვირთების იაფად და ოპერატიულად ტრანსპორტირება, კასპიიდან შავ ზღვამდე და პირიქით. საქართველოს საზღვაო დერეფნით მეთვრამეტე – მეცხრამეტე საუკუნეებში აქტიურად სარგებლობდა ირანიც, რომელსაც კავკასიის რუსეთის იმპერიის მიერ დამორჩილების შემდეგაც შეუნარჩუნდა საქართველოს ტერიტორიის გავლით ტვირთბრუნვის შესაძლობლობა და შეღავათები. მოსალოდნელია, რომ შესაბამისი პოლიტიკური კლიმატის დადგომის შემთხვევაში, კვლავ დადგეს ირანის მიერ საქართველოს სატრანზიტო გზის გამოყენების საკითხიც, რაც კიდევ უფრო აამაღლებს საქართველოს საზღვაო პორტების მნიშვნელობას. უნდა აღინიშნოს, რომ შუა აზიის ქვეყნებისათვის ტვირთბრუნვას ჯერჯერობით უმეტესად რუსეთი ახორციელებს, რასაც მრავალი ხელოვნური და, არა, ბუნებრივი ფაქტორი განაპირობებს. ასეთია უპირველესად, მილსადენი და სარკინიგზო ტრანსპორტის კარგად განვითარებული ქსელი შუა აზიის ქვეყნებსა და რუსეთს შორის.

ბოლო წლებში გატარებული ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული რეფორმების შედეგად, საქართველოში მნიშვნელოვნად განვითარდა ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორი, მაგრამ, არასაკმარისად. ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის, საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ეკონომიკის ძირითად სექტორებში მომსახურების ლიბერალიზაციის შედეგად, ამაღლდა ქვეყნის სატრანზიტო და ლოგისტიკური პოტენციალი, რაც უზრუნველყოფს უკეთეს საერთაშორისო კავშირს გლობალურ ბაზრებთან. საქართველო ამჟამად აახლებს და აფართოებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას, რაც მოიცავს ეროვნული ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მზარდ სისტემას, ახალ სარკინიგზო მარშრუტებს, საერთაშორისო აეროპორტებს და გაფართოებულ საზღვაო ნავსადგურებს/ტერმინალებს. ამასთან, გრძელდება ევროკავშირთან ტრანსპორტის სფეროში საკანონმდებლო დაახლოება, რაც პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში. ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საქართველოს, როგორც რეგიონალური ჰაბის განვითარება. პოტენციალის რეალიზებისთვის მნიშვნელოვანია ქვეყნის ინფრასტრუქტურული, სატრანსპორტო, ლოგისტიკური, საკომუნიკაციო, ენერგეტიკული, ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო და საფინანსო ჰაბის სისტემების განვითარება.

აშშ–ს შინაგანი უსაფრთხოების დეპარტამენტის მიხედვით, საჰაერო, საზღვაო, სარკინიგზო და სახმელეთო სისტემა

მოიცავს მათთან დაკავშირებულ ყველა ობიექტსა და ინფრა-სტრუქტურას:

- ავიაცია (თვითმფრინავები, საჰაერო ნავიგაციის სისტემები, აეროპორტები, და – საფრენი ბილიკები, მოედნები და ა.შ. კომერციული ავიაციის სერვისები სამოქალაქო და შერეული დანიშნულების აერო-პორტებში, კომერციული და კერძო საკუთრებაში არსებულ საჰაერო ხომალდები (პილოტიან თუ უპი-ლოტო), საჰაერო ხომალდების შემკეთებელი პუნ-ქტები, საწვავის შევსების სადგურები, სანავიგაციო დახმარება, საფრენოსნო სკოლები);
- სახმელეთო ტრანსპორტი (გზები, ხიდები, გვირა-ბები, სატვირთო მანქანები, სალიცენზიო სისტემები, მოძრაობის რეგულაციის სისტემები, საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემები);
- საზღვაო ტრანსპორტი (პორტები, სანაოსნო გზები და დამხმარე სახმელეთო ინფრასტრუქტურა);
- საზოგადოებრივი სახმელეთო ტრანსპორტი (ავტო-ბუსები, ტროლეიბუსები, მეტრო, მიწისზედა მეტრო, ტერმინალები და საოპერაციო სისტემები);
- სატვირთო რკინიგზა (სატვირთო შემადგენლობები, სხვადასხვა სახის ვაგონები, ლოკომოტივები);
- საფოსტო და მიმწოდებელი (რეგიონალური და ადგილობრივი საკურიერო სერვისები, საფოსტო მომსახურება, საფოსტო მენეჯმენტის სისტემები და ადგილზე მიტანის სერვისები) (Kutelia, 2020).

როგორც ვხედავთ, ლოგისტიკური სისტემა რთული სისტემაა, რომელიც სხვადასხვაგვარი ელემენტებისაგან შედ-გება, რომელთა შორის კავშირი უნდა იყოს მოწესრიგებული, გარკვეული კანონზომიერებით და მისთვის დამახასიათებელი ინტეგრაციული ხარისხით. ინტეგრაციული ხარისხი სისტემას ანიჭებს უნარს, შეეგუოს გარემო პირობებს და მოახდინოს რეაგირება ცვალებად მოთხოვნაზე, ან ზოგადად, ცვალებად გარემოზე (Osadze, 2009, 88).

ლოგისტიკის მართვა ნიშნავს საქონლის, მომსახურე-ბის და შესაბამისი ინფორმაციის ეფექტურ მართვას, რაშიც იგულისხმება დაგეგმვა, განხორციელება და კონტროლი – მიწოდების წერტილიდან, მოხმარების წერტილამდე – მომხმა-რებელთა მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილებით და მინიმალური დანახარჯებით.

ლოგისტიკის მენეჯმენტი მოიცავს აგრეთვე, სატრანს-პორტო საშუალებების შერჩევას, ტრანსპორტირებას, სასაწ-ყობე მეურნეობის მართვას, შეკვეთების შესრულებას, ლოგისტიკური ჯაჭვის შექმნას და ლოგისტიკური მომსახუ-რების გამწევი სხვა კომპანიების კონტროლს. ლოგისტი-კურ ფუნქციებს შორისაა შესყიდვები, წარმოების დაგეგმვა, საქონელის შეფუთვა და მომხმარებლებთან ურთიერთობა. დაგეგმვა და გეგმის განხორციელება – სტრატეგიულ, ოპერა-ტიულ და ტაქტიკურ – დონეზე მიმდინარეობს. ლოგისტიკის მენეჯმენტი ინტეგრაციული ფუნქციაა, რომელიც ლოგისტიკას კოორდინირებას უწევს სხვა ფუნქციებთან, მათ შორის მარ-კეტინგთან, გაყიდვებთან, წარმოებასთან, ფინანსებთან და IT-სთან (Logistics and shipping guide).

ბოლო დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება IT – სისტემის გამოყენებას ლოგისტიკის მართვაში. ეს პროცესი უფრო მეტად აქტუალური გახდა დღეს, პანდემიის პირობებ-ში. ცნობილია, რომ ლოგისტიკურ საინფორმაციო სისტემებს ყოფენ სამ ჯგუფად: გეგმიური, დისპოზიციური (დისპეტჩერუ-ლი) და აღმასრულებელი (ოპერატიული). სხვადასხვა ჯგუფში არსებული საინფორმაციო სისტემა განსხვავდება, როგორც ფუნქციური, ისე, უზრუნველმყოფი ქვესისტემებით. ფუნქცი-ური ქვესისტემები განსხვავდება გადასაჭრელი ამოცანების შემადგენლობით. უზრუნველმყოფი ქვესისტემები შეიძლება განსხვავდებოდეს ყველა თავისი ელემენტით, ე. ი. ტექნი-კური, ინფორმაციული და მათემატიკური უზრუნველყოფით (Veshapidze et al., 2011, 49).

პანდემიის პირობებში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ტვირთების გადაზიდვა და ლოგისტიკა სახელმწიფოს არსებო-ბის უმთავრესი საფუძველია. პანდემიამ მსოფლიოში დიდი ზარალი მიაყენა ეკონომიკის სხვადასხვა დარგებს. ერთ-ერთი სფერო, რომელსაც არ შეუჩერებია ფუნქციონირება – სატრანსპორტო მომსახურებაა. მსოფლიოში ლოგისტიკური მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, იქმნება ლოგისტი-კური კლასტერები. საქართველოში მათი შექმნის თარიღი, კვლავ უცნობია. ლოგისტიკური კლასტერებით მსოფლიოში ბევრი მიწოდების ქსელი სარგებლობს. კლასტერები მოიცავს: სადისტრიბუციო კომპანიებს, სატვირთო გადაზიდვებს და ლოგისტიკური მომსახურების პროვაიდერებს. კლასტერებში დიდი მოცულობის ტვირთი იყრის თავს, რის შედეგადაც მცირდება კომპანიის ხარჯები, იაფდება ტრანსპორტირების ტარიფი, აქტიურდება უფრო მეტი კომპანია.

საქართველოს ლოგისტიკური მიზნების მიღწევაში დო-ნორები ეხმარებიან. მსოფლიო ბანკმა სპეციალურად გამოყო დახმარება – 2017-2026 წლების საქართველოს ლოგისტი-კური ეროვნული სტრატეგიის მოსამზადებლად, მაგრამ ეს დოკუმენტი არც კი გამოქვეყნებულა, რადგან, მსოფლიო ბანკმა დაიწუნა პროექტი. მსოფლიო ბანკი ორ წელიწადში ერთხელ აქვეყნებს მსოფლიო ბანკის ლოგისტიკის ინდექ-სებს. მსოფლიო ბანკის 2018 წლის ლოგისტიკის ინდექსის მიხედვით, საქართველო მსოფლიო რეიტინგში 160 ქვეყანას შორის 2.44 ქულით (5 ბალიან შკალაზე) 119-ე ადგილს იკა-ვებს. წინა წელთან შედარებით ქვეყანამ პოზიცია 11 ადგილით გაიუმჯობესა. გაუმჯობესება შეინიშნება თითქმის ყველა კომპონენტში. შეფასება ექვსი ძირითადი ინდიკატორის მი-ხედვით ხდება:

- საბაჟო პროცედურებისა და საზღვრის მართვის ეფექტურობა;

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხარისხი;
- კონკურენტუნარიანი საერთაშორისო გადაზიდვების წარმოების შესაძლებლობა;
- ლოგისტიკური მომსახურებების შესაძლებლობები და ხარისხი;
- ტვირთის თრექინგის შესაძლებლობა;
- ტვირთის განრიგის მიხედვით დანიშნულების ადგილამდე დროულად მიწოდება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მოამზადა „საქართველოს 2021-2030 წლების ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ეროვნული სტრატეგია და 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა". დოკუმენტი მომზადდა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით და საკონსულტაციო კომპანია „EGIS International"-ის ჩართულობით შემუშავებულ დოკუმენტზე „2017-2026 წლების საქართველოს ლოგისტიკის ეროვნული სტრატეგია და 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმა", დაყრდნობით, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, არც გამოქვეყნებულა.

სტრატეგიის შემუშავება მოხდა შემდეგი საფეხურების გათვალისწინებით:

- არსებული კვლევების და პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის მოძიება და დამუშავება;
- ბაზარზე მთავარი მოთამაშეების გამოკითხვა;
- გამოწვევების პირველადი იდენტიფიკაცია;
- შუალედური ანგარიშის მომზადება;
- სამუშაო ჯგუფის ფორმატში დისკუსიების გამართვა ბაზრის მონაწილეებსა და ბიზნესებთან;
- დისკუსიების შეჯამება;
- გამოწვევების სიმძიმის შეფასება;
- გამოწვევების პრიორიტეტების შეფასება;
- ანგარიშის მომზადება (National Logistics Strategy of Georgia for 2021-2030:7).

სტრატეგიის განხორციელებაზე პასუხისმგებლობას იღებს საქართველოს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის დარგის განვითარების უწყებათაშორისი კომისია.

საქართველოს ლოგისტიკის ეროვნულ სტრატეგია 2021-2030-ში აღნიშნულია, რომ, საქართველოს ლოგისტიკის დარგი ტრანსფორმაციის პროცესშია. ბაზარზე შეინიშნება ახალი საერთაშორისო მოთამაშეების გამოჩენა და არსებულის გაფართოება. კომპანიებმა შეიძლება რომ ლოგისტიკური მომსახურების სახეობები განავითარონ შიდა რესურსებით და გარე მომსახურების შესყიდვით. საქართველოში მოქმედი კომპანიების უმრავლესობა უპირატესობას შიდა ლოგისტიკას ანიჭებს, რადგან არ გააჩნიათ ცოდნა გარე მომსახურების შესყიდვის გამოყენების უპირატესობების შესახებ, არ აქვთ შესაბამისი ცოდნა გარე მომსახურების პროექტების მართვის შესახებ და არ შეუძლიათ გარე მომსახურების მიწოდების ჯაჭვისა და ლოგისტიკური პროცესების მართვა. აქედან გამომდინარე, ლოგისტიკური სერვისების ღირებულება მაღალია და ადგილობრივი კომპანიების კონკურენტუნარიანობა – დაბალი. მცირე ზომის პროვაიდერები მომხმარებელს სთავაზობენ შეზღუდული რაოდენობის 2PL მომსახურებას, როგორიცაა ტვირთების გადაზიდვა და საწყობების გაქირავება.

2019 წლის მონაცემებით, საქართველოში გაქირავებადი ინდუსტრიული და სასაწყობე სივრცის ფართი, დაახლოებით 1.16 მლნ კვადრატული მეტრია, ხოლო ჯამური ინდუსტრიული და სასაწყობე ფართი 2.5 მილიონი კვადრატული მეტრი. აღნიშნული ტიპის გაქირავებადი ფართის 66.1% თბილისში მდებარეობს. გაქირავებადი საწყობებიდან მხოლოდ დაახლოებით 1-2% მიეკუთვნება A-კლასის საწყობს, ხოლო B და C კლასის საწყობები თითქმის თანაბრად ინაწილებენ დაახლოებით 48-48%-ს. მხოლოდ რამდენიმე საწყობს გააჩნია თერმორეგულაცია საკვები პროდუქტების შენახვისათვის, რაც არ შეესაბამება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. თბილისში ახალი საწყობების უმრავლესობაც B კლასს მიეკუთვნება. ფოთსა და ბათუმში მხოლოდ რამდენიმე B კლასის საწყობია. რეგიონებში საწყობების უმრავლესობა მოძველებული ობიექტებია, რომლებიც C კლასს მიეკუთვნებიან (National Logistics Strategy of Georgia for 2021-2030:9).

სწორედაც, საქართველოს ლოგისტიკის სექტორის წინაშე არსებული ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ლოგისტიკის თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარება და საინფორმაციო – საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად, შესაძლებელია ლოგისტიკური ოპერაციების ეფექტურობის გაზრდა.

მნიშვნელოვანი გამოწვევაა, აგრეთვე, ლოგისტიკური მომსახურების ხარისხი. ლოგისტიკური მომსახურების ხარისხს უამრავი ფაქტორი განსაზღვრავს, მათ შორის მნიშვნელოვანია:

- მიწოდების საიმედოობა;
- სრული დრო – საქონლის პარტიაზე შეკვეთის მიღებიდან მიწოდებამდე;
- დრო შეკვეთის განხორციელებაზე;
- მარაგის არსებობა;
- კრედიტის შეთავაზების შესაძლებლობა (Veshapidze et al., 2012, 59).

საქართველოსთვის, როგორც რეგიონალური ლოგისტიკური ჰაბისთვის, მნიშვნელოვანია, ადგილობრივ და რეგიონალურ მიწოდების ჯაჭვში დამატებული ღირებულების მომსახურებების (VAS) ინტეგრაცია. დამატებული ღირებულების მომსახურებების ინტეგრაცია საქართველოს საშუალებას მისცემს ტრანზიტული გადაზიდვებიდან უფრო მეტი ეკონომიკური სარგებელი მიიღოს.

ლოგისტიკის ეფექტურობისათვის, გასათვალისწინებელია, ლოგისტიკური ხარჯები: ქართული კომპანიების ლოგის-

ტიკური ხარჯები მთლიანი ხარჯების საშუალოდ 15-20%-ს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება საერთაშორისო პრაქტიკაში არსებულ ნიშნულს. მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებში სამომხმარებლო საქონლის წარმოების საშუალო ლოგისტიკური ხარჯები მიღებული შემოსავლების 5%-ს შეადგენს, საავტომობილო მრეწველობაში – 4%-ს, ხოლო ელექტროაპარატურის წარმოებაში – 6%-ს. გადაზიდვების და დისტრიბუციის გაზრდილ ხარჯებს საქართველოში განაპირობებს კონსოლიდაციისა და დეკონსოლიდაციის ოპერაციების დეფიციტი, ლოგისტიკური აქტივების დაბალი მწარმოებლობა და მოძრავი შემადგენლობების არაეფექტიანი გამოყენება. მაღალი ლოგისტიკური ხარჯების კიდევ ერთი მიზეზია მაღალი სასაწყობო დანახარჯები, რაც მიწოდების ჯაჭვის მართვის არადამაკმაყოფილებელი პრაქტიკის შედეგია (National Logistics Strategy of Georgia for 2021-2030, 10).

კომპანიების კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად, მნიშვნელოვანი ფაქტორია მიწოდების ჯაჭვის ეფექტიანი მართვა. საჭიროა, დაინერგოს მიწოდების ჯაჭვის მართვის საუკეთესო საერთაშორისო მეთოდები გლობალური მიწოდების ჯაჭვში ინტეგრირებისა და ლოგისტიკის და ვაჭრობის სფეროების კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით. საქართველოში დღეს პრობლემას წარმოადგენს ლოგისტიკური სისტემის სტაბილურობა, რადგან არ არის შესაბამისი ცოდნა მიწოდების ჯაჭვის მართვის შესახებ, მაღალია ლოგისტიკური ხარჯები და ნაკლებია კოორდინაცია შეკვეთის დამუშავების, მარაგების მართვის, დასაწყობების და განაწილების თვალსაზრისით. ამის გამო, ხშირად ზარალდებიან კომპანიები. კომპანიების უმრავლესობა არ აკონტროლებს მიწოდების ჯაჭვის ეფექტურობას და ლოგისტიკის ხარჯებს, რაც საბოლოოდ მათ დაბალ ეფექტურობას და არაკონკურენტუნარიანობას იწვევს.

საქართველოში, მეტწილად, არ არსებობს ლოგისტიკის სფეროს მარეგულირებელი ჩარჩო პირობები. 3PL სერვისის პროვაიდერები, საწყობის ოპერატორები, ტვირთების ექსპედიტორები, მარაგების მართვის კომპანიები და ა.შ., ფუნქციონირებენ მარეგულირებელი ჩარჩოების სრული არარსებობის პირობებში. კერძოდ:

- ლოგისტიკური სფეროს სამუშაო ძალის მიმართ არ არსებობს აკრედიტაციის პროცედურები;
- ლოგისტიკური ობიექტების მდებარეობის შერჩევაზე და განთავსებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი სივრცითი მოწყობის გეგმები მხედველობაში არ მიიღება (National Logistics Strategy of Georgia for 2021-2030, 12).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არსებობს ტექნიკური სტანდარტები და რეგულაციები შენობებისა და საწყობებისათვის, მაგრამ ეს განიხილება, როგორც წარმოების პროცესი და არ ითვალისწინებს ლოგისტიკის პირობებს. მისასალმებელია, რომ იგეგმება IBC 2021 წლის რედაქციის რევიზია და დანერგვის მიზანშეწონილობის განსაზღვრა.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში ლოგისტიკის სექტორის მდგომარეობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, მსოფლიო ბანკის ლოგისტიკის ინდექსი (LPI), სადაც საქართველოს არც თუ სახარბიელო ადგილი უჭირავს (119-ე ადგილი 160 ქვეყანას შორის). ლოგისტიკის ინდექსი ასახავს მომსახურების საერთაშორისო მიმწოდებლებისა და ბიზნეს ოპერატორების ხედვას, თუ როგორ არიან ქვეყნები ინტეგრირებული გლობალური ლოგისტიკის ქსელში, მათი ძირითადი სავაჭრო „კარიბჭეების" საშუალებით. ამიტომ, ის ასახავს არა მხოლოდ ქვეყნის მასშტაბით მომხდარ ცვლილებებს, არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ პრობლემებსაც.

უნდა აღინიშნოს, რომ გასული ათწლეულის მანძილზე საქართველომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დიდი ინვესტიციები განახორციელა, მაგრამ ლოგისტიკური და ინტერმოდალური ინფრასტრუქტურა განსავითარებელი რჩება, რაც იწვევს ლოგისტიკის სისტემის ექსპლუატაციის დაბალ ეფექტურობას, შედარებით მაღალ ღირებულებას და ნაკლებ საიმედოობას, რაც უარყოფითად აისახება საერთაშორისო გადაზიდვებზე.

COVID-19-მა არა მარტო ჯანდაცვის სისტემაზე, არამედ გლობალურ კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე მოახდინა გავლენა, მათ შორის ტრანსპორტირებასა და ლოგისტიკაზე. პანდემიის დაწყებამ ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სისტემების კრიტიკული მნიშვნელობა როგორც სახელმწიფო, ისე საერთაშორისო დონეზე დაადასტურა და უფრო მწვავედ გამოაჩინა ხარვეზები, რომლებსაც ადრე არ ეთმობოდა დიდი ყურადღება. მიღწეული წარმატებების მიუხედავად, არაერთი გამოწვევა რჩება საქართველოს რეგიონული სატრანზიტო და ლოგისტიკურ ჰაბად გარდაქმნისთვის. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესებისაკენ მიმართული ძალისხმევა უნდა გაგრძელდეს არსებული შემზღუდავი ფაქტორების სრულ აღმოფხვრამდე. მომსახურების დაბალი ხარისხი, მოძველებული ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა, მიწოდების ჯაჭვის არაეფექტიანი მენეჯმენტი, ასევე, სამუშაო ძალის ორგანიზების და კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, პრობლემების არასრული ჩამონათვალია.

ეფექტიანი და თანმიმდევრული სატრანსპორტო და ლოგისტიკური განვითარების პოლიტიკა საქართველოში ინვესტირებას უფრო მიმზიდველს გახდის და ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებსაც გააუმჯობესებს.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

Kutelia, B. (2020). Critical icfrastructure protection: Transport and Logistics, *Economic Policy Research Center*, Tbilisi; (In Georgian). https://eprc.ge/uploads/Critical_infrastructure_geo.pdf 20.07.2021.

Logistics and shipping guide, https://www.inboundlogistics.com/cms/logistics-glossary/ 10.07.2021

National Logistics Strategy of Georgia for 2021-2030, (In Georgian). file:///C:/Users/user/Desktop/logistics_strategy_2021_2030.pdf

Osadze, L. (2009). The role of logistics system in the economic activity of firms, *Business and Management*, N1, Batumi, BSU, (In Georgian).

Veshapidze, Sh., Osadze, L., & Sekhniashvili, D. (2012), Logistics, e. Handbook, Tbilisi, (In Georgian). http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/10192/3/Logistika.pdf

Veshapidze, Sh., Osadze, L., & Tsetskhladze, S. (2011), Information Systems in Logistics, j. *New Economist*, 4(23), Tbilisi, Loi. (In Georgian).

დემოგრაფია, დასაქმება, მაკროეკონომიკა და ფინანსები

DEMOGRAPHY, EMPLOYMENT, MACROECONOMICS AND FINANCES

JEL Classification: I 20, J10. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.017

LABOUR MARKET AND PECULIARITIES OF INFORMAL EMPLOYMENT IN THE CONTEXT OF THE GLOBAL PANDEMIC

MURMAN TSARTSIDZE

Doctor of Economic Sciences, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Academician of the Georgian Academy of Economic Sciences, Georgia
murman.tsartsidze@tsu.ge

NATELA LATSABIDZE

Academic Doctor, invite professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
natela.latsabidze@tsu.ge

Abstract. In terms of overcoming the socio-economic problems in Georgia, great importance is attached to efficient functioning of the labour market. It must ensure a radical change the sphere of social-labour relations, accordingly, efficient overcoming the chronic unemployment in the country and efficient employment of labour force. The results of the research confirms, that adequate labour market of normal market environment is still on the formation stage with serious problems and challenges which is developed in Georgia. In 1990s at the initial stage of formation the national labour market difficult economic situation which was in the country, give a push negative developments in the field of labour relations, among which before nowadays invincible challenge is the growing trend of informal employment. It can be said, that this one took on a large-scale character in the current period of financial and economic crisis caused by the global pandemic. In fact, the informal sector in Georgia has become an independent segment of the labour market, which has a significant impact on employment of the population, standard of living and on the overall process of economic development. Informal employment, as an important study socio-economic event and phenomenon, assess its level and scale, it can be said convincingly that it will not lose its relevance for many years. Negative consequences of informal employment, needs analysis and evaluation factors affecting the influx of economically active population into the informal sector of the labour market. Also its important discuss and evaluate the positive aspects of informal employment in the short term, which manifested in facilitation reasons socio-economic and psychological consequences of unemployment.

In the work researched certain aspects of informal employment, analyzed its forms, faces, identified peculiarities of informal employment and rated its scale against the background of the global pandemic. Substantiated, that informal segment of the labour market requires depth research and evaluation. By the research identified the main factors for the growth and development of employment in the informal sector of economy in the Georgian labour market, from which we must distinguish: high levels and scale of poverty in the country, chronic unemployment and inefficient employment; insecurity social principle of justice in the field of employment; equal employment opportunities for job seekers; lack of proper conditions for equal realization of labour rights; population low availability on different types of labour market services and events, inadequate rates of economic development; reduced demand for labour, accordingly limited employment opportunities and prospects; low level and quality of development of vocational education system, which not fully focused on labour market demands, social protection of the unemployed, none of insurance mechanism; difficulties in training and retraining the unemployed; low level of remuneration; low level of stimulation, motivation and labour organization, underdevelopment of labour market infrastructure and its management information system, problems in the field of management and regulation of social-labour relations, which connected to the development of the legislative-normative base, lack of a complete mechanism for controlling the working conditions of employees and etc. The main results of the research are summarized in the concluding part of the work.

KEYWORDS: LABOUR MARKET, INFORMAL SEGMENT OF LABOUR MARKET, UNEMPLOYMENT, INFORMAL EMPLOYMENT, PANDEMIC.

For citation: Tsartsidze, M., Latsabidze, N., (2021). Labour Market and Peculiarities of Informal Employment in the Context of the Global Pandemic. *Globalization and Business.* 12, 123-132. (In Georgian). https://doi.org/10.35945/gb.2021.12.017

JEL Classification: I 20, J10. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.017

შრომის ბაზარი და არაფორმალური დასაქმების თავისებურებები გლობალური პანდემიის პირობებში

მურმან ცარციძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველო
murman.tsartsidze@tsu.ge

ნათელა ლაცაბიძე
აკადემიური დოქტორი, მოწვეული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
natela.latsabidze@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: შრომის ბაზარი, შრომის ბაზრის არაფორმალური სეგმენტი, უმუშევრობა, არაფორმალური დასაქმება, პანდემია.

ციტირებისთვის: ცარციძე, მ., ლაცაბიძე, ნ., (2021). შრომის ბაზარი და არაფორმალური დასაქმების თავისებურებები გლობალური პანდემიის პირობებში. *გლობალიზაცია და ბიზნესი.* 12, 123-132. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.017

შესავალი

არაფორმალური შრომის ბაზარი და შესაბამისად, არაფორმალური დასაქმება ნიშანდობლივია როგორც განვითარებადი, ასევე ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისათვის და გარკვეულ როლს ასრულებს ეკონომიკური ზრდისა და განვითარების საერთო პროცესში. ამასთან, იგი მიჩნეულია როგორც მოსახლეობის ცალკეული სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების ცხოვრების დონის უზრუნველყოფისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ერთ-ერთ ბერკეტად.

თანამედროვე გლობალური პანდემიის პირობებში, არაფორმალურ დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევის აქტუალობა საქართველოსათვის განპირობებულია მისი მაშტაბურობითა და როლით ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში. კერძოდ, ბოლო წლებში ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის ცვლილებებმა (Abesadze, 2020; Bedianashvili, 2018; Bedianashvili & Maglakelidze, 2021; Gaganidze, 2018; Gelashvili et al., 2012; Gvelesiani, 2010, 2021) საქართველოში განაპირობა მთელი რიგი ახალი მოვლენების განვითარება მოსახლეობის დასაქმების სფეროში. მათ შეიძლება მივაკუთნოთ: შრომის ბაზრის სეგმენტაცია საკუთრების ფორმებისა და დასაქმების სტატუსის მიხედვით, დასაქმების მასშტაბების ზრდა მცირე ბიზნესის სფეროში, სამუშაო ძალის ინტენსიური გადადინება ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში. შეიძლება ითქვას, რომ შრომის ბაზარზე ჩამოყალიბდა კრიზისული სიტუაცია, რომელიც დაკავშირებულია არა მხოლოდ დაქირავებულ მომუშავეთა სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესებასა და მათი შრომის ანაზღაურების შემცირებასთან, არამედ ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში სამუშაო ადგილებზე მოთხოვნის გადიდებასთან. ამასთან, არაფორმალური დასაქმების ზრდა ხდება შრომის ბაზრის ფუნქციონირების კანონზომიერი შედეგი, რომელიც გარკვეულ როლს ასრულებს მისი ძირითადი ფუნქციების რეალიზაციაში.

არაფორმალური დასაქმების არცთუ მცირე მასშტაბების მიუხედავად, ვთვლით, რომ შრომის ბაზრის ეს სეგმენტი სიღრმისეულად შესწავლილი არ არის. შესაბამისად მცირეა სამეცნიერო ნაშრომებიც, რომლებიც ეძღვნება არაფორმალური დასაქმების ფორმირების კანონზომიერებებსა და შრომის ბაზართან მის ურთიერთკავშირს. ასევე აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების პირობებში ქვეყანაში პრაქტიკულად არ არსებობს კვლევები არაფორმალური დასაქმების შეფასებისა და აღრიცხვის მეთოდებთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანი და აქტუალურია კვლევების განხორციელება, რომელიც საშუალებას მოგვცემს, შევაფასოთ არაფორმალური დასაქმების

დონე და მასშტაბები, მისი რეგულირების მიმართულებები და გავლენა შრომის ბაზრის ფუნქციონირებაზე. თანამედროვე გლობალიზაციისა და სოციალურ-შრომითი ურთიერთობების განვითარების პირობებში, ჩნდება არაფორმალური დასაქმების ფორმირების კანონზომიერებების და თავისებურებების კვლევის ობიექტური აუცილებლობა სამეურნეო სუბიექტების დონეზეც. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული არაფორმალური დასაქმების აღრიცხვისა და მასშტაბების ობიექტური შეფასების საფუძველს შექმნის. არაფორმალური დასაქმების სიღრმისეული კვლევის აქტუალობას აძლიერებს ისიც, რომ მისი დონე ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, საკმაოდ მაღალია – საშუალოდ ქვეყანაში 35.0% 2020 წელს (http://www.geostat.ge/). ემპირიული კვლევების მონაცემები ადასტურებს, რომ ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა დინამიკა მზარდი ტემპით ხასიათდება, რომელიც თავის მხრივ მჭიდრო კავშირშია დასაქმების ფორმალურ სექტორთან. საქართველოს ეკონომიკაში არაფორმალური დასაქმების დონე და გამოვლენის მრავალმხრივი ფორმები, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის გადადინების მასშტაბები ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში კიდევ ერთხელ ადასტურებს მისი სიღრმისეული კვლევის აუცილებლობას.

არაფორმალური დასაქმების კვლევისას ნეგატიურ მხარეებთან ერთად ყურადღება უნდა გამახვილდეს მის დადებით ასპექტებზეც, ყოველ შემთხვევაში, მოკლევადიან პერიოდში. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ იგი რეალურად ამცირებს უმუშევრობის არსებულ დონეს და ხელს უწყობს მოსახლეობის ცალკეული სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების დასაქმებას ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროში საკუთარი შემოსავლის გაზრდის ან საარსებო საშუალებების უზრუნველყოფის მიზნით. შესაბამისად, მცირდება დაძაბულობის ხარისხი შრომის ბაზარზე, უმუშევრობით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური დანაკარგები, უმუშევრების სოციალური დაზღვევის, მათი მომზადებისა და გადამზადების პროგრამების დაფინანსების ხარჯები. ხდება ცალკეული კატეგორიის მომუშავეთა პროფესიულ-კვალიფიციური უნარ-ჩვევების შენარჩუნება, ცალკეულ შემთხვევებში განვითარება, პროფესიული გამოცდილების ზრდა, შრომითი საქმიანობის აქტივიზაცია და მისი მწარმოებლურობის ამაღლება. შედეგად, გარკვეულწილად უმჯობესდება მოსახლეობის შრომითი ცხოვრების ხარისხი და ცხოვრების დონე, მცირდება სიღარიბის დონე და მასშტაბები.

არაფორმალური დასაქმების თავისებურებები და მისი გამოვლინების ფორმები საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში

1990-იანი წლებიდან დაწყებული, საქართველოში რთული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების განვითარებამ (ათასობით სამუშაო ადგილების გაუქმება, დასაქმების პირობების გაუარესება, შრომის ანაზღაურების ორგანიზაციისა და სტიმულირების დაბალი დონე, უმუშევრობის ზრდა, ცხოვრების დონის დაცემა და ა.შ.), ბიძგი მისცა სხვადასხვა ნეგატიური ტენდენციის ფორმირებას, რომელთა შორის ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევაა-ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში მოსახლეობის დასაქმების ზრდა. „საქართველოს, ისევე, როგორც სხვა მსგავსი განვითარების ქვეყნების, შრომის ბაზრის ერთ-ერთი თავისებურებაა არაფორმალური დასაქმების (თვითდასაქმებულების გარკვეული ნაწილის და ე.წ. არაფორმალურ სექტორში დასაქმების) მაღალი წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში. თვითდასაქმებულთა უმრავლესობა ეწევა არაფორმალურ, დაურეგისტრირებელ საქმიანობას ...საქართველოში დასაქმებულთა საერთო რაოდენობიდან მხოლოდ 38.0%-ია დაქირავებით მომუშავე, დანარჩენი კი თვითდასაქმებული და არაფორმალურად დასაქმებულია" (Resolution N199, 2013). არაფორმალურმა დასაქმებამ საქართველოში საკმაოდ დიდი მასშტაბები განსაკუთრებით ბოლო წლებში მიიღო, რისი ძირითადი მიზეზებიც ქრონიკული უმუშევრობა, განვითარებული ქვეყნების ბაზრებთან შედარებით დასაქმების შესაძლებლობების შეზღუდულობა და შრომის ანაზღაურების დაბალი დონეა. „მძიმე სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, რა თქმა უნდა, მოსახლეობა ცდილობს, მოძებნოს უკეთესი პირობები, სადაც შეძლებს დასაქმებას" (Papava, 2020). შესაბამისად, ქვეყანაში დამკვიდრდა არაფორმალური საქმიანობის სხვადასხვა სახეობები, რომელმაც პრაქტიკულად მოიცვა ქვეყნის ეკონომიკის წამყვანი სფეროები: მშენებლობა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, მომსახურების სფერო, ტრანსპორტი, განათლება, ჯანდაცვა, საფინანსო საქმიანობა და სხვა. მსოფლიო ბანკის ექსპერტების შეფასებებით, საქართველოში დასაქმებულთა მინიმუმ 32.0%-ია ჩართული რაიმე სახეობის არაფორმალურ საქმიანობაში.

ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში დასაქმება არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების აქტუალური პრობლემაცაა. „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) მონაცემებით, მსოფლიოში დასაქმებულთა 61.2% დაკავშირებულია ეკონომიკის არაფორმალურ სექტორთან" (ILO, 2018). სამწუხაროდ, ოფიციალური სტატისტიკა იგნორირებას უკეთებდა და საჭიროდ არ თვლიდა არაფორმალურ დასაქმებასთან დაკავშირებული მონაცემების მოპოვებას. იგი დროებით მოვლენად განიხილებოდა და ითვლებოდა, რომ ეკონომიკური განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის შესაბამისად აღმოიფხვრებოდა – მოხდებოდა მისი სრული ლეგალიზაცია. თუმცა, უკანასკნელ ათწლეულებში ეკონომიკური განვითარების არასათანადო ტემპებმა, სტრუქტურულმა გარდაქმნებმა, ურბანიზაციის მაღალმა დონემ, მოსახლეობის მატებამ, ფინანსურმა კრიზისმა, სიღარიბის მასშტაბებმა და სხვა მოვლენებმა ბევრ ქვეყანაში არაფორმალური დასაქმების მოულოდნელი და უპრეცედენტო გაფართოება გამოიწვია. აუცილებელი გახდა ამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენის შესწავლა, შეფასება, აღრიცხვა, გამომწვევი

მიზეზებისა და მოქმედი ფაქტორების გამოვლენა. საერთა–შორისო დონეზე, ამ მხრივ, საყურადღებოა სტატისტიკოსთა საერთაშორისო კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუცია, რომელიც შეეხება არაფორმალური სექტორის სტატისტიკური განსაზღვრის კრიტერიუმებს და რეკომენდაციებს იძლევა მისი გამოკვლევის შესახებ. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) მიერ არაფორმალური სექტორი განისაზღვრა როგორც წვრილი სამეურნეო, სამეწარმეო ერთეულების მიერ განხორციელებული დამოუკიდებელი საქმიანობა საქონლის, მომსახურების წარმოებისა და რეალიზაციის მიზნით, სადაც ძირითადად გამოიყენება ოჯახის წევრებისა და მათ მიერ დაქირავებულ მომუშავეთა შრომა (KILM 8…, 2020). ანუ აღნიშნულ სექტორში ძირითადად ჩართულია დამოუკიდებელი, თვითდასაქმებული მწარმოებლები. ზოგიერთი მათგანი ოჯახის წევრების, დაქირავებულების და მოწაფეების შრომასაც იყენებს. ამასთან, აუცილებელია არაფორმალური სექტორი გაიმიჯნოს კრიმინალური და ჩრდილოვანი ეკონომიკისაგან. იგი არ მოიცავს იმ დასაქმებულებს, რომლებიც ეწევიან აკრძალულ საქმიანობას (ნარკოტიკების წარმოება და რეალიზაცია და სხვა). ამიტომ არაფორმალურ სექტორს მიაკუთვნებენ იმ პირთა მიერ დამოუკიდებლად ან წვრილი სამეურნეო ერთეულის ფარგლებში განხორციელებული არარეგისტრირებულ საქმიანობას, რომლებიც არ იხდიან გადასახადს. საქმიანობა შეიძლება წარიმართოს საკუთარი სახსრების ხარჯზე ან ფორმალური სექტორის შრომის საშუალებების გამოყენებით. დაქირავებული მომუშავეების დასაქმება ითვლება არაფორმალურად იმ შემთხვევაში, თუ მათი შრომითი ურთიერთობები პრაქტიკულად არ რეგულირდება ეროვნული შრომითი კანონმდებლობის შესაბამისად, შემოსავლები არ იბეგრება, დასაქმებულებზე არ ვრცელდება სოციალური დაცვის სისტემა და სოციალური გარანტიები.

გვინდა შევნიშნოთ, რომ არაფორმალური დასაქმება უმთავრესად ხორციელდება ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში, მაგრამ ასეთივე საქმიანობა შეიძლება მოხერხდეს ფორმალურ სექტორშიც, ფორმალური სექტორის წარმოების საშუალებების გამოყენებით. კერძოდ, არაფორმალურად დასაქმებულებს უნდა მივაკუთვნოთ:

- არაფორმალური სექტორის საკუთარ საწარმოებში საკუთარი სახსრებით მომუშავე პირები;
- არაფორმალური სექტორის საწარმოებში დაქირავებული პირები;
- მომუშავეები–ოჯახის წევრები, მიუხედავად იმისა, დასაქმებულები არიან ისინი რეალური ეკონომიკის, თუ არაფორმალური სექტორის საწარმოებში;
- არაფორმალური საწარმოო კოოპერატივების წევრები;
- დაქირავებული მომუშავეები, რომლებსაც უკავიათ არაფორმალური სამუშაო ადგილები რეალური ეკონომიკის საწარმოებში;
- საკუთარი სახსრებით მომუშავე პირები, დაკავებულნი იმ საქონლისა და მომსახურების წარმოებით, რომლებიც გათვალისწინებულია მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შრომის სტატისტიკოსთა მე–17 საერთაშორისო კონფერენციის რეკომენდაციების შესაბამისად, არაფორმალური დასაქმება განმარტებულია როგორც „ფორმალური სექტორის საწარმოებში არაფორმალური სექტორის საწარმოებსა და შინამეურნეობებში არაფორმალური სამუშაო ადგილების საერთო რაოდენობა, მათ შორის ის არაფორმალური სამუშაო ადგილები, რომლებიც უკავიათ დამსაქმებლებს, დაქირავებულ მომუშავეებს და თვითდასაქმებულებს საკუთარი საწარმოს არაფორმალურ სექტორში, არაფორმალური საწარმოო კოოპერატივების წევრებს, ოჯახის დამხმარე წევრებს, ფორმალურ ან არაფორ–

ცხრილი 1. ფორმალური და არაფორმალური დასაქმების მახასიათებლები და მათი თავისებურებები

ძირითადი მახასიათებლები	ფორმალური შრომითი ურთიერთობები	არაფორმალური შრომითი ურთიერთობები
სამართლებრივი საფუძვლები	ურთიერთობები შრომის კანონმდებლობის შესაბამისად	ზეპირსიტყვიერი გარიგება, შეთანხმება
დასაქმების მიზანი	ხელფასის, შემოსავლის მიღება	ძირითადად საარსებო საშუალებებზე ორიენტაცია
შრომის პირობები	შრომითი კონტრაქტით განსაზღვრული კონკრეტული პირობები	შრომის პირობების განუსაზღვრელობის მაღალი რისკი
შრომის დაცვა	კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დაცვის აუცილებლობა	შრომის დაუცველობის მაღალი რისკი
შრომის ანაზღაურება	კონტრაქტით განსაზღვრუ-ლი ანაზღაურება	ანაზღაურება სიტყვიერი შეთანხმებით/გარიგებით
მომუშავის ინტერესების დაცვა	შესაბამისი კანონმდებლობით გარანტირებული უფლებების დაცვა	უფლებების დაცვის დამოკიდებულება დამსაქმებლის პიროვნულ თვისებებზე
შრომითი ვალდებულებების შესრულება	უზრუნველყოფილია სანქციებით განთავისუფლებამდე	უზრუნველყოფილია ხელფასის გაუცემლობით

ცხრილი შედგენილია ავტორების მიერ.

მალურ საწარმოში მომუშავე პირებს და თვითდასაქმებულებს, რომლებიც აწარმოებენ საქონელს საკუთარი საბოლოო მოხმარებისათვის თავიანთი შინამეურნეობების ბაზაზე" (KILM 8..., 2020).

დასაქმების ხასიათის, თავისებურებების, მასშტაბების და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ტენდენციებიდან გამომდინარე, არაფორმალური დასაქმების კლასიფიკაცია შეიძლება განვახორციელოთ შემდეგი ძირითადი ნიშნების მიხედვითაც: დასაქმების ხასიათისა და საქმიანობის სახეობების მიხედვით (კვალიფიციური და არაკვალიფიციური სამუშაოები); დასაქმების სტატუსის მიხედვით; არაფორმალური საქმიანობის განხორციელებისა და შემოსავლების მიღების მეთოდების მიხედვით (Tsartsidze, 2004).

არაფორმალური დასაქმების არსისა და თავისებურებების დეტალური ანალიზისათვის მიზანშეწონილია, ერთმანეთს შევადაროთ ფორმალური და არაფორმალური დასაქმების საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. მათ შორის პრინციპული განსხვავებაა არა მარტო სამართლებრივი საფუძვლების, არამედ დასაქმების ძირითადი მიზნების მიხედვით (იხ. ცხრილი 1).

მსოფლიოს ხუთი ძირითადი რეგიონიდან, არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა წილით (85.8%) ლიდერობს აფრიკა. აზია-წყნარი ოკეანის რეგიონსა და არაბულ ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებელი თითქმის თანაბარია და შესაბამისად 68.2% და 68.6%-ს შეადგენს. სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკაში 40.0%-ს. ევროპასა და ცენტრალურ აზიაში კი საშუალოდ 25.1%-ია (იხ. ცხრილი 2).

მსოფლიო მასშტაბით არაფორმალური დასაქმების 93.0% მოდის განვითარებად და ისეთ ქვეყნებზე, რომლებიც საბაზრო ეკონომიკს ფორმირების სტადიაში იმყოფებიან. არაფორმალური დასაქმება უფრო გავრცელებულია მამაკაცებში (63.0%), ვიდრე ქალებში (58.1%). სულ მსოფლიოში არაფორმალურ სექტორში მომუშავე პირებიდან (2.0 მილიარდი, დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 61.2%) ქალთა რიცხოვნობა დაახლოებით 740.0 მილონია, რაც საერთო რაოდენობის 37.0%-ს შეადგენს (ILO, 2018). ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც გავლენას ახდენს არაფორმალურ დასაქმების დონესა და მასტაბებზე, განათლების დონეა. კერძოდ, რაც მაღალია განათლების ხარისხი, მით დაბალია არაფორმალური დასაქმების დონე. მისი მასშტაბები ორჯერ მაღალია სასოფლო ტიპის დასახლებებში, ვიდრე ქალაქის მოსახლეობაში. რაც შეეხება თვით სოფლის მეურნეობას, იგი არაფორმალური დასაქმების მაღალი წილით გამოირჩევა (90.0%-ზე მეტი) (ILO, 2018). განვითარებად ქვეყნებში არაფორმალური სექტორის წვლილი მნიშვნელოვანია მთლიანი სამამულო პროდუქტის წარმოებაში, იგი 5%-დან 35%-მდე მერყეობს, აქ თავმოყრილია ქალაქად დასაქმებულთა 1/3-დან 1/2-მდე (იხ. ცხრილი-3).

ცხადია, რომ კრიზისულმა მოვლენებმა განაპირობა არაფორმალური დასაქმების ზრდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებ-

ცხრილი 2. არაფორმალური დასაქმების დონე მთლიანად დასაქმებული მოსახლეობის რიცხოვნობასთან მიმართებაში მსოფლიოს ძირითადი რეგიონების მიხედვით

N	მსოფლიოს რეგიონის დასახელება	არაფორმალური დასაქმება (%)
1	აფრიკა	85.8%
2	აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი	68.2%
3	არაბული ქვეყნები	68.6%
4	სამხრეთი და ჩრდილოეთ ამერიკა	40.0%
5	ევროპა და ცენტრალური აზია	25.1%
	საშუალოდ მსოფლიოში	61.2%

ცხრილი შედგენილია ავტორების მიერ. წყარო: Women and men in the informal economy (2018): A statistical picture. Third edition. Report. International Labour Office, Geneva. Copyright ©International Labour Organization. First published 2018 Web PDF: 9789221315810[ISBN]. https://www.ilo.org/global/publications/books/WCMS_626831/lang--en/index.htm.


შიც. მაგალითად, უკრაინის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემებით, არაფორმალურ სექტორში დასაქმებულია 4.5 მილიონი ადამიანი (დასაქმებული მოსახლეობის 20.0%), ცალკეული კვლევის შედეგებით აღნიშნული მაჩვენებელი 40.0%-ია, ხოლო უკრაინის ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით – 16.0%-20.0%-ს შეადგენს (Informal, 2020).

დიდია არაფორმალური დასაქმების მასშტაბები რუსეთის ფედერაციაშიც. საერთაშორისო აუდიტორულ-კონსალტინგური ქსელის (FinExpertiza) ანალიტიკური სამსახურის მონაცემებით, რუსეთის შრომის ბაზარზე არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2020 წლის ივნისის მდგომარეობით 13.57 მლნ. კაცი იყო, რაც დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 19.4%-ს შეადგენს.

როგორც ანალიზის შედეგად დგინდება, მარტის თვემდე, კორონავირუსის გავრცელების დაწყებამდე და, შესაბამისად, მკაცრი სოციალურ-ეკონომიკური შეზღუდვების შემოღებამდე, ქვეყანაში არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 925.0 ათასი კაცით მეტი იყო, რაც დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 20.3%-ს შეადგენდა (Research..., 2020).

სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოში არაფორმალური დასაქმების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია

სქემა 1.



2017 წლიდან ფიქსირდება. 2018 და 2020 წელს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარდა მნიშვნელოვანი სამუშაოები სამუშაო ძალის აღრიცხვის მეთოდოლოგიის სრულყოფასა და ამ სფეროში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ახალი სტანდარტების დანერგვის მიმართულებით. შესაბამისად, დასაქმების ეფექტიანობის შეფასების მიზნით, ქვეყნდება ახალი დამატებითი ინფორმაცია: ნამუშევარი საათების შესახებ, სამუშაოზე დაკავებული პოზიციების მიხედვით დასაქმებულთა შესახებ, არაფორმალური დასაქმების შესახებ (იხ. ცხრილი 4).

აღნიშნული მაჩვენებლები სრულ შესაბამისობაშია დასაქმების საერთაშორისო სტანდარტულ კლასიფიკატორთან (Tsartsidze, 2019). როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, არასასოფლო-სამეურნეო სფეროში არაფორმალურად დასაქმებულთა წილი 2018 წელს ქვეყნის მასშტაბით 36.2%-ს შეადგენდა, რაც 2.3%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. აღნიშნული პერიოდისათვის იგი ზრდის ტენდენციით ხასიათდება როგორც სოფლის, ასევე ქალაქის მიხედვით. კერძოდ, თუ ქალაქის დასახლებებში არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა წილი 33.2%-დან 34.6%-მდე, ანუ 1.4%-ით გაიზარდა, სოფლის მიხედვით აღიშნული მაჩვენებლის ზრდამ კიდევ უფრო მეტი – 4.2% შეადგინა. 2019 წელს განსხვავებული სურათია. კერძოდ, არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა წილი წინა წელთან შედარებით 1.5%-ით შემცირდა,

ცხრილი-3. არაფორმალური დასაქმება და მისი წილი მთლიან სამამულო პროდუქტში მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების მიხედვით

ქვეყანა	წილი GDP-ში (%)	ქვეყანა	წილი GDP-ში (%)
აზერბაიჯანი	59,3	ავსტრალია	14,0
ბელორუსი	19,1	ავსტრია	9,0
ესტონეთი	18,5	ბელგია	22,5
ყაზახეთი	34,2	დანია	18,3
ლატვია	34,8	ფინეთი	18,9
ლიეტუვა	25,2	საფრანგეთი	14,9
მოლდოვა	37,7	გერმანია	14,9
რუსეთი	41,0	დიდი ბრიტანეთი	14,0
უკრაინა	47,3	საბერძნეთი	29,0
ბულგარეთი	32,7	იტალია	27,3
უნგრეთი	28,4	იაპონია	11,1
პოლონეთი	13,9	შვეცია	19,9
რუმინეთი	18,3	შვეიცარია	8,1
სლოვაკეთი	10,2	აშშ	8,9

წყარო: ILO. www.ilo.org/wcmsp5/.

ცხრილი 4. არაფორმალურად დასაქმებულთა წილი არასასოფლო-სამეურნეო სფეროს დასაქმებულებში საქართველოში 2017-2019 წლებში

დასახელება	არაფორმალური დასაქმება (პროცენტებში)		
	2017	2018	2019
ქალი	29.2%	29.8%	29.2%
მამაკაცი	37.9%	41.5%	39.3%
ქალაქი	33.2%	34.6%	33.8%
სოფელი	35.8%	40.0%	36.8%
სულ	33.9%	36.2%	34.7%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.


მათ შორის ქალაქში 0.8%-ით, ხოლო სოფელში 3.2%-ით. არაფორმალური სექტორში დასაქმებული მამაკაცების წილი (39,3%, 2019 წელს), 10.1%-ით აღემატება ქალების წილს (29.2%). აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის არაფორმალური სექტორი უფრო მიმზიდველია (ან უფრო მეტად ახერხებენ სამუშაოს მოძიებას) მამაკაცებისათვის და ბოლო პერიოდში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის ტენდენციით ხასიათდება. დასკვნის სახით კი უნდა ითქვას, რომ არაფორმალურმა დასაქმებამ საქართველოში საკმაოდ დიდი მასშტაბები შეიძინა. მეტიც, **ფაქტობრივად არაფორმალური სექტორი გახდა შრომის ბაზრის დამოუკიდებელი სეგმენტი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის დასაქმების ხასიათზე, მის მასშტაბებზე, შრომითი ცხოვრების ხარისხზე, ცხოვრების დონესა და მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.**

არაფორმალური დასაქმებაზე მოქმედი ფაქტორები საქართველოში

არაფორმალურ დასაქმებას, როგორც მზარდ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენას, საერთაშორისო დონეზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა 1990-იანი წლებიდან. ცნობილი მიზეზების გამო, ხსენებული პერიოდი საქართველოსათვის განსაკუთრებით რთული იყო და ამ არასასურველმა მოვლენამაც მყისიერად იჩინა თავი. ცხადია, არაფორმალურმა დასაქმებამ ქართველი მკვლევარების ყურადღებაც მიიქცია. მაგალითად, არაფორმალური დასაქმების ზრდის მთავარ მიზეზად პროფესორი დ. ძნელაძე მიიჩნევდა სამუშაო ადგილების უკმარისობას და აღნიშნავდა, რომ „ახალი სამუშაო ადგილების უმეტესობა განვითარებად ქვეყნებში იქმნება არაფორმალურ სექტორში. ამ პროცესს ხელი შეუწყო ფორმალურ სექტორში ახალი სამუშაო ადგილების მატების დაბალმა დონემ" (Dzneladze, 2000). არაფორმალური დასაქმების მიზეზების, მოტივის და მასზე მოქმედი ფაქტორების კვლევისას დოქტორი ნ. ლაცაბიძე აკეთებს ძალზე საინტერესო დასკვნას, რომ „ცალკეულ ქვეყანაში განსხვავებულია ეკონომიკის არაფორმალური სექტორი და არაფორმალურ საქმიანობაში მონაწილეობის მოტივი. დასაქმებულთა ნაწილისათვის აღნიშნული საქმიანობა საარსებო სახსრების მოპოვების საშუალებაა, ნაწილისათვის-დამოუკიდებლობის გამოვლენისა და მოქნილი შრომის რეჟიმით მუშაობის შესაძლებლობა, ცალკეულ შემთხვევაში სოლიდური შემოსავლების იოლი გზით მიღების საშუალება (Latsabidze, 1999). მართლაც, საქართველოში ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში დასაქმების ზრდას მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის მოსახლეობის უმუშევრობის მაღალი დონე და მასშტაბები. „1990-იანი წლების ეკონომიკური კოლაფსის

სქემა 2.

არაფორმალურად დასაქმებულთა წილი არასასოფლო-სამეურნეო სფეროს დასაქმებულებში საქართველოში 2017-2019 წლებში (პროცენტებში)



	ქალი	მამაკაცი	ქალაქი	სოფელი	სულ
2017	29,2	37,9	33,2	35,8	33,9
2018	29,8	41,5	34,6	40	36,2
2019	29,2	39,3	33,8	36,8	34,7

შედეგად საქართველოში მკვეთრად შემცირდა სამუშაო ადგილების რაოდენობა და უმუშევრობამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ბოლო 10 წელიწადში ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მკვეთრი ზრდის მიუხედავად, ოფიციალური მონაცემებითაც, უმუშევრობა ქვეყანაში პერმანენტულად იზრდებოდა“ (Resolution N199, 2013). მან განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიმდინარე პერიოდში მიიღო და საგრძნობ გავლენას ახდენს მოსახლეობის ცხოვრების დონის ყველა პარამეტრზე, მაღალია უმუშევრობისა და სიღარიბის დონე და მასშტაბები, შესაბამისად დაბალია ცხოვრების დონე.

საქართველოს შრომის ბაზარზე ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში დასაქმების მასშტაბების ზრდა განაპირობა რიგმა მნიშვნელოვანმა ფაქტორებმაც, რომელთაგან უნდა აღინიშნოს:

- დასაქმების სფეროში არ არის უზრუნველყოფილი სოციალური სამართლია-ნობის პრინციპის დაცვა, სამუშაოს მაძიებელთათვის დასაქმების თანაბარი შესაძლებლობები, შრომითი უფლებების თანაბარი რეალიზაცია და სხვა;
- დაბალია მოსახლეობის ხელმისაწვდომობა შრომის ბაზრის სხვადასხვა სახის სერვისსა და ღონისძიებაზე;
- ეკონომიკური განვითარების არასათანადო ტემპების გამო მცირდება მოთხოვნა სამუშაო ძალაზე, შესაბამისად შეზღუდულია დასაქმების შესაძლებლობები და მისი პერსპექტივები;
- ჯერ კიდევ დაბალია პროფესიული განათლების სისტემის განვითარების დონე და ხარისხი, იგი სრულად არ არის ორიენტირებული შრომის ბაზრის მოთხოვნებზე. არ არსებობს უმაღლესი და პროფესიული განათლების კადრების მომზადება-გადამზადების ადეკვატური სისტემა;
- პრაქტიკულად არ არსებობს უმუშევართა სოციალური დაცვის და დაზღვევის მექანიზმი, ვერ ხორციელდება მათი გადამზადება მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების საფუძველზე;
- მნიშვნელოვანი პრობლემებია შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის სფეროში, სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს შრომის ორგანიზაციის, სტიმულირებისა და მოტივაციის დაბალი დონე;
- განუვითარებელია შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურა და მისი მართვის ერთიანი საინფორმაციო სისტემა;
- მნიშვნელოვანი პრობლემებია სოციალურ-შრომითი ურთიერთობების მართვისა და რეგულირების სფეროში, რომელიც უკავშირდება საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის განვითარებასაც, არსებული შრომითი კანონმდებლობა ჯერ კიდევ სრულად არ არის შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან;
- არ არის შემუშავებული დასაქმებულთა შრომის პირობების კონტროლის სრულყოფილი მექანიზმი და სხვა.

წინამდებარე სტატიაში გაანალიზებული მასალები და მოსაზრებები, გარკვეული დასკვნების გაკეთებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბების საშუალებას გვაძლევს:

1. საქართველოში ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში დასაქმება შეიძლება განვიხილოთ როგორც შრომის ბაზრის დამოუკიდებელი სეგმენტი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთლიანად ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმების ხასიათზე, მის მასშტაბებზე, შრომითი ცხოვრების ხარისხზე, ცხოვრების დონესა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

2. არაფორმალური დასაქმების უარყოფითი შედეგები გავლენას ახდენს როგორც უშუალოდ დასაქმებულებზე, ასევე ქვეყნის ეკონომიკაზე რადგან:

- არაფორმალური საქმიანობა ხორციელდება სახელმწიფო კონტროლისა და რეგულირების გარეშე;
- დასაქმებულებზე არ ვრცელდება ტრენინგების, მომზადებისა და გადამზადების პროგრამები, რომლის მიზანია მომუშავეთა პროფესიული ზრდა და კვალიფიკაციის ამაღლება, რის გამოც ადამიანური კაპიტალის განვითარების დონე და ხარისხი რჩება დაბალი;
- დასაქმებულებზე არ ვრცელდება სოციალური დაცვის გარანტიები;
- არ არსებობს დასაქმებულთა შრომის პირობების კონტროლის მექანიზმი;
- შრომის ანაზღაურების სიდიდე უმთავრესად განისაზღვრება ზეპირსიტყვიერი შეთანხმებით და არ არსებობს მისი გაცემის გარანტიები;
- დაბალკვალიფიციურ სამუშაობზე დასაქმება ხშირად იწვევს პროფესიული უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის დაქვეითებას;
- დასაქმების არასტაბილური და არალეგარული ხასიათი აუარესებს სამუშაო ძალის ხარისხს;
- დამსაქმებლების მიერ დაბალკვალიფიციური შრომის გამოყენება იწვევს წარმოების მოდერნიზაციისა და განახლების ხარჯების შემცირებას, შესაბამისად, ხელს უშლის კაპიტალის ბაზარზე შეღწევას, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვას, პროდუქციის, სამუშაოს, მომსახურების ხარისხის ამაღლებას;
- პროდუქციის, სამუშაოს, მომსახურების ხარისხის კონტროლის სისტემის არარსებობის გამო, საბოლოო ჯამში, ზარალდებიან მომხმარებლები;
- დამსაქმებლების მიერ დასაბეგრი შემოსავლების დაფარვისა და შესაბამისი გადასახადების გადაუხდელობის გამო მნიშვნელოვნად მცირდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები.

3. არაფორმალური დასაქმება მოიცავს ეკონომიკური საქმიანობის თითქმის ყველა ძირითად სფეროს: ვაჭრობა და მომსახურების სფეროს წამყვანი დარგები, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ცალკეული სახეობის სამედიცინო და საგანმანათლებლო მომსახურება.

4. არაფორმალური დასაქმება უმთავრესად გამოხატულია თვითდასაქმებით, დაქირავებული შრომა ძირითადად გამოიყენება სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს სხვადასხვა დარგებში.

5. დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის აღნიშნული საქმიანობა საარსებო სახსრების მოპოვების საშუალებაა. არაფორმალური დასაქმება დამოუკიდებლობის გამოვლენის, მოქნილი შრომის რეჟიმით მუშაობის შესაძლებლობის ან სოლიდური შემოსავლების უფრო იოლი გზით მიღების საშუალებას მხოლოდ დასაქმებულთა მცირე ნაწილისათვის წარმოადგენს.

6. არაფორმალური დასაქმება უმთავრესად არაკვალიფიციურ შრომას უკავშირდება. ხშირ შემთხვევაში მომუშავენი ძირითადად არაპრესტიჟულ, არამიმზიდველ სამუშაოებს ასრულებენ და პროფესიული ზრდის პერსპექტივა არ აქვთ.

7. დამსაქმებელთათვის სამუშაო ძალის არაფორმალურად (შრომითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე) დასაქმების ძირითადი მოტივებია:

- დანახარჯების შემცირებისა და იმავდროულად წარმოების მოცულობის ზრდის შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფილია ერთი მხრივ, დაბალი ხელფასის გაცემითა და მეორე მხრივ, საშემოსავლო გადასახადის გადაუხდელობით;
- სამუშაო ძალის დასაქმება დამსაქმებლისათვის (და არა დასაქმებულისათვის) მისაღები სამუშაო გრაფიკით;
- არაპრესტიჟული სამუშაო ადგილების მარტივად შევსების შესაძლებლობა.

8. არაფორმალურ დასაქმების სოციალურ-ეკონომიკური შედეგები მხოლოდ ნეგატიურად არ უნდა შეფასდეს. იგი გარკვეულწილად დადებით ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის შემოსავლებისა და დასაქმების პრობლემების დროებით გადაწყვეტაზე, ამცირებს უმუშევრობის ფაქტობრივ დონეს, დაძაბულობის ხარისხს შრომის ბაზარზე, მოსახლეობის დაბალკონკურენტუნარიან ნაწილს საშუალებას აძლევს, მიიღონ გარკვეული შრომითი გამოცდილება და აქტიურად ჩაებან შრომით საქმიანობაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არაფორმალური დასაქმების შედეგად ქვეყანაში იქმნება მთლიანი სამამულო პროდუქტის გარკვეული ნაწილი და მოსახლეობის გარკვეული ჯგუფებისათვის არსებობისა და თავის გადარჩენის საშუალებას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

Abesadze, R. (2020). Globalization and the Economic Problems of the Pandemic. *Ekonomisti,* (2). ek_4_2020_bolo.pdf.

Bedianashvili, G. (2018). Culture as a factor in the formation of the knowledge economy in the systemic institutional context of paradigm. *Globalization and Business,* 6, 58-66. https://doi.org/10.35945/gb.2018.06.007.

Bedianashvili, G., & Maglakelidze, A. (2021). The Digital Economy and Business in the Conditions of Pandemic. The materials of the International Scientific Conference: *Social Sciences for Regional Development 2020*. Part III. Issues of Economics, 26-37.

Dzneladze, D. (2000). Employment, Labour and Social Protection of the Population. Tbilisi.

Fedorova, E.P. (2014). Informal employment in Russia: trend and causes №1, *Economics and ecological management.* http://economics.open-mechanics.com/articles/1050.pdf;

Gaganidze, G. (2018). Expert Aspects of Country Competitiveness Assessment. *Globalization and Business*. 6, 36-42. https://doi.org/10.35945/gb.2018.06.003;

Gelashvili, S., Muchiashvili, M., & Maisuradze, I. (2012). *Macroeconomic statistic,* Tbilisi. makroekonomikuri statistik.pdf;

Gvelesiani, R. (2010). Labour market and employment policy contradictions and success strategies, *Economic and Business*, 4(3).

Gvelesiani, R. (2021). Problems of the Optimal Use of Economic Policy Instruments. *Ecoforum,* 10(2). http://www.ecoforum-journal.ro/index.php/eco/article/view/ 1250/756;

ILO (05 May 2020). COVID-19 crisis and the informal economy: Immediate responses and policy challenges. https://www.ilo.org/;

ILO (2018). Women and Men in the Informal Economy: A Statistical Picture Third Edition https://www.ilo.org/global/publications/books/WCMS_626831/lang--en/index.htm;

ILO (2020). KILM 8. Employment in the informal economy. ilo.org;

ILO Standards and Covid-19 (coronavirus), (2020). FAQ: Key provisions of international labour standards relevant to the evolving COVID-19 outbreak, Department of Norms of the Office (NORMES);

Informal employment in Ukraine: dimension, scale, dynamics. (2020). www.myshared.ru/slide/539512;

International Labour Organization, (2018). https://www.ilo.org/moscow/news/WCMS_6277 98/lang-ru/index.htm;

Kharaishvili, E., & Natsvlishvili, I. (2019). Impact of International Educational Migration in the Context of Globalization of Higher Education (Case of Georgia). http://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/299;

Labor in the world (1996): (ILO). Geneva, Moscow. 8.

Latsabidze, N. (1999). Socio-Economic aspects of informal employment. *Social Economic*.

Law of Georgia. (2020, 14 July). On employment promotion, Tbilisi, 6819.

Mekvabishvili, E. (2019). The Economic Role of the State in the Context of Globalization. *Globalization and Business,* 8, 22-33. https://doi.org/10.35945/gb.2019.08.002;

Papava, V. (2015). Economic of Georgia. Reforms and pseudo-reforms. *Publisher, Intelekti,* Tbilisi.

Papava, V. (2020, March 21). Coronomic and Economics in the Face of Crisis. https://for.ge/view/ 182671/koronomika-da-ekonomika-krizisis-winaSe.html;

Papava, V. (2019, May 3). If there is Economic Growth, Where is the Population Fleeing from?! (In Georgian). http://bfm.ge/lado-papava-tu-ekonomikuri-zrdaa-sad-garbis-mosakhleoba/

Papava, V., & Charaia, V. (2020). The Coronomic Crisis and Some Challenges of the Georgian Economy. *Expert opinion.* 136. Georgian Strategy and International Relations Research Foundation.

Research: Informal Employment during the Pandemic Decreased by 925 Thousand People. (2020). banki.ru;

Resolution Government of Georgia. (2016, 4 April). On approval active labour market policy strategy and the action plan for its implementation in 2016-2018, 167.

Resolution Government of Georgia. (2013, 2 august). On approval of the state strategy for the formation of Georgian labour market and action plan 2015-2018 for the implementation of the state strategy for the formation of the Georgian labour market, 199, Tbilisi.

Resolution Government j;l;ljumny7jk yu;ljkk yuk j l;k;ljky7uukk yuuum of Georgia. (2021, 8 January). On the approval of the 2021 state program for the development of employment promotion services Tbilisi, 2.

Resolution Government of Georgia. (2014, 17 June). On approval and some related measures Georgian Socio-Economic development strategy - Georgia 2020*,* Tbilisi, 400.

Resolution Government of Georgia. (2019, 30 December), on approval of the national strategy of labour and employment policy of Georgia for 2019-2023, 662.

Shelia, M. (2014). Employers Demand on Labour Force in Georgia's Big Cities. Interdisciplinary Perspectives on Social Sciences. *Cambridge Scholars Publishing*, UK, 113-118.

Silagadze, A., & Gelashvili, S. (2007). Die entwicklung der finanzpolitik in Georgien. FinanzwissenschaftlicheDiskussionsbeiträge, G-2, 1-8. http://eprints.tsu.ge/1101/.

Silagadze, A., Atanelishvili, T., & Silagadze, N. (2020). Some Tendencies of Post-Soviet Migration and Unemployment. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 14(1),172-176. http://science.org.ge/bnas/t14-n1/27_Silagadze_Economis.pdf;

Tsartsidze, M. (2019). Unemployment and the Effective Employment Problems in Georgia under the Modern Globalization Terms. Institute of Researches and International. *Journal of International Economic Research*. 4 (1). http://irissymposium.wixsite.com/website;

Tsartsidze, M., & Latsabidze, N. (2020). Structural and Sectoral Features of the Labour Market and Employment in Georgia. Social and Labor Research, 38(1):153-163. https://doi.org/10.34022/2658-3712-2020-38-1-153-163. (cyberleninka.ru);

Tsartsidze, M., (2004). Labor market formation and reproduction of the workforce in Georgia. Doctoral dissertation. TSU, Tbilisi.

Tsartsidze, M., (2019). Effective Employment-The Key Factor in Human Welfare and Economic Growth in Georgia. *Ekonomisti,* 2. http://ekonomisti.tsu.ge/?cat=nomer&leng=ge.

Tukhashvili, M. (2012). Georgian Labour Market in the Condition of Political and Economic Crisis. *Youth Employment: Challenges and Opportunities*. Timisoara.Eurostampa, 294-300.

Tukhashvili, M., Ananiashvili, I., Tsartsidze, M., Latsabidze, N., Shelia, M., & Chelidze, N. (2012). Labour Market and Reintegration of Returned Migrants in Georgia. The publication is prepared by Danish refugee council project - Reintegration Activities in Georgia. *Publisher Universal*, Tbilisi.

Tukhashvili., M., & Shelia, M. (2012). The Impact of Labour Emigration on the Demographic and Economic Development of Georgia in the Post-Soviet Period. http://www.carim-east.eu/media/CARIM-East-2012-RR-29.pdf;

JEL Classification: E02, E10, E17. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.018

ESTIMATION OF THE POLICY EFFECTS USING COMPUTABLE GENERAL EQUILIBRIUM MODEL (THE CASE OF GEORGIA)

IURI ANANIASHVILI
Doctor of Economic Sciences, Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Academician of the Georgian Academy of Economic Sciences, Georgia
Iuri.ananiashvili@tsu.ge

NATIA MATSIASHVILI
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
natiamatsiashvili@gmail.com

Abstract. The findings presented in this article are to some extent continuation of the previous studies done by Georgian authors on the economy of Georgia using CGE models. The main instrument used in our research is based on a standard model tailored by Hosoe (Hosoe, 2004) to specifics of open small economy and is its modification of a certain kind. Two types of factors of production are used in this model to produce goods and services: labour and capital. The model also includes four types of commodities and production activities: agriculture, industry, construction and services. Under the necessary assumptions and restrictions, our model is a system composed of 99 equations and as many of endogenous variables. 36 of these equations correspond to the peculiarities of domestic production; 13 of them describe the government behavior; 4 characterize the investment demand function; The other 46 equations represent the behavioral characteristics of government, households, and the external sector.

The social accounting matrix corresponding to the state of the economy of Georgia in 2019 is specially constructed for our research. To build it, we used the information contained in the Geostat Supply and Use tables (SUT), separate aggregates of national accounts, balance of payments, consolidated budget, and labor force survey data.

Parameters of CGE model are calibrated based on the social accounting matrix. For this purpose, 2019 is considered as a base year and it is assumed that at that time economy of Georgia was in equilibrium. To define units of measurement for commodities and factors of production we set all prices of initial equilibrium to be equal to 1.

Using our estimated model we arrange three different scenarios for the Georgian economy to find out what could have happened after implementing certain economic policies under ceteris paribus.

According to the first scenario, the initial equilibrium of the economy is determined as of 2019 and the rate of indirect taxes is reduced by 10%. In the second scenario, we assume that the Georgian lari, has depreciated by 15% against the US dollar under ceteris paribus and we examine the expected results of the event. Lastly, in the third scenario, we assume under ceteris paribus that export increases by 20% and determine the aftereffects of export incentives.

KEYWORDS: COMPUTABLE GENERAL EQUILIBRIUM MODEL, SOCIAL ACCOUNTING MATRIX, CALIBRATION METHOD, EFFECTS OF ECONOMIC POLICY, SIMULATION.

For citation: Ananiashvili, I., Matsiashvili, N. (2021). Estimation of the Policy Effects using Computable General Equilibrium Model (The Case of Georgia). *Globalization and Business.* 12, 133-142. (In Georgian). https://doi.org/10.35945/gb.2021.12.018

JEL Classification: E02, E10, E17. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.018

ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტების შეფასება გამოთვლადი საერთო წონასწორობის მოდელის გამოყენებით (საქართველოს მაგალითზე)

იური ანანიაშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველო
Iuri.ananiashvili@tsu.ge

ნათია მაწიაშვილი

დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
natiamatsiashvili@gmail.com

საკვანძო სიტყვები: გამოთვლადი საერთო წონასწორობის მოდელი, სოციალური აღრიცხვის მატრიცა, კალიბრაციის მეთოდი, ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტები, სიმულაცია.

ციტირებისთვის: ანანიაშვილი, ი., მაწიაშვილი, ნ. (2021). ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტების შეფასება გამოთვლადი საერთო წონასწორობის მოდელის გამოყენებით (საქართველოს მაგალითზე). *გლობალიზაცია და ბიზნესი.* 12, 134-142. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.018

შესავალი

ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების ეტაპებზე, რესურსების განაწილების, მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და შემოსავლების განაწილება–გადანაწილების საკითხების გათვალისწინებისას, გარკვეული გამოყენება შეიძლება ჰპოვონ გამოთვლადი საერთო წონასწორობის (CGE - Computable General Equilibrium) მოდელებმა. არსებული ლიტერატურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ თანამედროვე ეტაპზე CGE მოდელები კვლევის ფართო საშუალებად იქცა. ისინი გამოიყენება ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს პრობლემების შესასწავლად და გადასაჭრელად. მათ შორისაა, მაგალითად, ფისკალური რეფორმები და განვითარების პოლიტიკა (მაგ., Perry, 2003; Willem Gunning & Keyzer, 1995), საერთაშორისო ვაჭრობა (მაგ, Shields & François, 1994; Martin & Winters, 1996), გარემოსდაცვითი რეგულირების ანალიზი (მაგ., Weyant, 1999; Bovenberg, 1996; Goulder, 2002) კლიმატის ეკონომიკური ეფექტების შეფასება (Palatnik & Shechter, 2010). და სხვა. ყველა ამ შემთხვევაში CGE მოდელები რაოდენობრივი შეფასების ამოცანების გადასაწყვეტად გამოიყენება და წარმოგვიდგებიან ერთმანეთთან წონასწორობაში მყოფი პროდუქტებისა და მომსახურების და წარმოების ფაქტორების ბაზრების შესაბამის განტოლებათა სისტემის სახით. ეს მათი მთავარი თავისებურებაა.

არსებული CGE მოდელების სიმრავლე პირობითად შეიძლება ორ დიდი ჯგუფად დავყოთ (Makarov, et al., 2007; Lavrentev & Krinichanskii, 2016). **პირველი ჯგუფის მოდელების** ფორმულირებას საფუძვლად უდევს ლეონტიევის დანახარჯები–გამოშვება სქემა (Leontief, 1936) ქცევისა და გარდაქმნის რამდენიმე ეკონომიკურ–მათემატიკურ მოდელთან კომბინაციაში. ამ ტიპის CGE მოდელის ერთ–ერთ პირველ ვარიანტს წარმოადგენდა შვედი ეკონომისტის ლ. იოჰანსენის მიერ შემოთავაზებული კონსტრუქცია (Johansen, 1960), რომელშიც დარგების პროდუქციის წარმოების, შინამეურნეობების შემოსავლების განაწილებისა და მოხმარების კანონზომიერების დასახასიათებლად კომპლექსურად გამოიყენება ვ. ლეონტიევის დანახარჯები–გამოშვება ცხრილის ელემენტები, რ. სოლოუს საწარმოო ფუნქცია ნეიტრალური ტექნოლოგიური პროგრესით და რ. ფიშერის სამომხმარებლო მოთხოვნის ფუნქციები. გარდა ამისა, მოდელში გათვალისწინებული იყო მოკლევადიან პერიოდში დარგებს შორის შრომისა და კაპიტალის განაწილებისა და სრული გამოყენების პროცესები.

იოჰანსენის მოდელისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული, მაგრამ ლეონტიევის დანახარჯები–გამოშვება სქემაზე დაფუძნებული CGE მოდელის კიდევ ერთი ვარიანტი შემოთავაზებულია კოლექტიურ მონოგრაფიაში (Ananiashvili et al., 2003). მოდელი აერთიანებს შუალედური, საინვესტიციო და საბოლოო მოხმარების პროდუქტების ბაზრების, ასევე შრომის, კაპიტალისა და ფულის ბაზრების წონასწორობის განტოლებებს და საშუალებას იძლევა აგრეგირებული პრო–

დუქტების მოცულობებთან ერთად განისაზღვროს თითოეული აღნიშნული სახის პროდუქტისა და რესურსის წონასწორული ფასი. აღსანიშნავია, რომ საწყისი მოდელის კონსტრუქციაში შემავალი განტოლებების ნაწილი წრფივია, ნაწილი კი არაწრფივი, მაგრამ არსებობს მოდელის კვაზი-წრფივი ვარიანტიც (Ananiashvili, 2019), რომელშიც განტოლებების ძირითადი ნაწილი გაწრფივებულია და შესაძლებელია მათი ეკონომეტრიკული შეფასება. საერთო წონასწორობის მახასიათებლების გაანგარიშებასთან ერთად მოდელი საშუალებას იძლევა, სიმულაციის გამოყენებით რაოდენობრივად განისაზღვროს მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტების ზეგავლენა წონასწორობის მდგომარეობაზე.

მეორე ჯგუფის CGE მოდელების თეორიული საფუძველს წარმოადგენს ვალრასის საერთო ეკონომიკური წონასწორობის მოდელი, რომელმაც შემდგომი განვითარება და სრულყოფა ჰპოვა ნობელიანტების ეროუს და დებრეუს (Debreu, 1959) შრომებში. მათ მიერ შემუშავებული ზოგადი წონასწორობის ჩარჩო მისაღები აღმოჩნდა ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნისთვის შემუშავებული CGE მოდელების ალგებრული სტრუქტურის ასაგებად. ამ ტიპის მოდელების უმრავლესობის სტრუქტურაში აუცილებლად წარმოდგენილია წონასწორობაში მყოფი ოთხი ტიპის ეკონომიკური აგენტი: შინამეურნეობები, ქვეყანაში ფუნქციონირებადი ფირმები (მწარმოებლები), სახელმწიფო, გარე სამყარო. მოდელებში ასევე გათვალისწინებულია აღნიშნულ აგენტებს შორის ურთიერთქმედების წესი, რომელიც რეალიზდება საქონლის, შრომის და ფინანსური ბაზრების მეშვეობით. აღნიშნული წესის თანახმად, ერთი აგენტიდან გამოსული ნაკადი ბაზრების საშუალებთ აუცილებლად უნდა მოხვდეს სხვა აგენტთან (აგენტებთან) და ეს საერთო წონასწორობის მიღწევას განაპირობებს. განტოლებები, რომლებიც ასეთ მოდელებში მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობას განსაზღვრავენ, ეფუძნება ეკონომიკური აგენტების ინდივიდუალური ქცევის ოპტიმიზაციას: ფირმები ახდენენ მოგების მაქსიმიზაციას, მომხმარებლები – სარგებლიანობის მაქსიმიზაციას.

განსახილველ პრობლემასთან დაკავშირებული ლიტერატურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ CGE მოდელების ორივე ტიპი, გარკვეული მოდიფიკაციებით, ფართოდ გამოიყენება როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა სცენარის მოსალოდნელი შედეგების შესაფასებლად და გასაანალიზებლად. ამ მხრივ გარკვეული მცდელობები არსებობს საქართველოს ეკონომიკასთან მიმართებითაც. კერძოდ, საქართველოს ეკონომიკის ევროკავშირთან სავაჭრო პოლიტიკის გასაანალიზებლად და ვაჭრობის ლიბერალიზაციის ეფექტების შესაფასებლად გამოყენებულ იქნა დერვისის, დე მელოსა და რობინსონის (Derviş et al., 1982) მიერ განვითარებული მოდელის ვარიაცია, რომელიც კამერუნის საერთო წონასწორობის მოდელის სახელითაა ცნობილი (Melitauri, 2021). აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეალობისთვის CGE მოდელის გამოყენების ერთ-ერთი პირველი ცდა მოცემულია ლ. ლაბაძის PHD ნაშრომში (Labadze, 2015). ავტორმა 2011 წლის სოციალური აღრიცხვის მატრიცის მონაცემებით აგებულ CGE მოდელზე ჩატარებული სიმულაციებით გამოიკვლია საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში განსახორციელებული ინვესტიციების მოსალოდნელი გავლენა მთლიან გამოშვებაზე, უმუშევრობაზე, ექსპორტსა და იმპორტზე. CGE მოდელის გამოყენების კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს ალ. ერგეშიძის კვლევა (Ergeshidze, 2017). ამჯერად კვლევის ავტორმა 2013 წლის სოციალური აღრიცხვის მატრიცის მონაცემებით აგებულ CGE მოდელზე დაყრდნობით შეისწავლა საქართველოს ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო გაუფასურებით გამოწვეული ისეთი მაჩვენებლების მოსალოდნელი ცვლილებები, როგორიცაა საქართველოს 15 ძირითადი სექტორის მთლიანი გამოშვებები, მათი შესაბამისი აგრეგირებული პროდუქტების ფასები, უმუშევრობის დონე, სავაჭრო ბალანსი.

საქართველოს ეკონომიკისთვის გამოყენებული CGE მოდელის ზოგადი აღწერილობა

მოცემულ სტატიაში წარმოდგენილი შედეგები გარკვეულად ზემოთ აღნიშნული იმ კვლევების გაგრძელებაა, რომლებიც საქართველოს ეკონომიკისთვის განხორციელდა CGE მოდელების გამოყენებით. ჩვენი კვლევის ძირითადი ინსტრუმენტი ეფუძვება ჰოსოეს (Hosoe, 2004; Hosoe et al., 2010) მიერ მცირე ღია ეკონომიკის თავისებურებებზე მორგებულ სტანდარტულ მოდელს და წარმოადგენს მის გარკვეულ მოდიფიკაციას. სტანდარტული მოდელისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში, ფაქტორული შემოსავლების გარდა, შინამეურნეობები იღებენ ტრანსფერებს მთავრობისაგან, ასევე იღებენ და ახორციელებენ ფულად გზავნილებს დანარჩენ მსოფლიოსთან. მოდელში კაპიტალის მფლობელად შინამეურნეობებთან ერთად წარმოდგენილია მთავრობა და დანარჩენი მსოფლიო.

მოდელის სტრუქტურის თანახმად, წარმოების პროცესი ორ ეტაპად იყოფა. პირველ ეტაპზე, დამატებული ღირებულება წარმოიქმნება შრომის და კაპიტალის მონაწილეობით და განისაზღვრება კობ-დუგლასის ტიპის საწარმოო ფუნქციით. მეორე ეტაპზე ვგულისხმობთ, რომ მთლიანი გამოშვების ფორმირება ხდება დამატებული ღირებულებისა და ლეონტიევის ტიპის საწარმოო ტექნოლოგიაში შუალედური მოხმარების კომბინაციით. ასევე ვთვლით, რომ წარმოების მთელი ტექნოლოგია პირველი რიგის ერთგვაროვანი ფუნქციით აღიწერება. მთლიანი სამამულო გამოშვების გარდაქმნა (ტრანსფორმაცია) სამამულო საქონლის მიწოდებად და ექსპორტად ხდება ტრანსფორმაციის მუდმივი ელასტიურობის (Constant Elasticity of Transformation – CET) მქონე

საწარმოო ფუნქციით. თავის მხრივ, სამამულო პროდუქტი და ექსპორტი ჩანაცვლების მუდმივი ელასტიკურობის (Constant Elasticity of Substitution – CES) ფუნქციის გავლით ქმნის არმინგტონის კომპოზიტურ საქონელს (Armington, 1969). თავად არმინგტონის კომპოზიტური საქონელი იყოფა შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების პროდუქტებად, საინვესტიციო მოთხოვნად, სახელმწიფო მოხმარებად და შუალედურ პროდუქტებად. შინამეურნეობების მოხმარების სიდიდის განსაზღვრას საფუძვლად უდევს სარგებლიანობის ფუნქციის მაქსიმიზაცია, რომელსაც კობ-დუგლასის ფუნქციის სახე აქვს. სწორედ სარგებლიანობის მაქსიმიზაციის პრინციპზე დგას მოდელის ოპტიმიზაციის პროცესი.

ვინაიდან განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომლებსაც საქართველოც მიეკუთვნება, უცხოური დანაზოგების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია, ამიტომ, ჰოსოეს (Hosoe, 2004) მსგავსად, დავუშვით, რომ დანარჩენი მსოფლიოს დანაზოგი უცხოური ვალუტაში მუდმივია (ფიქსირებულია), ხოლო გაცვლითი კურსი იცვლება საგადასახდელო ბალანსის შეზღუდვის პირობის შესასრულებლად.

მოდელში პროდუქტების საწარმოებლად გამოიყენება ორი საწარმოო ფაქტორი შრომა და კაპიტალი. გამოყოფილია ოთხი ტიპის პროდუქტი და საწარმოო საქმიანობა: სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მშენებლობა და მომსახურება.

შემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინების შემდეგ ჩვენს მიერ ფორმალიზებულმა მოდელმა მიიღო 99 განტოლებისაგან და ამდენივე ენდოგენური ცვლადისაგან შემდგარი სისტემის სახე. ამ განტოლებებიდან 36 შეესაბამება სამამულო წარმოების თავისებურებების აღწერას; 13 აღწერს მთავრობის ქცევას; 4 საინვესტიციო მოთხოვნის ფუნქციის დახასიათებისთვის გამოიყენება; 2 მთავრობისა და კერძო დანაზოგების ფორმირების პროცესს გამოხატავს; 9 განტოლება საერთაშორისო ვაჭრობის (ექსპორტ-იმპორტის ფასებისა და საგადასახდელო ბალანსის) თავისებურების დახასიათებას ემსახურება; 12 განტოლება გამოიყენება არმინგტონის ფუნქციების აგებასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად; ამდენივე განტოლება შეესაბამება ტრანსფორმაციის ფუნქციებს, რომლებიც აღწერენ მთლიანი გამოშვების გარდაქმნის პროცესს საექსპორტო და სამამულო პროდუქტებად; 4 განტოლება შეესაბამება პროდუქტებისა და რესურსების ბაზრების წონასწორობის პირობებს, 4 განტოლება კი შინამეურნეობების მოთხოვნის ფუნქციების აღწერას; დაბოლოს, 1 განტოლება სარგებლიანობის ფუნქციას გამოხატავს.

საქართველოს სოციალური აღრიცხვის მატრიცა

აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ განსახილველი CGE მოდელი, ზემოთ მოყვანილი პირობითი კლასიფიკაციის თანახმად, მიეკუთვნება მეორე ჯგუფის მოდელებს, რომელთა თეორიულ საფუძველსაც ვალრასის საერთო წონასწორობის სქემა წარმოადგენს. ასეთი მოდელებისთვის საჭირო საწყისი რიცხვითი ინფორმაციის მისაღებად და მოდელის პარამეტრების შესაფასებლად, როგორც წესი, ხშირად გამოიყენება სოციალური აღრიცხვის მატრიცა (SAM – Social Accounting Matrix). ამ უკანასკნელის კონცეფციის საწყისები შეიმუშავა სტოუნმა (Stone, 1947). პიატმა (Pyatt, 1985) და ტორბეკმა (Thorbecke, 1976) ეს კონცეფცია უფრო ფორმალიზებული გახადეს და ამით ხელი შეუწყეს მის გამოყენებას ეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების საკითხებში. თანამედროვე SAM არის დიდი ინფორმაციის მომცველი, სრული, მოქნილი და თანმიმდევრული სისტემა, რომელიც აერთიანებს ქვეყნის სოციალურ და ეროვნული ანგარიშებს დროის ერთი პერიოდისთვის (Decaluwe, 1999; Zakharchenko, 2012) .

ჩვენი კვლევისათვის სპეციალურად შედგენილი სოციალური აღრიცხვის მატრიცა საქართველოს ეკონომიკას წარმოგვიდგენს 2019 წლის მდგომარეობით. მის ასაგებად ვისარგებლეთ ინფორმაციით, რომელსაც შეიცავს საქსტატის რესურსებისა და გამოყენების ცხრილები, ეროვნული ანგარიშების ცალკეული აგრეგატული მაჩვენებლები, საგადასახდელო ბალანსი, ნაერთი ბიუჯეტი და სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემები. ანალიზისთვის გამოვყავით ოთხი სახის პროდუქტი, ამდენივე საწარმოო საქმიანობა (სექტორი) და ორი საწარმოო ფაქტორი.

ჩვეულებრივ, სოციალური აღრიცხვის მატრიცა შედგება ექვსი ძირითადი ჯგუფის ანგარიშისაგან:

- საქმიანობა და პროდუქტი;
- წარმოების ფაქტორები;
- კერძო ინსტიტუციური სექტორები – შინამეურნეობები და სამეწარმეო სექტორი;
- საჯარო ინსტიტუციური სექტორი – მთავრობა;
- კაპიტალის ანგარიში;
- დანარჩენი მსოფლიოს ანგარიში.

ზოგადად, SAM-ის საბოლოო განზომილება განისაზღვრება ამ ექვსი ძირითადი ჯგუფის დეტალიზების დონით. საქართველოს ეკონომიკის 2019 წლის სოციალური აღრიცხვის მატრიცის აგრეგირებული ვარიანტი, რომელშიც საქმიანობები (დარგები) აგრეგირებულია A ჯგუფში, ხოლო მათ მიერ წარმოებული პროდუქტები – C ჯგუფში, წარმოდგენილია ცხრილ 1-ში და გვიჩვენებს სტანდარტული SAM-ის ძირითად სტრუქტურას. როგორც ვხედავთ, SAM არის კვადრატული მატრიცა, რომელშიც ყოველი ანგარიში მოცემულია სტრიქონისა და სვეტის სახით. თითოეული ჩანაწერი (უჯრა) ასახავს სვეტის ანგარიშის მხრიდან გადახდებს სტრიქონის ანგარიშის მიმართ. ამრიგად, თითოეული ანგარიშის შემოსავლები მოცემულია სტრიქონებში, ხოლო ხარჯები სვეტებში. ორმაგი ჩაწერის პრინციპის გამო, თითოეული ანგარიშის მთლიანი შემოსავლები ზუსტად მთლიანი ხარჯების ტოლი უნდა იყოს.

საილუსტრაციოდ განვიხილოთ ცხრილ 1-ში მოყვანილი რამდენიმე ანგარიშის შინაარსი. მაგალითად, საქმიანობე-

ცხრილი 1. საქართველოს 2019 წლის სოციალური აღრიცხვის აგრეგირებული მატრიცა, (მილიონ ლარებში)

	A	C	TTM	F	H	G	T	(S-I)	RoW	სულ
A		78562,9								გაყიდვების მთლიანი მოცულობა 78562,9
C	35425,1		12421,6		34748,8	6457,7		12460,4	26999,6	128513,1
TTM		12421,6								12421,6
F	43137,8									43137,8
H				39146,9		4374,1			4886,5	48407,5
G				1065,8			11417,8		423,6	12907,2
T		6114,9			5302,9					11417,8
S-I					7686,4	2075,4			2698,5	ერთობლივი დანაზოგები 12460,4
RoW		31413,8		2925,1	669,3					35008,2
სულ	78562,9	128513,1	12421,6	43137,8	48407,5	12907,2	11417,8	12460,4	35008,2	382836,4

წყარო: შედგენილია ავტორების მიერ

მითითება: A – საქმიანობების (სექტორების) ანგარიში; C – პროდუქტების ანგარიში; TTM – სავაჭრო და სატრანსპორტო დანარიცხების ანგარიში; F – წარმოების ფაქტორების ანგარიში; H – შინამეურნეობების ანგარიში; G – მთავრობის ანგარიში; T – გადასახადების ანგარიში; S–I – კაპიტალის ანგარიში; RoW – დანარჩენი მსოფლიოსთან ტრანსაქციების ანგარიში.

ბის A ანგარიშის სვეტში ჩანაწერი[1] (C, A) გვიჩვენებს, რომ ეკონომიკის სექტორები (ჩვენს შემთხვევაში ოთხი სექტორი – სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მშენებლობა და მომსახურება) შუალედური მოხმარების სახით წარმოების პროცესში იყენებდნენ 35 425,1 მილიონ ლარის ღირებულების პროდუქტებს; თავის მხრივ, იმავე A სვეტში ჩანაწერი (F, A) გვეუბნება, რომ საწარმოო საქმიანობის პროცესში, რესურსების გამოყენების შედეგად, დამატებულმა ღირებულებამ შეადგენა 43137,8 მლნ. ლარი. მაშასადამე, როგორც ცხრილ 1–შია ნაჩვენები, 2019 წელს საქართველოს ეკონომიკის სექტორებში ჯამური ერთობლივი დანახარჯები შეადგენდა 78562,9 მლნ. ლარს.

მსგავსი სახით შეიძლება ავხსნათ პროდუქტების C ანგარიშის სვეტი, რომელშიც შევსებულს წარმოადგენს 4 უჯრა. ამ უჯრებიდან (A, C) გვიჩვენებს საქონლისა და მომსახურების სამამულო წარმოებისას ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით გაწეულ დანახარჯებს, რომელიც 2019 წელს შეადგენდა 78562,9 მლნ. ლარს; (TTM, C)–ში აღრიცხულია საქონლთა წარმოებისას გადახდილი დანამატის (მარჟის) მნიშვნელობა. ამ უკანასკნელმა 2019 წელს შეადგინა 12421,6 მლნ. ლარი; (T, C) უჯრაში მოცემულია წმინდა გადასახადები პროდუქტებზე. საქართველოს 2019 წლის ნაერთი ბიუჯეტის მიხედვით, წმინდა გადასახადებმა შეადგინა 6114,9 მლნ. ლარი; (RoW, C) უჯრაში ნაჩვენები თანხა, 31413,8 მლნ. ლარი, საქონლისა და მომსახურების იმპორტის ღირებულების სიდიდეს გამოსახავს. C სვეტის ჩამოთვლილი ოთხი ელემენტის ჯამი, 128513,1 მლნ. ლარი, ინტერპრეტირდება როგორც პროდუქტებისა და მომსახურების აგრეგირებული ერთობლივი მიწოდება.

მეორე მხრივ, C სტრიქონში (ანგარიშში) აღრიცხულია პროდუქტებისა და მომსახურებების რეალიზაციის შედეგად ბაზრებზე გამომუშავებული შემოსავლები. (C, A) უჯრის მნიშვნელობა, 35425,1 მლნ. ლარი, ამ შემთხვევაში, გამოსახავს შუალედურ პროდუქტებზე მოთხოვნის სიდიდეს; (C, H)–ში მოცემული მნიშვნელობა 34748,8 მლნ. ლარი შეესაბამება შინამეურნეობების[2] მოთხოვნას საბოლოო მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე; ანალოგიურ მოთხოვნას ასახავს (C, G) უჯრის ჩანაწერი, 6457,7 მლნ. ლარი, ოღონდ ამჯერად სახელმწიფოს მხრიდან; კაპიტალის დაგროვებისთვის საჭირო საქონელზე მოთხოვნას გამოსახავს (C , S–I) უჯრის ჩანაწერი, 12460,4 მლნ. ლარი; დაბოლოს, (C, RoW) წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების ექსპორტის ანგარიშს, რომელმაც 2019 წელს შეადგინა 128513,1 მლნ. ლარი. მაშასადამე, ცხრილ 1–ის C სტრიქონის მიხედვით, 2019 წელს საქართველოს ეკონომიკაში წარმოებულ პროდუქტებსა და მომსახურებებზე მთლიანმა მოთხოვნამ შეადგინა 128513,1 მლნ. ლარი.

რაც შეეხება დანარჩენ ანგარიშებს და მათში შემავალ ჩანაწერებს, რომლებსაც შეიძლება ასევე ქვეანგარიშები ვუწოდოთ, შემდეგი შინაარსი გააჩნიათ.

(G, F) ქვეანგარიში, 1 065,8 მლნ. ლარი, მოიცავს ინფორმაციას მთავრობის, როგორც კაპიტალის მფლობელის, მიერ მიღებული შემოსავლების და როგორც საწარმოო საქმიანობის საოპერაციო მოგების მიმღების შესახებ. (G, T) მოიცავს ბიუჯეტის შემოსულობებს გადასახადებიდან; მათმა ჯამმა 2019–ში შეადგინა 11417,8 მლნ. ლარი. (G, RoW) ქვეანგარიში აღწერს გარიგებას მთავრობასა და არარეზიდენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის. ეს მნიშვნელობა 2019 წელს

[1] პირველი სიმბოლო შეესაბამება სტრიქონს, მეორე სვეტს.

[2] შინამეურნეობები განიხილება შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციულ ორგანიზაციებთან ერთად.

შეადგენდა 423,6 მლნ. ლარს. როგორც ცხრილი 1 გვიჩვენებს, სულ ნაერთი ბიუჯეტის მთლიანმა შემოსავლებმა შედგინა 12 907,2 მლნ ლარი.

(T, C) – გადასახადების ქვეანგარიშია. ის რამდენიმე კომპონენტის გაერთიანებით არის მიღებული. ესენია დამატებული ღირებულებისა და აქციზის გადასახადი, 6 280,4 მლნ. ლარი, იმპორტზე გადასახადი, 68,0 მლნ. ლარი და სუბსიდიები პროდუქციაზე, 233,4 მლნ. ლარი. ცხრილ 1-ში მოცემულია ამ კომპონენტების ჯამი, რომელიც საბოლოოდ აყალიბებს წმინდა გადასახადებს პროდუქციაზე 6114,9 მლნ. ლარის ოდენობით. (T, H) მოიცავს შინამეურნეობის საგადასახადო დანახარჯებს. მთლიანი საგადასახადო შემოსავლების დანარჩენი ნაწილი (საშემოსავლო, მოგების, ქონების და სხვა გადასახადები) შინამეურნეობებზე მოდის და შეადგენს 5302,9 მლნ. ლარს.

შინამეურნეობების ანგარიში სტრიქონზე, შედგება შემდეგი ქვეანგარიშებისაგან: (H, F) გვიჩვენებს თუ რას იღებენ შინამეურნეობები, ერთი მხრივ, გაწეული შრომისთვის და მეორე მხრივ, კაპიტალისაგან, როგორც მისი მფლობელები. როგორც ცხრილ 1-დან ჩანს, საქართველოს შინამეურნეობების მიერ მიღებული ფაქტორული შემოსავლებმა შეადგენა 39146,9 მლნ. ლარი. (H, G) ანგარიში, 4 374,1 მლნ. ლარი, გამოსახავს მთავრობის ტრანსფერებს შინამეურნეობების მიმართ. (H, RoW) მოიცავს დანარჩენი მსოფლიოდან მიღებულ ფულად გზავნილებს, რაც 2019 წელს შეადგენდა 1,73 მლნ. აშშ დოლარს და 4886,5 მლნ. ლარის ეკვივალენტი იყო.

მთავრობის დანახარჯებიდან (S-I, G) ანგარიში ბიუჯეტის შემოსულობებსა და ხარჯებს შორის სხვაობით განისაზღვრება და, საქართველოსთვის 2019 წლის ნაერთი ბიუჯეტის შესაბამისად, შეადგინა 2075,4 მლნ. ლარი. (S-I, RoW) ანგარიში ასახავს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს ან პროფიციტს. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა შეადგინა -0,96 მლნ. დოლარი, რაც 2698,5 მლნ. ლარის ეკვივალენტია. შინამეურნეობების სვეტში (S-I, H) აღწერს შინამეურნეობების დანაზოგებს, როგორც სხვაობას მათ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის და 2019 წელს შეადგინა 7686,4 მლნ. ლარი.

(RoW, F) აღრიცხავს არარეზიდენტი საწამოო ფაქტორების შემოსავლებს სამამულო ეკონომიკაში. საქართველოსთვის ეს რიცხვი შეფასებულია როგორც ნარჩენობითი წევრი და შეადგინა 2925,1 მლნ. ლ.

მოდელის კალიბრაცია

CGE მოდელების პარამეტრების შეფასების ყველაზე გავრცელებული მეთოდი ეფუძნება მათ კალიბრაციას საბაზისო წლის მიხედვით (Lofgren et al., 2002, Wing, 2003). ეს პარამეტრების ისეთნაირ შერჩევას გულისხმობს, რომ მოდელმა ზუსტად აღწეროს საბაზისო წლის ეროვნული ანგარიშების სისტემა. ამ ამოცანას ხშირად რამდენიმე გადაწყვეტა გააჩნია, ამიტომ პარამეტრების მნიშვნელობების შერჩევა შეიძლება იყოს თვითნებური, თავისუფალი. პრობლემის გადასაწყვეტად ზოგჯერ CGE მოდელის ცალკეული ბლოკების შეფასება ეკონომეტრიკულად ხდება (Szeto, 2002). თუმცა ეს გზაც ბოლომდე არ გვათავისუფლებს პრობლემისგან, რადგანაც სხვადასხვა ბლოკის ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეფასებისას მოდელში შეიძლება არ შესრულდეს საერთო წონასწორობის პირობა. გავრცელებულია ასევე CGE მოდელების შეფასების სტატისტიკური მეთოდები. ერთ-ერთი მათგანია მაქსიმალური ენტროპიის პრინციპი. ამ მეთოდის უპირატესობა ისაა, რომ საბაზისო წლის მონაცემებთან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა წლებისთვის არსებული დაკვირვებები, ამასთან, სხვადასხვა წლების მონაცემთა სტრუქტურა შეიძლება განსხვავებული იყოს.

ჩვენს კვლევაში CGE მოდელს პარამეტრების კალიბრაცია მოვახდინეთ სოციალური აღრიცხვის მატრიცაზე დაყრდნობით. ამ მიზნით საბაზისოდ განვიხილეთ 2019 წელი და დავუშვით, რომ აღნიშნული პერიოდის საქართველოს ეკონომიკა იმყოფებოდა წონასწორობაში. ვინაიდან სოციალური აღირცხვის მატრიცა ნომინალურ გამოსახულებაშია, პროდუქტებისა და საწარმოო ფაქტორებისათვის საჭირო გახდა ზომის ისეთი ერთეულის შემოღება, რომლითაც შევძლებდით საწყისი ნომინალური მნიშვნელობებიდან რაოდენობებისა და ფასების განცალკევებას. ამისათვის გამოვიყენეთ მიდგომა რომელიც გულისხმობს პროდუქტებისა და ფაქტორების ერთეულის ისე შერჩევას, რომ საწყის საბაზისო წონასწორობაში მათი ფასი ერთის ტოლი იყოს (Gorbachuk & Rusanov, 2010). ამ გზით საბაზისო ამონახსნი გამოხატავს ეკონომიკის მდგომარეობას რეალურ გამოსახულებაში. ამის შემდეგ პარამეტრების ან ეგზოგენური ცვლადების ნებისმიერი ცვლილება აყალიბებს ახალ წონასწორობას.

პოლიტიკის სიმულაცია

შეფასებული მოდელის გამოყენებით საქართველოს ეკონომიკისთვის გავათამაშეთ სამი სცენარი იმის გასარკვევად, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა სხვა თანაბარ პირობებში ეკონომიკური პოლიტიკით გათვალისწინებულ კონკრეტულ ცვლილებებს. პირველი სცენარის მიხედვით ვიხილავთ შემთხვევას, როცა ეკონომიკის საწყისი წონასწორობა განისაზღვრება 2019 წლის მდგომარეობით და არაპირდაპირი გადასახადების განაკვეთის შემცირება ხდება 10%-ით. მეორე სცენარში დავუშვით, რომ სხვა თანაბარ პირობებში ადგილი აქვს ლარის დოლართან მიმართებით 15%-იან გაუფასურებას და ვიხილავთ ამ მოვლენის მოსალოდნელ შედეგებს. დაბოლოს, მესამე სცენარში ექსპორტის

ცხრილი 2. CGE მოდელის სიმულციის შედეგები

	საბაზისო წონასწორობა	სიმულაციის სახეები და შედეგები		
		საგადასახადო განაკვეთის 10%-ით ზრდა	ლარის 15%-ით გაუფასურება	ექსპორტის 20%-ით ზრდა
მთლიანი გამოშვება (საბაზისო ფასებში, მლნ. ლარი)				
სოფლის მეურნეობა	5176,655	26%	31%	18%
მრეწველობა	17784,734	-11%	-2%	28%
მშენებლობა	9866,763	8%	5%	9%
მომსახურების სექტორი	45734,707	-2%	-4%	-9%
სულ	62562,8	-0,1%	0,2%	3,5%
შინამეურნეობების დანახარჯები (საბაზისო ფასებში, მლნ. ლარი)				
სოფლის მეურნეობა	2098.068	17%	13%	15%
მრეწველობა	18543.625	13%	13%	30%
მშენებლობა	865.470	13%	4%	11%
მომსახურების სექტორი	13241.639	11%	-29%	-26%
სულ	34748.8020	12%	-3%	7%
მთავრობის დანახარჯები (საბაზისო ფასებში, მლნ. ლარი)				
სოფლის მეურნეობა				
მრეწველობა	76.942	60%	58%	96%
მშენებლობა	8.742	46%	46%	68%
მომსახურების სექტორი	6371.985	43%	-0,0%	12%
სულ	6457.6690	43%	1%	13%
საინვესტიციო მოთხოვნა (საბაზისო ფასებში, მლნ. ლარი)				
სოფლის მეურნეობა	538.834	11%	14%	13%
მრეწველობა	4193.367	18%	14%	27%
მშენებლობა	7497.456	7%	5%	9%
მომსახურების სექტორი	230.736	5%	-28%	-27%
სულ	12460.3930	11%	8%	15%
წმინდა გადასახადები წარმოებაზე (საბაზისო ფასებში, მლნ. ლარი)				
სოფლის მეურნეობა	-16.320	7%	28%	13%
მრეწველობა	4649.819	-28%	-4%	17%
მშენებლობა	364.091	-12%	3%	1%
მომსახურების სექტორი	1049.319	-16%	2%	-7%
სულ	6046.909	-25%	-2,4%	12%

წახალისების მოსალოდნელი ეფექტის განსაზღვრის მიზნით ვიხილავთ შემთხვევას, როცა სხვა თანაბარ პირობებში მისი მოცულობა გაიზრდება 20%–ით.

სამივე სიმულაციის შედეგების გარკვეული ნაწილი წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილ 2–ში. მათი ანალიზი რამდენიმე გარემოებაზე მიგვითითებს.

პირველი, საგადასახადო განაკვეთის შემცირება არაერთგვაროვნად აისახება წარმოებაზე: სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის სექტორების გამოშვება გაიზარდა, ხოლო მრეწველობისა და მომსახურების დარგების გამოშვება კი შემცირდა. ამ გარემოების გამო, მრეწველობის მშენებლობისა და მომსახურების სექტორებიდან ამოღებული წმინდა გადასახადების მოცულობა შემცირდა. სამაგიეროდ საგადასახადო განაკვეთის შემცირება დადებითად აისახა სოფლის მეურნეობის წმინდა გადასახადებზე, რადგან ეს დარგი უფრო მეტად სუბსიდირდება, ვიდრე იბეგრება. მიუხედავად იმისა, რომ წარმოებაზე წმინდა გადასახადების შემცირებამ ბიუჯეტის შემოსავლები შეამცირა, სამთავრობო ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა მრეწველობის, მშენებლობისა და მომსახურების სექტორების პროდუქტების შესყიდვაზე. შემცირებულმა გადასახადებმა, და მის ფონზე საბოლოო მოხმარებაზე გაზრდილმა დანახარჯებმა, საბოლოოდ მთავრობის დანაზოგები თითქმის მესამედით შეამცირა.

მთავრობის შემოსავლების შემცირებით გამოწვეული ფისკალური შოკი, ერთი მხრივ, ამცირებს მოთხოვნას საინვესტიციო საქონელზე; მეორე მხრივ, დაბეგვრის შემცი–

ცხრილი 2 (გაგრძელება) CGE მოდელის სიმულციის შედეგები

	საბაზისო წონასწორობა	სიმულაციის შედეგები		
		საგადასახადო განაკვეთის 10%-ით ზრდა	ლარის 15%-ით გაუფასურება	ექსპორტის 20%-ით ზრდა
ფაქტორების (შრომის) მონაწილეობა წარმოების პროცესში (საბაზისო ფასებში, მლნ. ლარი)				
სოფლის მეურნეობა	2108.064	26%	30%	16%
მრეწველობა	3199.741	-12%	-3%	25%
მშენებლობა	1986.865	7%	3%	7%
მომსახურების სექტორი	10307.193	-3%	-6%	-12%
სულ	2108.064	0%	0%	0%
ფაქტორების (კაპიტალის) მონაწილეობა წარმოების პროცესში (საბაზისო ფასებში, მლნ. ლარი)				
სოფლის მეურნეობა	1095.619	28%	34%	23%
მრეწველობა	3123.915	-10%	0%	32%
მშენებლობა	1693.953	9%	7%	13%
მომსახურების სექტორი	19622.420	-1%	-3%	-7%
სულ	25535.907	0	0	0
ექსპორტი (საბაზისო ფასებში, მლნ. ლარი)				
სოფლის მეურნეობა	763.007	-10%	0%	20%
მრეწველობა	16156.846	85%	97%	20%
მშენებლობა	14.592	-45%	-17%	20%
მომსახურების სექტორი	10065.118	73%	55%	20%
სულ	26999.56	-10%	0,1%	20%
იმპორტი (საბაზისო ფასებში, მლნ. ლარი)				
სოფლის მეურნეობა	803.372	-14%	-5%	12%
მრეწველობა	24370.545	-21%	-21%	16%
მშენებლობა	20.254	-7%	1%	15%
მომსახურების სექტორი	6219.602	-26%	-23%	1%
სულ	31413.77	-14%	-5%	12%
ადგილობრივი საქონლის ფასი				
სოფლის მეურნეობა	1	-10%	-6%	-5%
მრეწველობა	1	-10%	11%	-4%
მშენებლობა	1	-10%	-2%	-10%
მომსახურების სექტორი	1	-10%	3%	-2%
გაცვლითი კურსი	1	9	15	-4%

რებული განაკვეთი ფირმებისათვის სტიმულის მიმცემი უნდა იყოს და, სავარაუდოდ, მათი მხრიდან საინვესტიციო საქო–ნელზე მოთხოვნის ზრდა უნდა დაფიქსირდეს ეკონომიკაში. მაშასადამე, საბოლოო შედეგი ამ ორი ეფექტის ჯამით განი–საზღვრება. როგორც პირველი სიმულაციის შედეგი გვიჩვე–ნებს, არაპირდაპირი საგადასახადო განაკვეთის შემცირებამ საინვესტიციო მოთხოვნა ეკონომიკის ოთხივე სექტორში შესამჩნევად გაზარდა.

აღსანიშნავია კიდევ ის გარემოება, რომ საგადასახადო განაკვეთის შემცირებამ გამოიწვია როგორც საექსპორტო ასევე საიმპორტო საქონელთა ფასების დონის ზრდა. ეს ექპორტის მოცულობაზე უარყოფითად აისახა და ამ უკანასკ–ნელმა, სავარაუდოდ, ხელი შეუწყო მრეწველობისა და მომსახურების სექტორების გამოშვების ვარდნას. სიანტერე–სოა, რომ იგივე პირობებში შესამჩნევად გაიზარდა სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის სექტორების გამოშვება. სიმულაციისას ანალოგიური ტენდენციები გამოვლინდა შუა–ლედური მოხმარებისა და დამატებული ღირებულებისთვის.

მეორე, ცხრილი 2–ის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ლარის გაცვლითი კურსის 15%–ით გაუფასურებამ ადგილობრივი საქონელი უცხოურთან შედარებით გაიაფა და უცხოეთი–დან ადგილობრივ საქონელზე მოთხოვნის ზრდა რეალიზდა ექსპორტის ზრდაში. გამონაკლისი აღმოჩნდა მრეწველობის სექტორი, რომლის პროდუქციასაც ექსპორტის ეს ზრდა არ

შეეხო. მეორე მხრივ, ლარის გაუფასურებამ ადგილობრივ ბაზარზე უცხოური საქონელი გააძვირა და გაიზარდა მოთხოვნა სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და მშენებლობის ადგილობრივ პროდუქტებზე, მაგრამ არა მომსახურების სექტორის პროდუქტზე. როგორც მოსალოდნელი იყო, ლარის გაუფასურებისა და უცხოური საქონლის შეფარდებითი გაძვირების გამო, პროდუქტების იმპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა. გამონაკლისი აღმოჩნდა მრეწველობის პროდუქცია: მისი იმპორტი გაიზარდა, სავარაუდოდ, ადგილობრივ ბაზარზე გაზრდილი ფასების გამო. ფასების ექსპორტისა და იმპორტის ამ ცვლილებებმა, სრულიად ლოგიკურად, გამოიწვია სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება.

სიმულაციის ამ ვარიანტში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სოფლის მეურნეობის სექტორი. საქმე ისაა, რომ გაცვლითი კურსის გაუფასურებას ეკონომიკის ამ სექტორში მოსდევს გამოშვების მოცულობის, შინამეურნეობების დანახარჯების, საინვესტიციო მოთხოვნის, საწარმოო ფაქტორების მონაწილეობის ხარისხის, წმინდა გადასახადების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა. საკმაოდ რთულია ამ გარემოების დასაბუთებულად ახსნა. მაგრამ, როგორც ჩანს, ლარის გაუფასურების პირობებში ამ სექტორის პროდუქციაზე გაზრდილი მოთხოვნის ეფექტი აღემატება წარმოების პროცესში გამოყენებული შუალედური პროდუქტების ფასის ზრდის უარყოფით ეფექტს

მესამე, უნდა ითქვას, რომ ექსპორტის 20%-ით ზრდა, წინა ორი სცენარისაგან განსხვავებით, გამოვლინებების მრავალფეროვნებით არ ხასიადება. თუ დავაკვირდებით ცხრილ 2-ს, დავინახავთ მკვეთრად გამოხატულ ტენდენციას: ექსპორტის ზრდა სტაბილურად დადებითად აისახება საქმიანობების ერთ ნაწილზე და უარყოფითად მეორეზე. საქმიანობების ჩვენს მიერ განხილულ ჩამონათვალში პირველ ნაწილს მიეკუთვნებიან სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და მშენებლობა, მეორე ნაწილს კი მომსახურების სექტორი. ამ ფაქტს, რომ ქვეყნის ექსპორტის ზრდის შემთხვევაში ერთ-ერთი სექტორის გამოშვება (აქ არსებითი არ არის ეს რომელი სექტორია) მცირდება, სხვა დანარჩენების ზრდისას, საკმარისად მარტივი ახსნა გააჩნია. ის პირდაპირ უკავშირდება განხილული CGE მოდელის სტატიკურ ხასიათს. საქმე ის არის, რომ სიმულაციისას, მოდელის სტატიკურობიდან გამომდინარე, საწარმოო რესურსების (შრომისა და კაპიტალის) მოცულობებს ჩვენ ფიქსირებულ სიდიდეებად განვიხილავდით[3] (თუმცა შეგვეძლო ეს არ გაგვეკეთებინა). სწორედ ეს გარემოება გახდა იმის მიზეზი, რომ სიმულაციებისას მოდელიდან მიღებული ზოგიერთი შედეგი ეკონომიკური თვალსაზრისით ძნელი ასახსნელია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ყველაფერი ნათელია. ეგზოგენურად გაზრდილი ექსპორტის შემთხვევაში (რასაც სცენარი ითვალისწინებდა) ყველა სექტორს ერთდროულად რომ გაეზარდა გამოშვება, დამატებითი მოთხოვნა გაჩნდებოდა შრომასა და კაპიტალზე. მაგრამ, რადგანაც ეს ორი რესურსი ფიქსირებულია, შექმნილ სიტუაციაში სექტორებს შორის კონკურენცია არსებული რესურსების გადანაწილებას იწვევს. ამ პროცესში რომელიმე სექტორი აუცილებლად უნდა დაზარალებულიყო. როგორც ცხრილ 2-ის ანალიზი გვიჩვენებს, ასეთი აღმოჩნდა მომსახურების სექტორი.

დასასრულს, დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ CGE მოდელები, რთული აღწერილობისა და გარკვეული არასრულყოფილების მიუხედავად, ინტენსიურად გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკაში ფართო სპექტრის საკითხებზე პასუხის გასაცემად (Nesterova, 2017). გამოცდილების დაგროვებასთან ერთად პარალელურად მიმდინარეობს ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და სრულყოფის პროცესი. ამ მხრივ საინტერესო მიმართულებაა CGE მოდელის გარდაქმნა დინამიკურ ვარიანტად, რომელიც აღწერს ეკონომიკის არა ერთ წონასწორობის მდგომარეობას, არამედ წონასწორულ მდგომარეობათა თანმიმდევრობას. აღსანიშნავია, რომ დინამიკური CGE მოდელი შეიძლება გამოყენებულ იქნას განვითარების გრძელვადიანი სცენარების შესამუშავებლად.

[3] მოკლევადიანი პერიოდისათვის ეს საკმარისად ლოგიკური დაშვებაა და მას სხვა ტიპის მოდელებშიც ხშირად იყენებენ.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

Ananiashvili, I. (2019). Monetary Politics in Quasi-linear Macroeconomic model. The 4th International Scientific Conference materials: *Challenges of Globalization in Economics and Business*. Tbilisi (In Georgian).

Ananiashvili, I., Achelashvili K., Meskhia I., Papava V., Silagadze A., & Tsereteli G. (2003). *Methods and Models of Macroeconomic Regulation*. Tbilisi, Metsniereba (In Georgian).

Armington, P. (1969). *A Theory of Demand for Products Distinguished by Place of Production.* IMF Staff Papers.

Bovenberg, A. A. (1996). Optimal Environmental Taxation in the Presence of Other Taxes: General- Equilibrium Analysess. *American Economic Review,* 86(4), 985-1000.

Debreu, G. (1959). Theory of Value. New Haven and London: Yele Universin Press.

Decaluwe, B. A. (1999). *Poverty Analysis Within a* CREFA Working Paper 99-106.

Dervis, K., De Melo, J., & Robinson, S. (1982). *General Equilibrium Models for Development Policy.* Washington: World Bank.

Ergeshidze, A. (2017). Impact of Exchange Rate on Macroeconomic Environment. TSU, PhD thesis (In Georgian).

Gorbachuk, V., & Rusanov M., I. (2010). Calibration of a Computable General Equilibrium Model. *Computer Mathematics*. 1, 10-17 (In Russian).

Goulder, L. (2002). *Environmental Policy Making in Economies With Prior Tax Distortions.* Northampton MA: Edward Elgar.
Graham Pyatt, J. I. (1985). *Social Accounting Matrices: a Basis for Planning.* Washington: The World Bank.
Gunning, J. W., & Keyzer, M. A. (1995). Applied General Equilibrium Models for Policy Analysis. In T. S. Hollis Chenery, *Handbook of Development Economics, Edition 1.* 3(35), 2025-2107.
Hosoe, N. (2004). *Computable General Equilibrium Modeling with GAMS.* Tokyo: National Graduate Institute for Policy Studies.
Hosoe, N., Kenji, G., & Hideo, H. (2010). *Textbook of Computable General Equilibrium Modelling: Programming and Simulations*. Palgrave Macmillan.
Johansen, L. (1960). A Multi-Sectoral Study of Economic Growth. North-Holland, Amsterdam.
Labadze, L. (2015). Assessing the Effectiveness of Investments in Agriculture of Georgia through Microeconomic Model. TSU, PhD thesis ((In Georgian).
Lavrentev, A. S., & Krinichanskii, K. V. (2016). Methods for Assessing the Impact of Structural Policy on Macroeconomic Parameters: General Equilibrium Models. *Regional Economics: Theory and Practice*, 9, 98-112 (In Russian).
Leontief, W. (1936). *Quantitative Input-Output Relations in the Economic System of the United States.*
Lofgren, H., Harris, R. L., & Robinson, S. (2002). *A Standard Computable General Equilibrium (CGE) Model in GAMS*. International Food Policy Research Institute. https://www.ifpri.org/publication/standard-computable-general-equilibrium-cge-model-gams-0
Makarov, V.L, Bakhtizin A. R., & Sulashkin S. S. (2007). Application of Computable Models in Public Administration. Nauchni Ekspert. (In Russian).
Martin, W., & Winters, L. (1996). *The Uruguay Round and the Developing Economies.* Cambridge University Press: New York.
Melitauri, N. (2021). International Trade in Theoretical and Empirical Models of Macroeconomic Modelling (on the Example of Trade between European Union and Georgia). TSU, PhD thesis. (In Georgian.)
Nesterova, K. V. (2017). Multiregional Models of General Equilibrium: Framework and Applications. Upravlencheskoe Konsultirovanie. 12, 92-100 (In Russian).
Palatnik, R. R., & Shechter, M. (2010). Assessing the Economic Impacts of Climate Change Using a CGE Model with Decentralized Market Instruments. *Journal of Siberian Federal University. Humanities & Social Sciences, 6*.
Perry, G. J. (2003). *Fiscal Reform and Structural Change in Developing Countries.* New-York: Palgrave-Macmillan.
Rausch, S., Metcalf, G. E., Reilly, J. M., & Paltsev, S. (2009) Policy Analysis', The MIT Joint Program on the Science and Policy of Global Change, *Technical note,* 6.
Shields, C., & François, J. (1994). *Modeling Trade Policy: Applied General Equilibrium Assessments of North American Free Trade.* New York: Cambridge University Press.
Stone, R. (1947). *Measurement of National Income and the Construction of Social Accounts.* Geneva: United Nations.
Stone, R. (1962). *A computable Model of Economic Growth.* London: Chapman and Hall.
Szeto, K. L. (2002, June 2). A Dynamic Computable General Equilibrium (CGE) Model of the New Zealand Economy. *New Zealand Treasury Working Paper.* http://nzae.org.nz/files/%2363-SZETO.PDF.
Thorbecke, E. G. (1976). *Planning Techniques for a Better Future.* Geneva.
Weyant, J. (1999). *The Costs of the Kyoto Protocol: a Multi-Model Evaluation. Energy Journal* (special issue).
Wing, S. I. (2004). *Computable General Equilibrium Models and their Use in Economy-Wide policy Analysis.*

JEL Classification: E52, E58. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.019

ANTI-CRISIS POLICY OF THE LEADING CENTRAL BANKS AT THE PRESENT STAGE

MALKHAZ CHIKOBAVA
PhD in Economics, Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
malkhaz.chikobava@tsu.ge

Abstract. According to a review of "Central Banks: Monthly Balance Sheets", prepared by the consulting company Yardeni Research, Inc., the assets of the four leading central banks in the world - the US Federal Reserve (FED), the European Central Bank (ECB), the Bank of Japan and the People's Bank of China (PBOC), increased by 4.8 times over the specified period. Consequently, the liabilities of the big four central banks increased by 4.8 times. As it is known, the bulk of the Central Bank's liabilities is money issued by central banks (in the form of cash and deposits, on which commercial banks place their funds). Therefore, the money supply issued by four banks in a quarter of a century has also increased by 4.8 times.

The FED was especially distinguished by the fact that it began to sharply increase the issue of money in the midst of the financial crisis of 2008-2009. This was done under the flag of "quantitative easing" (QE). There were three "quantitative easing" programs, the last one ended in 2014. However, when the US declared a "pandemic" and began to impose quarantine restrictions, the Fed's printing press was again launched at full capacity. Now the Fed buys $ 120 billion a month in the securities market ($ 80 billion in US Treasury securities and another $ 40 billion in mortgage securities). Accordingly, the dollar supply is increasing by the same amount every month.

The Bank of Japan is on the second place in terms of the growth rate of assets (and money supply). It began to build up assets and money supply earlier than other leading central banks, from the end of the 20th century to the beginning of the 21st century.

At the end of February 2021, the picture has changed radically. We see a rapid rise in the value of the indicator at the Bank of Japan, at the turn of 2018-2019. It crossed the 100% bar. Now its assets are equal to 127.4% of GDP. The indicators of the relative level of assets of the Fed and the ECB have grown very much. But the Central Bank of China has reduced the relative value of its assets by about a third. This is both the result of curbing the activity of the Chinese Central Bank and the fact that China has experienced high rates of GDP growth.

As for the other three leading central banks, their policy of increasing money supply will continue. The head of the US Federal Reserve, Jerome Powell, makes it clear that the US Central Bank, at least until the end of the year, will continue to buy securities in the same volumes (that is, $ 120 billion a month).

ECB President Christine Lagarde said in March that the bank would accelerate asset purchases in the coming months under the Pandemic Emergency Purchase Program (PEPP). The volume of this program is 1.85 trillion EUR. In addition, the main ECB repurchase program continues to operate.

Other central banks that are not included in the survey by Yardeni Research, Inc. are also pursuing an asset buildup course. Among them are the Bank of England and the Swiss National Bank.

Leading central banks of the world, to justify the runaway money emission, refer to the "pandemic". The more money supply is created, the more likely it is that this currency will have a lower rate in relation to the competitor's currency. And the undervalued exchange rate of the national currency is a means of strengthening the international competitiveness of national business. However, such competition can lead to the collapse of the currencies of rival central banks.

KEYWORDS: NEGATIVE INTEREST RATE, PANDEMIC, VIRAL-ECONOMIC CRISIS, QUANTITATIVE EASING, CURRENCY WAR.

For citation: Chikobava, M., (2021). Anti-Crisis Policy of the Leading Central Banks at the Present Stage. *Globalization and Business.* 12, 143-151. (In Georgian). https://doi.org/10.35945/gb.2021.12.019

JEL Classification: E52, E58. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.019

წამყვანი ცენტრალური ბანკების ანტიკრიზისული პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე

მალხაზ ჩიქობავა
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
malkhaz.chikobava@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: უარყოფითი საპროცენტო განაკვეთი, პანდემია, ვირუსულ-ეკონომიკური კრიზისი, რაოდენობრივი შერბილება, სავალუტო ომი.

ციტირებისთვის: ჩიქობავა, მ. (2021). წამყვანი ცენტრალური ბანკების ანტიკრიზისული პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე. *გლობალიზაცია და ბიზნესი.* 12, 143-151. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.019

2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის შემდეგ ნამდვილი ეკონომიკური გამოცოცხლება მსოფლიოში ჯერ კიდევ არ დამდგარა. XXI საუკუნის მეორე ათწლეული იყო სტაგნაციის პერიოდი, ხოლო 2020 წლის ბოლოსათვის ცალკეულ ქვეყნებში შეიმჩნეოდა რეცესიის ნიშნები.

თვით ისეთი თავგამოდებული გლობალისტები, როგორიცაა კლაუს შვაბი და ჟაკ ატტალი, ალაპარაკდნენ კაპიტალიზმის კრიზისზე და გამოვიდნენ მისი სხვა მოდელით შეცვლის იდეით (Katasonov, 2020).

2019 წლის IV კვარტალში გლობალურ ეკონომიკაში დაწყებული რეცესია ინიღბებოდა „პანდემიით". თითქოს ეკონომიკური კრიზისი წარმოშობილიყო არა კაპიტალისტური სისტემისთვის დამახასიათებელი დისპროპორციებით, არამედ რომელიღაც ვირუსით. როგორც ცნობილია, მთელ მსოფლიოში შემოღებულ იქნა შეზღუდვები ადამიანთა ნორმალურ ცხოვრებასა და კომპანიების საქმიანობებზე, რაც კიდევ უფრო თრგუნავდა ეკონომიკას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკამ 2020 წელს დაკარგა 5,8%. აშშ-მა ეს წელი დაასრულა 4,3%-იანი ვარდნით, ევროზონის ეკონომიკამ დაკარგა მთლიანი გამოშვების 8,3% რეცესიის მნიშვნელოვანი მასშტაბების გამო. ვარდნამ ესპანეთში 12,8%, იტალიაში – 10,6%, საფრანგეთში – 9,8%, ხოლო გერმანიაში – 6% შეადგინა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, 2020 წელს მსოფლიო ეკონომიკის დანაკარგებმა აბსოლუტური მაჩვენებლით 3,6 ტრლნ დოლარი შეადგინა, რაც საფრანგეთისა და ესპანეთის ერთად აღებული ჯამური წლიური GDP-ის ტოლია. ნებისმიერი პროფესიონალი და კეთილსინდისიერი ექსპერტი იტყვის, რომ გასული წლის მსოფლიო რეცესია ყველაზე ღრმაა ე.წ. დიდი დეპრესიის შემდეგ.

თუმცა, მსოფლიო ჯერ კიდევ არც ისე ძალიან გრძნობს ეკონომიკური ვარდნის სიღრმეს. მართალია, ადამიანები განიცდიდნენ საშინელ დისკომფორტს „თვითიზოლაციით", შეზღუდვებითა და აკრძალვებით, მაგრამ ადგილი ჰქონდა კრიზისული მოვლენების ერთგვარ ამორტიზაციას, უპირველეს ყოვლისა, განვითარებულ ქვეყნებში. მოსახლეობა ღებულობდა ე.წ. „ვერტმფრენის ფულს", კომპანიებს ეძლეოდათ სუბსიდიები და პრაქტიკულად უპროცენტო კრედიტები. გარდა ამისა, სახელმწიფო ყიდულობდა კორპორაციულ ფასიან ქაღალდებს, რითაც ასულდგმულებდა კომპანიებს (Katasonov, 2019).

გულუხვი ფულადი ინექციების პირველწყაროდ იქცნენ მსოფლიოს წამყვანი ცენტრალური ბანკები (უპირველეს ყოვლისა, აშშ-ის ფედ-ი, ევროპის ცენტრალური ბანკი, იაპონიის ბანკი, ინგლისის ბანკი). გასულ წელს მათ ეკონომიკაში გადაისროლეს 10 ტრლნ დოლარის ოდენობის ფულადი მასა. ოთხი ცენტრალური ბანკის, კერძოდ, აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის, ევროპის ცენტრალური ბანკის, იაპონიის ბანკისა და ჩინეთის სახალხო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით, მათი ჯამური აქტივები 2007 წლის დასაწყისში (მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაწყებამდე) 5 ტრლნ დოლარს შეადგენდა. 2020 წლის დასაწყისში („პანდემიის" დაწყებამდე) აქტივებმა 19,2 ტრლნ დოლარი შეადგინა, ხოლო 2020 წლის ბოლოსათვის – 28,6 ტრლნ დოლარი. შედეგად, ნაზრდმა ერთი წლის მანძილზე 9,4 ტრლნ დოლარი შეადგინა. 2020 წლის ბოლოს ცენტრალური ბანკების აქტივები ასე გამოიყურებოდა (ტრლნ დოლარში): ევროპის ცენტრალური ბანკი – 8,5; აშშ-ის ფედ-ი – 7,3; იაპონიის ბანკი – 6,8; ჩინეთის სახალხო ბანკი – 5,9 (Bedianashvili, 2021).

საფონდო მოედნებზე გარკვეული პანიკა შეიმჩნეოდა 2020 წლის მარტში, როცა ჯერ კიდევ არ იყო მიღებული გა-

დაწყვეტილება ფულად ინექციაზე, მაგრამ უკვე აპრილში საფონდო ბაზრები მოსულიერდნენ. აქციების ამერიკული ბაზარი ჩამოშლის შემდეგ მარტში 75%-ით გაიზარდა S&P 500 ინდექსის მიხედვით და მან ისტორიული მაქსიმუმი განაახლა. გლობალური საფონდო ბაზრების კაპიტალიზაცია 2020 წლის მარტიდან 30 ტრლნ დოლარით გაიზარდა და მჭიდროდ მიუახლოვდა 100 ტრილიონიან ნიშნულს.

ერთი სიტყვით, ამა თუ იმ გზებით ცენტრალური ბანკების საბეჭდი მანქანების თითქმის მთელი პროდუქცია აღმოჩნდა საფონდო ბაზრებზე და გამოიყენებოდა ფინანსური საპნის ბუშტების გასაბერად. სეტ კლარმანი (Seth Klarman), ჰეჯ-ფონდის Baupost Group-ის დამფუძნებელი წერს: „ასეთი მასშტაბის სტიმულებით რეცესიის სიღრმის გაგების მცდელობა იგივეა, რომ გავიზომოთ ტემპერატურა ასპირინის მიღების შემდეგ". ინვესტორებმა, სეტ კლარმანის აზრით, სრულად შეწყვიტეს რისკების შეგრძნება, მან ისინი შეადარა „ბაყაყებს, რომლებსაც ხარშავენ ნელ ცეცხლზე" (Financial Times, 2021).

მივაქციოთ ყურადღება: 2020 წელს ფულადი მასა გაიზარდა 10 ტრილიონით, ხოლო საფონდო ბაზრების კაპიტალიზაცია – 30 ტრილიონი დოლარით. ვინ გაბერა ბუშტები ცენტრალური ბანკების გარდა? მათ, რომლებიც ახდენენ არა ფულის, არამედ ციფრული ინფორმაციის ემისიას! უპირველეს ყოვლისა, ესენია სილიკონი ველის ამერიკული IT-კორპორაციები. გასული წელი Amazon, Apple, Microsoft, Facebook, Google-ისათვის გახდა „წვეულება ჟამიანობის" დროს. 2020 წლის იანვრიდან შუა პერიოდამდე Amazon-ის საბაზრო კაპიტალიზაცია 80%-ით გაიზარდა, Apple-ის – 66%-ით, Microsoft-ის – 42%-ით, Facebook-ის – 40%-ით, Google-ის – 20%-ით. კორპორაცია Tesla კი ერთი წლის მანძილზე ცხრაჯერ უფრო ძვირი გახდა!

2020 წლის აგვისტოში აშშ-ის ტექნოლოგიური კომპანიების საბაზრო კაპიტალიზაციამ გადააჭარბა მთელი ევროპის აქციების ბაზრის მთლიან კაპიტალიზაციას და მან 9,1 ტრილიონი დოლარი შეადგინა (ევროპის ანალოგიურ მაჩვენებელთან – 8,9 ტრილიონთან შედარებით). 2007 წელს კი სიტუაცია სრულიად საწინააღმდეგო იყო: ამერიკული აქციები ევროპულ ბაზრებს 4-ჯერ ჩამორჩებოდა (Bedianashvili, 2021).

2020 წლის შედეგებით S&P500-ის ინდექსი, რომელიც ზომავს აშშ-ის საფონდო ბაზრის მდგომარეობას, 16,3%-ით გაიზარდა, ხოლო Nasdaq Composite-ის ინდექსი (მაღალტექნოლოგიური კომპანიების აქციები) — 43,6%-ით. 2021 წლის იანვარში ძირითადმა ინდექსებმა მიაღწიეს ახალ სარეკორდო დონეებს. მაგალითად, ილონ მასკმა შეძლო საკუთარი კომპანიის – Tesla-ს კაპიტალიზაციის გაზრდა 800 მლრდ დოლარამდე, რითაც ამ მაჩვენებლით გაუსწრო Facebook-ს. კომპანიის აქციების გახელებული დინამიკა, რომელიც აფართოებს ელექტრომობილების წარმოებას, ემყარება მასკის ისტორიებს ახალი ავტომობილის სასწაულებრივი თვისებების შესახებ.

ოპტიმიზმს მხარს უჭერს ფული, რომელთა ბეჭდვასაც ახდენენ ცენტრალური ბანკები. ისინი აგრძელებენ ფულადი მასის გაფართოებას: აშშ-ის ფედ-ი – 120 მლრდ დოლარით ყოველთვიურად, ევროპის ცენტრალური ბანკი – 80 მლრდ დოლარით. Bank of America აფასებს, რომ ექვს წამყვან ბანკს შეუძლია თავისი აქტივების ზრდა კიდევ 3 ტრლნ დოლარით 2021 წელს. თუმცა, იმისათვის, რომ ეკონომიკა ასულდგმულოს, საჭიროა ფულადი მასის ზრდის მხარდაჭერა წინა წლის დონეზე მაინც. ეს კი ვერ მოხდება. 2021 წელს ფულადი მასის კიდევ 10 ტრლნ დოლარით გადიდება – ეს ნიშნავს, რომ წამყვანი ვალუტები ჩამოიშლება. სიტუაცია ჩიხურია.

იმის ალბათობა, რომ ეკონომიკური კრიზისი 2021 წელს გაგრძელდება, მაღალია. და თუ გასულ წელს ეს გამოიკვეთა მთავარი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების (GDP, ინვესტიციები, დასაქმება) ვარდნაში, მიმდინარე წელს შეიძლება საფონდო ბუშტები გასკდეს და ეს პირდაპირ მოახდენს გავლენას რეალურ ეკონომიკაზე. შეიძლება განმეორდეს ის, რაც 2008 წელს მოხდა: ფინანსური ბაზრების კოლაფსი ღრმა ეკონომიკური რეცესიის პროვოცირებას მოახდენს.

ზემოხსენებულ კლაუს შვაბსა და ჟაკ ატალის ასევე არ სჯერათ, რომ კრიზისის დაძლევა შესაძლებელია ცენტრალური ბანკის საბეჭდი მანქანის დახმარებით და ითხოვენ ახალ მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგზე გადასვლას, რომელშიც გლობალური ელიტის მკაცრი დიქტატურა იქნება დამყარებული.

წლის დასაწყისში მსოფლიოში შედარებით სიჩუმე შეიმჩნეოდა, მაგრამ ეს სიჩუმე ავისმაუწყებელია. მგრძნობიარე ყური შორეულ ღრმა ბიძგებს ისმენს, რაც გლობალური მიწისძვრის მაუწყებელია. Bloomberg-ის სააგენტო დიდი ხნის განმავლობაში აკვირდება ბირჟის მონაწილეთა იმ ნაწილს, რომლებსაც ინსაიდერებს უწოდებენ. ესენი არიან მაჟორიტარი აქციონერები და ტოპ მენეჯერები; ადამიანები, რომლებსაც რეალური წარმოდგენა აქვთ საკუთარი კომპანიების მდგომარეობაზე. ბევრ ინსაიდერს ასევე აქვს ინფორმაცია პარტნიორებისა და კონკურენტების კომპანიების შესახებ. ინსაიდერებზე დაკვირვება, ინსაიდერების ქცევა, მათი კონტროლი და ინსაიდერული ოპერაციების სტატისტიკა ძალიან დელიკატური საკითხია. Bloomberg-იც კი ყოველთვის არ იზიარებს ასეთ სტატისტიკას. თუმცა, ცოტა ხნის წინ, მან საინტერესო მონაცემები გამოაქვეყნა: ინსაიდერებმა მფლობელებისა და ტოპ მენეჯერების რიცხვიდან 2021 წლის იანვარში დაიწყეს მათი კომპანიის აქციების გაყიდვა აშშ-ის ბაზარზე ისტორიაში უპრეცედენტო ტემპით. ახალი წლის პირველ სამ კვირაში დაახლოებით ათასი ინსაიდერი ყიდდა ფასიან ქაღალდებს და მხოლოდ 128 ყიდულობდა. ადგილი ჰქონდა გამყიდველების რვაჯერ მეტობას მყიდველებთან შედარებით! ეს არის რეკორდული გარღვევა 1988 წლიდან მოყოლებული. კიდევ უფრო ფართოა ღირებულებითი გარღვევა: სამ კვირაში ინსაიდერებმა 300 მილიონ დოლარად გაყიდეს ფასიანი ქაღალდები, რაც 16-ჯერ მეტია, ვიდრე მათი შესყიდვების მოცულობა (Durden, 2021).

აღსანიშნავია, რომ ჯო ბაიდენი წინასაარჩევნო კამპანიის დროს გაცემული დაპირებით, გახდებოდა თუ არა პრე-

ზიდენტი, დაუყოვნებლივ მიმართავდა ძალისხმევას დახმარების პაკეტის შესათავაზებლად ამერიკელი ხალხისა და ეკონომიკის მიმართ. ეს ის პოლიტიკაა, რომელიც შესადარია საგანგებო დახმარების პაკეტთან და რომელიც გამოყენებულ იქნა 2020 წლის მარტ–აპრილში, როცა საუბარი დაიწყო „პანდემიაზე“ და სავაჭრო–სამრეწველო საქმიანობა ძლიერ იქნა შეზღუდული. მაშინ ფედერალური ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნა საერთო ჯამში 2,2 ტრლნ დოლარი. ფულის ნაწილი განკუთვნილი იყო მოქალაქეებზე პირდაპირ დასარიგებლად: 1200 დოლარის ოდენობით ყოველ ზრდასრულ ამერიკელზე და 500 დოლარი ბავშვებზე. ასეთმა ფულმა მიიღო „ვერტმფრენის ფულის“ (Helicopter money) სახელწოდება, ისინი გაიცემა ერთნაირი სიდიდით ყველაზე ან თითქმის ყველაზე (ძალიან მდიდრების გამოკლებით).

ადრე უკვე ადგილი ჰქონდა ვერტმფრენის ფულის გაცემის შემთხვევას ამერიკელებზე – 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის დროს, მაგრამ მაშინ გადახდები ბევრად მოკრძალებული იყო: 600 დოლარამდე ზრდასრულ ადამიანებზე და 300 დოლარამდე – ბავშვებზე.

2020 წლის დეკემბრის ბოლოს დონალდ ტრამპმა კონგრესის მეშვეობით გაიტანა კანონი კონსოლიდირებულ ასიგნებებზე (Consolidated Appropriations Act — CAA), რომელიც ითვალისწინებდა მოსახლეობისა და ბიზნესის მიმართ დახმარების გაწევას ვირუსულ–ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით, მათ შორის, მოსახლეობისადმი ვერტმფრენის ფულის დარიგებით. კანონმდებლები თავდაპირველად შემოიფარგლნენ 600 დოლარით ერთ ზრდასრულ მოსახლეზე გაანგარიშებით, მაგრამ ტრამპი დაჟინებით მოითხოვდა 2000 დოლარს. მაშინ ვერტმფრენის ფულზე გამოიყო 0,9 ტრლნ დოლარი (Papava & Charaia, 2021).

ჯო ბაიდენი, მოვიდა რა თეთრ სახლში, შეუდგა აშშ–ის კონგრესის მეშვეობით კიდევ ერთი დახმარების პაკეტის გატანას. 6 მარტს სენატმა, 10 მარტს კი წარმომადგენლობითმა პალატამ მოიწონა კანონი COVID-19–ის შედეგების შერბილებაზე (COVID (Covid Relief Act, CRA), მოახდინა რა მის რეალიზაციაზე 1,9 ტრლნ დოლარის ასიგნება. კანონი მონათლეს, როგორც „გადარჩენის ამერიკული გეგმა“ (Chikobava, 2020).

160 მლრდ დოლარის გამოყენება ნავარაუდევია მოსახლეობის ტესტირებაზე კორონავირუსისა და ვაქცინაციის საგანზე. რამდენიმე ასეული მილიარდი დოლარი გამოყოფილია ბიზნესის დასახმარებლად, კარანტინის შემდეგ სკოლების გახსნაზე, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გამყარებაზე და სხვ.. ასიგნების ნახევარზე მეტი კი CRA–ს ფარგლებში (დაახლოებით 1 ტრილიონი დოლარი) – განკუთვნილია მოსახლეობის დასახმარებლად. ყოველმა ზრდასრულმა ამერიკელმა უნდა მიიღოს ჩეკი 1,4 ათასი დოლარის ოდენობით. ეს წმინდა სახით ვერტმფრენის ფულია (Katasonov, 2019). პლუს ამისა, დამატებითი დახმარებები განკუთვნილია ბავშვებისთვის, უმუშევრობაზე შემწეობებზე დანამატების გაგრძელებაზე და ცალკეული სოციალური ჯგუფების სხვა შეღავათებზე. „გადარჩენის ამერიკული გეგმა“ მიმართულია მოსახლეობის ყველაზე ღარიბი ნაწილის (დაახლოებით მეხუთედი ნაწილის) მხარდასაჭერად; ექსპერტების შეფასებით, მიმდინარე ფინანსური წლის დამთავრებამდე (ანუ, 2021 წლის 1 ოქტომბრამდე) ამ ამერიკელების შემოსავლები უნდა ამაღლდეს 20%–ით.

მაშასადამე, თუ გადავითვლით გასული წლის მარტის ბოლოს CARES Act–ის მიღების მომენტიდან მიმდინარე წლის მარტში Covid Relief Act–ის მიღებამდე, ზუსტად ერთ წელს ვღებულობთ. დახმარების ყველა პაკეტის ოდენობა ერთი წლის მანძილზე მიღებული კანონებით დაახლოებით 5 ტრილიონი დოლარია. თანხა კოლოსალურია. მაგალითად, აშშ–ში ფედერალურ ბიუჯეტში 2019 წელს ყველა ხარჯის საერთო ოდენობა განისაზღვრა 4,4 ტრლნ დოლარით. გამოდის, რომ გასული წლისათვის საშუალება, რომელიც გამოყოფილ იქნა COVID-19–თან და მის სოციალურ–ეკონომიკურ შედეგებთან საბრძოლველად, აჭარბებს აშშ–ის 2019 წლის ფინანსური წლის ბიუჯეტის ჯამურ ხარჯებს.

საკმაოდ რთულია, დავითვალოთ ყველა ვერტმფრენის ფულის საერთო თანხა, რომელიც ბოლო წლის მანძილზე იქნა გამოყოფილი. ყველაზე ხშირად სახელდება თანხა 1,5 ტრილიონი დოლარის ოდენობით. შედარებისთვის: თავდაცვაზე დანახარჯები (საბიუჯეტო ხარჯების ყველაზე მსხვილი მუხლი) აშშ–ის ფედერალურ ბიუჯეტში 2020 წლისათვის განისაზღვრა 738 მლრდ დოლარის ოდენობით.

ვერტმფრენის ფულის დარიგების პრაქტიკის მომხრეები ხაზს უსვამენ, რომ ის წარმოადგენს არა მხოლოდ სოციალური პოლიტიკის (ღარიბების მხარდაჭერის) საშუალებას, არამედ ეკონომიკის სტიმულირების ინსტრუმენტსაც. მოქალაქეების მიერ მიღებული ფული იხარჯება სურსათისა და სხვა სასიცოცხლოდ აუცილებელი პროდუქტების შეძენაზე, რომლებიც წარმოებულია ამერიკელი საქონლის მწარმოებლების მიერ.

ვერტმფრენის ფულს თავისი ოპონენტები გააჩნია. ისინი ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ მოქალაქეები ვადიანი დახმარების ფარგლებში მისაღები ფულის ნახევარზე არანაკლებს ხარჯავენ არა სამამულო, არამედ უცხოური საქონელმწარმოებელთა პროდუქციის შეძენაზე. ვერტმფრენის ფული, რბილად რომ ვთქვათ, სუსტად ასტიმულირებს ამერიკელ მწარმოებელს. უფრო მართებული იქნებოდა ფულის წარმართვა პირდაპირ ამერიკული ბიზნესისკენ, განსაკუთრებით მცირე და საშუალოსკენ. მოქალაქეებს კი დახმარება უნდა გაეწიოს არა ფულადი, არამედ ნატურალური სახით.

მხედველობაშია პროდუქტების შეღავათიანი ყიდვის პროგრამა (Supplemental Nutrition Assistance Program), რომელიც ამერიკაში რამდენიმე ათეული წელია მოქმედებს (Sedov, 2019). მას კიდევ უწოდებენ პროდუქტის ტალონების სახით დახმარებას (food stamps), რომელიც შეღავათიანი ფასებით პროდუქტების ყიდვის საშუალებას იძლევა. ამერიკელ მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ

ტალონებით, წლის განმავლობაში 36-დან 44 მილიონამდე გაიზარდა. საშუალოდ, ტალონის ერთ მფლობელზე გაანგარიშებით დახმარებამ თვეში 161 დოლარი შეადგინა (ფასდაკლების ჯამური სიდიდე). საბიუჯეტო დანახარჯები პროდუქტებით დახმარებაზე ამერიკელების მიმართ 2020 საფინანსო წელს 50%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და მან 90 მლრდ დოლარს მიაღწია (შეღავათიანი ფასების სუბსიდირება სურსათზე). ციფრი შთამბეჭდავია, თუმცა ვერ შეედრება ვერტმფრენის ფულის ასტრონომიულ თანხებს.

მოულოდნელად ვერტმფრენის ფულის ოპონენტებს გაუჩნდათ კიდევ ერთი საინტერესო არგუმენტი – Deutsche Bank AG (DE:DBKGn)-ის არგუმენტი, რომელიც ემყარება ამერიკელების ანონიმურ გამოკითხვას. კითხვაზე, თუ როგორ აპირებენ ვერტმფრენის ფულის შემდეგი ნაწილის განკარგვას, გამოკითხულთა 37%-მა თქვა, რომ აქციების ყიდვა სურთ ბირჟაზე. აბსოლუტური გამოხატულებით ეს დაახლოებით 150 მლრდ დოლარია.

ბანკ JP Morgan Chase-დან ანალიტიკოსებმა ასეთი კომენტარი გააკეთეს ამ კვლევის შედეგებზე (კომენტარები გამოქვეყნდა 10 მარტს): „თუ ვივარაუდებთ, რომ გადახდების გადარიცხვა 1,4 ათასი დოლარის ოდენობით დაიწყება ამ ან მომდევნო კვირას, არსებობს მაღალი შანსი იმისა, რომ ჩვენ ვნახავთ გასული წლის დეკემბრის განმეორებას" (Ossinger, 2021). აღნიშნულია, რომ უწინდელმა გადახდებმა სტიმულირების ღონისძიებების ფარგლებში აშშ-ის საფონდო ინდექსებს საშუალება მისცა, მიეღწია რეკორდული მნიშვნელობისათვის. მაშინ აშშ-ის საფონდო ბაზარზე მოხდა ცალკეული კომპანიების აქციებზე ფასების ანომალური ზრდა, დაწყებული GameStop-ის მაღაზიების ქსელიდან და სხვა მთელი რიგი აქტივებიდან WallStreetBets-ის ჯგუფის მოქმედების ფონზე, რომელიც ითვლის მონაწილეთა ექვს მილიონზე მეტს Reddit-ის ონლაინ-პლატფორმაზე. ფიზიკურმა პირებმა დაიწყეს აქციების შესყიდვა, რათა „გაეძარცვათ" ტრეიდერები, რომლებიც თამაშობდნენ შემცირებაზე. ეს ისტორია ფართოდ განიხილებოდა მასმედიაში, მაგრამ არავინ მიაქცია ყურადღება იმას, რომ საფონდო ბაზარზე ექვს მილიონ ადამიანზე მეტის აქტიურობა პროვოცირებული იყო არა მხოლოდ Reddit-ის საიტის ახალი ამბებით, არამედ ასევე ვერტმფრენის ფულით, რომელიც მიიღეს მოქალაქეებმა ახალი წლის წინ მიღებული Consolidated Appropriations Act-ის მიხედვით.

შეიძლება ველოდოთ, რომ ვერტმფრენის ფულის მოსალოდნელი გაცემა Covid Relief Act-ის მიხედვით გამოიწვევს საფონდო ბაზარზე კოტირებების ახალ ანომალურ ზრდას. ეს ფული – არა მხოლოდ სოციალური პოლიტიკის ინსტრუმენტია, არამედ ასევე ფინანსური საპნის ბუშტების გაბერვის ინსტრუმენტიც.

როგორც ცნობილია, „გლობალურმა პანდემიამ" მოახდინა გლობალური ეკონომიკური კრიზისის კიდევ უფრო გამწვავება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. მრავალმა ცენტრალურმა ბანკმა კრიზისზე რეაგირება მოახდინა საკვანძო განაკვეთების შემცირებით.

მაგალითად, აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ 2020 წლის 4 მარტს საკვანძო განაკვეთი 1,50-1,75-დან 1,00-1,25%-მდე შეამცირა, ანუ ერთბაშად 50 პუნქტით ჩამოვიდა დაბლა. 16 მარტს კი კიდევ ერთ ნახტომს ჰქონდა ადგილი შემცირების მიმართულებით – 0-0,25%-მდე, ანუ, კიდევ 100 პუნქტით დაწევას. შემცირების მიმართულებით ამგვარ მკვეთრ ნახტომებს ამერიკული ცენტრალური ბანკი არასოდეს აკეთებდა. ჩანს, რომ გასული წლის მარტში სიტუაცია აშშ-ში ნამდვილად კრიტიკული იყო.

სხვა ცენტრალური ბანკები ასე რადიკალურნი არ ყოფილან, მაგრამ ისინიც აგრეთვე წავიდნენ საკვანძო განაკვეთების შემცირებისკენ. მაგალითად, ინგლისის ბანკმა 2020 წლის 11 მარტს განაკვეთი 0.75%-დან 0,25%-მდე, ხოლო 19 მარტს – 0,10%-მდე დასწია. ავსტრალიის სარეზერვო ბანკმა 19 მარტს საკვანძო განაკვეთი 0,50-დან 0,25%-მდე დასწია. კანადის ბანკმა შემდეგი შემცირებების სერია განახორციელა: 4 მარტი – 1,75-დან 1,25%-მდე; 13 მარტი – 0.75%-მდე; 27 მარტი – 0,25%-მდე.

შემცირების პროცესში ჩაერთო ჩინეთის სახალხო ბანკიც: 2020 წლის 20 თებერვალს მან საკვანძო განაკვეთი 4,15-დან 4,05%-მდე დასწია; 20 აპრილს – 3,85%-მდე (Chikobava, 2020).

განზე არ დარჩენილან განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების მქონე ქვეყნების ცენტრალური ბანკებიც. ბრაზილიის ცენტრალურმა ბანკმა განახორციელა რამდენიმე შემცირება 5 თებერვლიდან 17 ივნისამდე პერიოდში; საკვანძო განაკვეთი 4,50-დან 2,25%-მდე იქნა დაწეული. ინდოეთის სარეზერვო ბანკმა 27 მარტს საკვანძო განაკვეთი 5,15-დან 4,40%-მდე დასწია, ხოლო 22 მაისს – 4%-მდე.

გამონაკლისი არც რუსეთის ბანკი ყოფილა. 2020 წელს მან საკვანძო განაკვეთის ოთხი თანმიმდევრული შემცირება განახორციელა: 10 თებერვალი, 27 აპრილი, 22 ივნისი, 27 ივლისი. ამ ხნის განმავლობაში საკვანძო განაკვეთი 6,25-დან 4,25%-მდე დაეშვა.

ცენტრალური ბანკების უმრავლესობისათვის საკვანძო განაკვეთების შემცირების პიკი მოდიოდა გასული წლის მარტის თვეზე. მრავალი თვის განმავლობაში თითქმის ყველა ცენტრალური ბანკის საკვანძო განაკვეთები გაყინული იყო. და აი, 2021 წლის მარტში ჩვენ ვაკვირდებით საკვანძო განაკვეთების აღდგენის ტენდენციის პირველ ნიშნებს.

ტენდენცია ჯერ-ჯერობით ცხადი არაა, ცენტრალური ბანკების გარკვეული ნაწილი აცხადებს, რომ აპირებს თავისი საკვანძო განაკვეთების შენარჩუნებას. უპირველეს ყოვლისა, ასეთი განცხადებით გამოვიდა აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელი ჯერომ პაუელი. 2021 წლის ღია ბაზრის ოპერაციების კომიტეტის პირველ სხდომაზე განაცხადეს, რომ საპროცენტო განაკვეთი შენარჩუნდებოდა 0-0,25%-ის დონეზე. ამიტომ, პაუელმა განაცხადა, რომ

მიმდინარე წელს ამაღლება ნამდვილად არ იქნება. 2022 წელს კი – „შესაძლებელია", „არ არის გამორიცხული", „ალბათ მოხდება"... 16 მარტს ღია ბაზრის ოპერაციების კომიტეტის მეორე სხდომაზე განაკვეთი ასევე უცვლელი დარჩა.

ბაიდენის ადმინისტრაცია აშშ-ის ფედ-ის ხელმძღვანელობასთან ერთად იმედოვნებს, რომ მიმდინარე წელს ამერიკაში დაიწყება ეკონომიკური აღმავლობა, რომელიც უნდა გადავიდეს ენერგიულ ეკონომიკურ ზრდაში. თუ გასულ წელს აშშ-ის GDP 3,5%-ით შემცირდა, 2021 წლისათვის, ფედ-ის შეფასებით, მოსალოდნელია 6,5%-იანი ზრდა. მოლოდინები აგებულია მოსახლეობის ვაქცინაციის სავარაუდო წარმატებებსა და ყველა საკარანტინო შეზღუდვის მოხსნაზე. მაგრამ, ეს არასაკმარისი პირობებია ეკონომიკური გამოცოცხლებისათვის.

მთავარი პირობებია: ფედ-ის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა „უწყინარი" უნდა დარჩეს. ეკონომიკაში მცირედი ინფლაცია რომ გაჩნდეს (1-2 პროცენტი წლიური გაანგარიშებით), ეს არ უნდა აწუხებდეს ფედერალურ რეზერვს. მან საკვანძო განაკვეთი უწინდელ დონეზე უნდა შეინარჩუნოს. რეალურ გამოხატულებაში (ინფლაციის გათვალისწინებით) ის შეიძლება აღმოჩნდეს მცირედ მინუსში. გარდა ამისა, ფედ-ი გააგრძელებს „რაოდენობრივ შერბილებას". უფრო მარტივად რომ ვთქვათ, შენარჩუნდება „საბეჭდი მანქანის" მუშაობის მიმდინარე სიჩქარე. ახლანდელ დროში ფედერალური რეზერვი ბეჭდავს 120 მლრდ დოლარს ყოველთვიურად, ცვლის რა თავის ბეჭდურ პროდუქციას ფასიან ქაღალდებზე: აშშ-ის სახაზინო ობლიგაციებზე (80 მლრდ დოლარის ოდენობით) და იპოთეკურ ქაღალდებზე (40 მლრდ დოლარის ოდენობით). ფედ-ის ახლანდელი საკვანძო განაკვეთის ნულთან ახლოს მყოფ დონეზე შენარჩუნების ლობისტებად გვევლინება ამერიკის ხაზინა. ჯერ ერთი, ის იმედოვნებს მინიმალური განაკვეთით სახაზინო ობლიგაციებზე დიდი სესხების მიღებას (აშშ-ის ბიუჯეტის დეფიციტი 2021 წელს ფასდება 2,26 ტრლნ დოლარით, ანუ ხარჯვითი ნაწილის 40%-ით). მეორე, დაბალი საკვანძო განაკვეთი საშუალებას იძლევა შენარჩუნდეს უწინდელ დონეზე საბიუჯეტო დანახარჯები სახელმწიფო ვალის მომსახურებაზე.

დაახლოებით ასეთ პოზიციაზეა ევროპის ცენტრალური ბანკი, რომელიც არ გეგმავს წლის ბოლომდე ნულის ტოლ საკვანძო განაკვეთის ცვლილებას. იგივე შეიძლება ვთქვათ ინგლისის ბანკზე (განაკვეთი 0,10%) და იაპონიის ბანკზე (განაკვეთი -0,10%-ია). სხვათა შორის, იაპონიაში საერთოდ არაა ინფლაცია, ადგილი აქვს საპირისპირო მოვლენას – დეფლაციას.

აი, ზოგიერთი სხვა ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელები ნერვიულობენ და ემზადებიან, დაიწყონ უჩვეულოდ დაბალი საკვანძო განაკვეთების ზრდა. პირველ რიგში, საუბარია განვითარებადი ქვეყნებისა და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ცენტრალურ ბანკებზე. მანდ აღინიშნა ინფლაციის ნიშნები და მოსალოდნელია, რომ 2021 წლის შედეგებით ფასების ინფლაციური ზრდა ორნიშნა რიცხვით გაიზომება. დღეისათვის კი ყველაზე გასაგები საშუალება ინფლაციისადმი ეკონომიკის ადაპტაციისა საკვანძო განაკვეთების მატებაა.

რატომაა, რომ „ოქროს მილიარდის" ქვეყნების ფარგლებს გარეთ ინფლაცია რეალური საფრთხეა? უნდა ვაღიაროთ, რომ მრავალმა განვითარებადმა ქვეყანამ გასულ წელს მიმართა საბეჭდ მანქანებს დასახმარებლად, მაგრამ პერიფერიული ცენტრალური ბანკების ფულადი ემისიის მასშტაბები ვერანაირად ვერ შეედრება „ოქროს მილიარდის" ცენტრალური ბანკების ფულად ემისიას. გასულ წელს, ამ უკანასკნელმა ბეჭდვითი პროდუქცია შექმნა დაახლოებით 10 ტრლნ დოლარის ოდენობით. ინფლაცია კი „ოქროს მილიარდის" ზონაში მინიმალურია. რაშია საქმე?

ჯერ-ერთი, აშშ-ის ფედ-ის, ევროპის ცენტრალური ბანკისა და სხვა წამყვანი ცენტრალური ბანკების „საბეჭდი მანქანების" პროდუქციის საკმაოდ დიდი ნაწილი განვითარებადი ქვეყნების ბაზრებზე ხვდება.

მეორე, თვით ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში „საბეჭდი მანქანების" პროდუქცია თითქმის არ ხვდება სასაქონლო ბაზრებზე, არამედ იმთავითვე მიემართება საფონდო მოედნებზე, სადაც ბერავენ ბუშტებს. განვითარებადი ქვეყნების საფონდო ბაზრები სუსტია, ამიტომ, ადგილობრივი ცენტრალური ბანკების „საბეჭდი მანქანების" პროდუქცია მაშინვე აღმოჩნდება ხოლმე სასაქონლო ბაზრებზე, რის გამოც ადგილი აქვს ფასების ზრდას, რაც დაწყებული ინფლაციის მანიშნებელია.

საკვანძო განაკვეთების აღდგენის პიონერებად მოგვევლინა ბრაზილიისა და თურქეთის ცენტრალური ბანკები, რომლის შესახებაც მათ განაცხადეს 18 მარტს. ბრაზილიის ცენტრალურმა ბანკმა საკმაოდ მკვეთრად გაზარდა განაკვეთი – 2,00-დან 2,75%-მდე. მატებამ მოლოდინებს გადააჭარბა (ექსპერტების უმრავლესობა ვარაუდობდა, რომ ადგილი ექნებოდა მხოლოდ 2,50%-მდე ზრდას). ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მიმდინარე წლისათვის მოსალოდნელი ინფლაცია შეადგენს 5.2%-ს, ბრაზილიის ცენტრალური ბანკი აცხადებს, რომ მან შეიძლება 3,50%-მდე გაზარდოს განაკვეთი.

გადამჭრელი ნაბიჯები გადადგა თურქეთის ცენტრალურმა ბანკმა. ყველა ელოდა განაკვეთის 15-დან 16%-მდე ზრდას. ფაქტობრივმა ამაღლებამ 17% შეადგინა. მოსალოდნელი ინფლაცია თურქეთში 19%-ია, ამიტომ, შეიძლება ველოდოთ, რომ ეს არ არის ცენტრალური ბანკის მიერ საკვანძო განაკვეთის ბოლო მატება.

და აი, მესამე ცენტრალური ბანკი, რომელმაც გაზარდა განაკვეთი, რუსეთის ბანკია. ეს მოხდა 19 მარტის ცენტრალური ბანკის დირექტორთა საბჭოს მორიგ სხდომაზე. ყველა ელოდა, რომ რუსეთის ბანკი აწევდა საკვანძო განაკვეთს, იმის გათვალისწინებით, რომ ინფლაცია უკვე გასცდა საპროგნოზო მნიშვნელობის ფარგლებს. წლის დასაწყისში ცენტრალურმა ბანკმა განაცხადა, რომ ინფლაცია წლის განმავლობაში არ

გადააჭარბებდა 4,2%-ის მნიშვნელობას. ფასების ფაქტობრივი მაჩვენებლებიდან გამომდინარე, 15 მარტს მივიღეთ ის, რომ წლიური გაანგარიშებით ინფლაცია 5,8%-ის ტოლი იქნება. ეს ალბათ შედეგია იმისა, რომ რუსეთის ბანკს მოუწია „საბეჭდი მანქანის" ჩართვა და არაუზრუნველყოფილი ფულადი მასის გაფართოება. ფინანსური ბაზრის მონაწილეების უმრავლესობა ვარაუდობდა, რომ საკვანძო განაკვეთის ამაღლება მოხდებოდა აპრილში, მაგრამ ეს მოხდა 19 მარტს, განაკვეთი 4,50%-ს გაუტოლდა. თითქმის ყველასათვის ეს მოულოდნელი გახდა. რუსეთის ბანკის განცხადებაში ხაზგასმულია, რომ განაკვეთის შემდგომი ამაღლების შესაძლებლობა განხილულ იქნება „უახლოეს სხდომებზე", ინფლაციური ზეწოლა კი მოითხოვს „ნეიტრალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკასთან დაბრუნებას". „ნეიტრალურობის" ქვეშ იგულისხმება ისეთი პოლიტიკა, რომლის დროსაც საკვანძო განაკვეთი ინფლაციის მაჩვენებლის ტოლია. ამიტომ, შეიძლება ველოდოთ, რომ ამ მაჩვენებელს 6%-მდე აწევენ.

მიმდინარე წლის მარტში გამოვიდა მორიგი მიმოხილვა „ცენტრალური ბანკები: ყოველთვიური ბალანსები" (Central Banks: Monthly Balance Sheets), რომელიც მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია Yardeni Research, Inc.-ის მიერ. ამ მიმოხილვაში თავმოყრილია მონაცემები მსოფლიოს ოთხი წამყვანი ცენტრალური ბანკების აქტივების სიდიდეზე, ესენია: აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა, ევროპის ცენტრალური ბანკი, იაპონიის ბანკი და ჩინეთის სახალხო ბანკი. მიმოხილვები მზადდება 2007 წლიდან ყოველთვიურად, ამ გამოშვებაში კი მოცემულია 2021 წლის თებერვლის ბოლოს მონაცემები (Yardeni and Quintana, 2021).

ასევე საინტერესოა ცენტრალური ბანკების აქტივებისა და მათი ინდიკატორის ცვლილების დინამიკის დანახვა ბოლო წლების განმავლობაში (ცხრილი 1).

ოთხივე ცენტრალური ბანკის მიხედვით დროის მითითებული პერიოდისათვის მოხდა აქტივების გაფართოვება 4,8-ჯერ. შესაბამისად, 4,8-ჯერ გაიზარდა ცენტრალური ბანკების დიდი ოთხეულის პასივები (ვალდებულებები). როგორც ცნობილია, ცენტრალური ბანკების პასივების ძირითადი ნაწილი (ვალდებულებები) – ესაა ცენტრალური ბანკების მიერ გამოშვებული ფული (ნაღდი ფულადი ნიშნებისა და დეპოზიტების სახით, რომლებზეც თავის ფულად საშუალებებს განათავსებენ კომერციული ბანკები). ამიტომ, ჩვენ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ფულადი მასა, რომელიც ემიტირებულია ოთხი ბანკის ბოლო 14 წლის განმავლობაში, ასევე 4,8-ჯერ გაიზარდა.

ცნობისათვის: მსოფლიო ბანკის შეფასებით, მსოფლიო GDP 2007 წელს მიმდინარე ფასებში შეადგენდა 58,22 ტრლნ დოლარს. 2020 წლის შედეგებით მისი მნიშვნელობა იზომებოდა 83,84 ტრლნ დოლარის ოდენობით. ანუ, 2007-2020 წლებში მსოფლიო GDP გაიზარდა 1,44-ჯერ. შევნიშნოთ, ეს მიმდინარე ფასებში მოხდა. მუდმივ ფასებში კი (ინფლაციის გათვალისწინებით) GDP-ის ზრდა კიდევ უფრო მოკრძალებული იყო. და ამ ფონზე – ადგილი აქვს ფულადი მასის თითქმის ხუთჯერ ზრდას, რომელიც წარმოებულია ცენტრალური ბანკების „დიდი ოთხეულის" მიერ.

განსაკუთრებით გამოირჩევა ფედ-ი, რომელმაც ფულადი ემისიის მკვეთრი გაფართოება დაიწყო 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის შუაგულში. ეს კეთდებოდა „რაოდენობრივი შერბილების" ეგიდით. არსებობდა „რაოდენობრივი შერბილების" სამი პროგრამა, ბოლო დასრულდა 2014 წელს. ამასთან, როცა აშშ-ში გამოაცხადეს „პანდემიის" შესახებ და დაიწყეს საკარანტინო შეზღუდვების შემოღება, ფედ-ის საბეჭდი მანქანა კვლავ ამუშავდა სრული სიმძლავრით. ამჟამად ფედ-ი ყოველთვიურად ყიდულობს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე 120 მლრდ დოლარს (80 მლრდ დოლარის ოდენობით – აშშ-ის სახაზინო ფასიან ქაღალდებს და კიდევ 80 მლრდ დოლარის – იპოთეკურ ქაღალდებს). შესაბამისად, იმავე სიდიდით ყოველთვიურად იზრდება დოლარული მასა.

მეორე ადგილზე აქტივების (და ფულადი მასის) ზრდის ტემპებით იმყოფება იაპონიის ბანკი. აქტივებისა და ფულადი მასის გაფართოვება მან დაიწყო სხვა წამყვან ცენტრალურ ბანკებზე ადრე, XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში.

2007 წელს „დიდ ოთხეულში" აქტივების სიდიდის მიხედვით პირველ ადგილს იკავებდა ჩინეთის ცენტრალური ბანკი, ფედერალური რეზერვი კი მეოთხე ადგილზე იყო. მაშინ აშშ-ის მონეტარული ხელისუფლება ჯერ კიდე ატარებდა ძალზე მკაცრ მონეტარულ პოლიტიკას, ახდენდა რა საბეჭდი მანქანის პროდუქციის გაფართოვების ნებისმიერი ცდების აღკვეთას. დღეს განსხვავებული სურათი გვაქვს: პირველ ადგილზე აქტივების მიხედვით გავიდა ევროპის ცენტრალური ბანკი. მას მოჰყვება აშშ-ის ფედ-ი და იაპონიის ბანკი. ჩინეთის სახალხო ბანკი კი მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა. განსახილველ პერიოდში ჩინეთის ცენტრალურმა ბანკმა ყველაზე დიდი

ცხრილი 1. წამყვანი ცენტრალური ბანკების აქტივები (ტრლნ დოლარი) *(Yardeni and Quintana, 2021)*

ცენტრალური ბანკის დასახელება	აქტივები 2007 წლის ბოლოსათვის	აქტივები 2021 წლის თებერვლის ბოლოსათვის	აქტივების სიდიდის ზრდა (-ჯერ)
აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა	0,8	7,6	9,50
ევროპის ცენტრალური ბანკი	1,9	8,6	4,53
იაპონიის ბანკი	1,0	6,8	6,80
ჩინეთის სახალხო ბანკი	2,3	5,9	2,57
ჯამი	6.0	28,8	4,80

თავშეკავება გამოავლინა თავისი აქტივების გაფართოვებაში (ის 2,57-ჯერ გაიზარდა).

მიმოხილვაში მოყვანილია აგრეთვე ცენტრალური ბანკების აქტივების შეფარდებითი მნიშვნელობა – მათი სიდიდე GDP-სთან მიმართებაში. 2007 წლის ბოლოსათვის აქტივების ყველაზე მაღალი შეფარდებითი დონე გააჩნდა ჩინეთის ცენტრალურ ბანკს, ყველაზე დაბალი კი – აშშ-ის ფედერალურ სარეზერვო სისტემას.

2021 წლის თებერვლის ბოლოსათვის სურათი რადიკალურად შეიცვალა. მაჩვენებლის მნიშვნელობის სწრაფ ზრდას ჩვენ ვხედავთ იპონიის ბანკთან, 2018–2019 წლების მიჯნაზე მან გადააბიჯა 100%-იან ზღვარს. ამჟამად მისი აქტივები უტოლდება GDP-ის 127,4%-ს. ძალიან გაიზარდა ფედ-ისა და ევროპის ცენტრალური ბანკის აქტივების შეფარდებითი დონის მაჩვენებლები. აი, ჩინეთის ცენტრალურმა ბანკმა კი თავისი აქტივების შეფარდებითი სიდიდე დაახლოებით მესამედით შეამცირა. ეს არის ჩინეთის ცენტრალური ბანკის აქტივობის შეკავების შედეგი და ასევე იმისაც, რომ ჩინეთში ადგილი ჰქონდა GDP-ის ზრდის მაღალ ტემპებს.

2001 წელს ჩინეთის ცენტრალური ბანკის მთელი აქტივების დაახლოებით ნახევარი იმყოფებოდა ოქროსავალუტო რეზერვებში. XXI საუკუნის მეორე ათწლეულის შუაში ამ ბანკის ოქროსავალუტო რეზერვების წილი მაქსიმალურ მნიშვნელობამდე – დაახლოებით 85%-მდე ამაღლდა. და აი, 2021 წლის თებერვლის ბოლოს ოქროსავალუტო რეზერვებზე უკვე მოდიოდა 56%, წმინდა სავალუტოზე (ოქროს გარეშე) – 54%. აქტივების სტრუქტურის ასეთი ცვლილება მოწმობს იმას, რომ ჩინეთის მონეტარული ხელისუფლება ცდილობს ცენტრალური ბანკის ორიენტაცია მიმართოს შიდა ბაზარზე, აქტივებში მაღლდება კრედიტებისა და ფასიანი ქაღალდების წილი იუანებში.

რაც შეეხება სხვა სამ წამყვან ცენტრალურ ბანკს, მათი კურსი ფულადი ემისიის გაფართოებაზე ნარჩუნდება. აშშ-ის ფედ-ის ხელმძღვანელი ჯერომი პაუელი გვიხსნის, რომ ამერიკის ცენტრალური ბანკი, სულ მცირე, წლის ბოლომდე გააგრძელებს ფასიანი ქაღალდების შესყიდვას უწინდელი მოცულობით (ანუ, 120 მლრდ დოლარის ოდენობით ყოველთვიურად).

ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტმა ქრისტინ ლაგარდმა მარტში განაცხადა, რომ ბანკი უახლოეს თვეებში დააჩქარებს აქტივების გამოსყიდვას ექსტრემალური პროგრამის – PEPP (Pandemic Emergency Purchase Programme) – ფარგლებში. ამ პროგრამის მოცულობა შეადგენს 1,85 ტრლნ ევროს. გარდა ამისა, მოქმედებას აგრძელებს ევროპის ცენტრალური ბანკის ძირითადი პროგრამა ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვაზე.

19 მარტს ჩატარდა იაპონიის ბანკის დირექტორთა საბჭოს სხდომა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კომერციული ქაღალდებისა და კორპორატიული ბონდების დამატებითი გამოსყიდვის გაგრძელების თაობაზე 2021 წლის სექტემბრის ბოლოსათვის (გამოსყიდვის მოცულობა განსაზღვრულია 20 ტრლნ იენის ოდენობით). იაპონიის ბანკმა შეინარჩუნა აგრეთვე გამოსყიდვის ყოველწლიური მოცულობა საბირჟო საინვესტიციო ფონდების (ETF) ქაღალდებისა დაახლოებით 12 ტრლნ იენის დონეზე და უძრავი ქონების საინვესტიციო ტრასტების ატივებისა (J-REIT) – დაახლოებით 180 მლრდ იენის მოცულობით.

აქტივების გაფართოების კურსს ატარებს სხვა ცენტრალური ბანკებიც, რომლებიც არ არიან ჩართულნი Yardeni Research, Inc.-ის მიმოხილვაში. მათ შორის უნდა გამოიყოს ინგლისის ბანკი და შვეიცარიის ეროვნული ბანკი. მაგალითად, ინგლისის ბანკმა 18 მარტის მორიგ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება ბაზრიდან აქტივების შესყიდვის მოცულობის შენარჩუნებაზე 895 მლრდ ფუნტი სტერლინგის ოდენობით. სახელმწიფო ობლიგაციების გამოსყიდვა შეადგენს 875 მლრდ ფუნტ სტერლინგს, კორპორატიული ობლიგაციების გამოსყიდვა დარჩა 20 მლრდ ფუნტის დონეზე.

რაც შეეხება შვეიცარიის ეროვნულ ბანკს, ის ყიდულობს არა მარტო შვეიცარიელი ემიტენტების ქაღალდებს, არამედ უცხოელთა ფასიან ქაღალდებს, მათ შორის, ამერიკული კორპორაციებისას.

მსოფლიო წამყვანი ცენტრალური ბანკები ფულადი ემისიის დასასაბუთებლად ეყრდნობიან „პანდემიას", მაგრამ ეს მხოლოდ საბაბია. მიმდინარეობს გამოუცხადებელი სავალუტო ომი, გააქტიურდა საბეჭდი მანქანების კონკურენცია. რაც უფრო მეტი ფულადი მასა შეიქმნება, მით უფრო მაღალია ალბათობა იმისა, რომ მოცემულ ვალუტას უფრო დაბალი კურსი ექნება კონკურენტ ვალუტასთან მიმართებაში. ეროვნული ფულადი ერთეულის შემცირებული კურსი კი – ეროვნული ბიზნესის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გამყარების საშუალებაა. მაგრამ, მსგავსმა კონკურენციამ (სავალუტო ომმა) შეიძლება მიგვიყვანოს ერთმანეთის კონკურენტი ცენტრალური ბანკების ვალუტების კრახთან.

ცხრილი 2. წამყვანი ცენტრალური ბანკების აქტივები (%-ით GDP-სთან მიმართებაში) (Yardeni and Quintana, 2021)

ცენტრალური ბანკის დასახელება	აქტივები 2007 წლის ბოლოსათვის	აქტივები 2021 წლის თებერვლის ბოლოსათვის
აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა	6	33,4
ევროპის ცენტრალური ბანკი	12	59,5
იაპონიის ბანკი	21	127,4
ჩინეთის სახალხო ბანკი	53	35,1

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

Bedianashvili, G. (2021). Macroeconomic and Cultural Determinants of the COVID-19 Pandemic Crisis. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences.* 15(2), 191-197.

Bedianashvili, G. (2021).The Socio-Economic Effects of Covid-19 and the Challenges of Economic Uncertainty. Materials of VI International Scientific Conference: *Challenges of Globalization in Economics and Business*. Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Economics and Business Faculty, 34-38 (In Georgian).

Chikobava, M. (2020). Covid – 19 as a Form of Hybrid War. *Globalization and Business*, 10. 79-85. (In Georgian). https://doi.org/10.35945/gb.2020.10.010

Chikobava, M. (2020). Metamorphoses of the monetary system against the background of a modern pandemic, The 5th International Scientific Conference, *Challenges of Globalization in Economics and Business*, Proceedings, 476-486. (In Georgian).

https://www.tsu.ge/assets/media/files/23/%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/Programa%20konferencia.pdf

Durden, T. (2021). Insider-Selling Explodes To Record Highs As Buybacks Re-Emerge. January 20, 2021. https://www.zerohedge.com/markets/insider-selling-explodes-record-highs-buybacks-re-emerge

Financial Times, (2021). Baupost's Seth Klarman compares investors to "frogs in boiling water", https://www.ft.com/content/9c3ecb09-c4bd-4066-a462-af496725105d

Katasonov, V. (2019). What is helicopter money, (in Russian). 27.12.2019.

https://www.fondsk.ru/news/2019/12/27/chto-takoe-vertoletnye-dengi-49778.html

Katasonov, V. (2020). Inclusive capitalism as the ideology of the Great Reset, (in Russian). 21.12.2020. https://www.fondsk.ru/news/2020/12/21/inkljuzivnyj-kapitalizm-kak-ideologija-velikoj-perestrojki-52523.html

Ossinger, J. (2021). Stimulus Checks Bring Hope for Bull Market Roiled by Bond Yields. March 10, 2021. https://www.bloomberg.com/news/articles/2021-03-10/stimulus-checks-bring-hope-for-bull-market-roiled-by-bond-yields

Papava, V., & Charaia, V. (2021). The Problem of the Growth of Georgia's Public Debt during the Economic Crisis under the Covid-19 Pandemic. GFSIS Expert Opinion, 152. Tbilisi, Georgian Foundation for Strategic and International Studies. DOI: 10.13140/RG.2.2.10091.57120.

Sedov, D. (2019). American shutdown and its possible consequences (in Russian). 08.01.2019. https://www.fondsk.ru/news/2019/01/08/amerikanskij-shutdown-i-ego-vozmozhnye-posledstvija-47411.html

Yardeni, E. & Mali, Q. (2021). Central Banks: Monthly Balance Sheets. *Yardeni Research*, Inc. Octomber 29, 2021. https://www.yardeni.com/pub/peacockfedecbassets.pdf

JEL Classification: O4, O11, O40, I3, I30. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.020

ECONOMIC GROWTH OF GEORGIA AND SOCIAL PROBLEMS

MERAB JULAKIDZE
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
merab.julakidze@tsu.ge

Abstract. Generalization of macroeconomics dynamic model is mean of multipliable influence in different directions of Technological progress on economic growth, connection between production and its intensification on non-production factors, and optimal component criteria for social-economic intensification process. The Spline structure of Production Function is an efficient tool for establishing the dynamics of its parameters, which, in turn, makes it possible to correlate the efficiency of the production factors and their combination with the potential of the intensification factors: scientific-technical, educational, and organizational. Application of ultimate model for creation of aggregate figures' movement, rates and proportions and reaching of social purposes and their dynamic results: prediction of normative genetic consumption demand calculation on a person, public and state.

KEYWORDS: ECONOMIC GROWTH, TECHNOLOGICAL PROGRESS, GENERALIZATION MACROECONOMIC MODEL, FACTORS OF INTENSIFICATION, SOCIAL STABILITY.

For citation: Julakidze, M., (2021). Economic Growth of Georgia and Social Problems. *Globalization and Business.* 12, 152-154. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.020

INTRODUCTION

The study discusses the topics of developing Georgia's socio-economic development target function and its realization on the macroeconomic level. It is oriented towards maximizing social target accomplishment according to output and its usage in every direction, balancing labor and potentials. The resulting socio-economic macromodel will be used for interpreting base trajectory of Georgia's development as the trajectory closest to the extremum. Based on this, the function was restored in accordance with trajectory and finally the parameters of target function were estimated.

The optimization macromodel in its original form was used for rational distribution of resources in every direction of utilization and accumulation. Also, it was used for calculating rational rates and proportions of social targets. The dynamics of dual variables of the problem were used, more precisely, efficiency norm and its movement in the perspective. The results of socio-economic optimization are analyzed which is compared with the calculation based on production optimization considering technological progress.

The macroeconomic model will take more consistent form if the optimization is directed not towards pure production targets but well-defined social-economic targets as well. Focusing on production target maximization was characteristic of sectoral management process, while social direction was financed based on residual principle. It is well-known that this made production maximization the main objective. Nowadays Georgia is focused on socially oriented market economy, the transition to which has not finished yet. At the scientific level this demands developing tools for defining socio-economic goals and if possible, their quantification which might become a base needed for forming the focus of production system development.

GENERAL FORM OF GEORGIA'S SOCIO-ECONOMIC OPTIMIZATION CRITERION

The target function entails social welfare and attainment of comprehensive development. Let us characterize welfare at time t:

1. Expanded consumption fund per capita c^t, which also includes population's capital and current expenditure in the service sector;
2. Average worker's labor time fund as χt share of time. While ultimate wellbeing, which indicates the ultimate level of welfare category, corresponds to maintaining consumption in accordance with rational norms.

Measuring c^t consumption fund in fixed prices (we operate on physical amount of this fund), we will be able to calculate the fund's actual amount $\bar{c}$, by multiplying natural norms of consumption by these fixed prices and summarizing them according to every type of consumption good.

This is how we will get that the comfort condition of an average worker with respect to his/her employment is reached at the target level of working time (for instance, three days of leisure per week).

Therefore, we can equate reaching social consumption targets with reaching such a structure of production and productivity that consumption is c, and time expenditure on labor is $\bar{\chi}$.

As for the comprehensive social development, we will firstly note that development through regular learning might be attributed to one form of service and be involved in consumption of service or non-productive consumption. There is a social aspect of comprehensive or mainly spiritual development category. It is measured by the quality of scientific-educational and administrative development. Indeed, the higher the share of people prone to these kinds of activities, the higher social intellectual potential will be put at play. This can be considered as an important and economically tangible aspect of spiritual development. Let us denote the share of people employed in scientific-educational and administration spheres (intensification fields) by λ^t, then the general form of the target function at the macro level will take the following form:

$$U^t = U\,(c^t, \chi^t, \lambda^t) \rightarrow \max$$

Specification of the target function should be based on the fact that social targets are dual: consumption, which is measured by consumption level per capita (including consumption of leisure time) – they are characterized by final level, existence of saturation level; and spiritual, which is determined by social structure and not by individuals – they are characterized by theoretical possibilities of indefinite growth, which is given by genetic funds and economy. The final state puts consumption dependence to inferior rather than superior position, which is the case in "consumerist society" and which has a big perspective later, once the final satiation level has been reached.

MODEL REALIZATION

Traditional macro models – regular Cobb-Douglass production function with autonomous technological progress – take us to diminishing capital-output dynamics, which is its main flaw. It would be interesting to analyze dynamics of capital-output according to general macro model. It turns out that for the optimization variant, which shows us its trajectory, is in reality characterized by increasing capital-output. This may be attributed to qualitative increase of production factors, the representation of which is impossible by neutral technological progress of Tinbergen's factors. Theoretical generalization of economic growth trajectory possibilities with increasing capital-outputs should be discussed as qualitative accomplishment of generalized model.

As we have seen target function and macroeconomic development optimality integral socio-economic parameter have been developed. The evaluation of target function parameters was based on base sections of the trajectory, assuming that the perspective trajectory would continue with the same phase.

Optimality criterion evaluates economic growth in the following two directions:

Welfare might be specified as reaching the final level of non-productive consumption of material goods. With the aim of representing this category in the target function the following indicator was constructed: weighted algorithm of squares of deviation of current and half long-term goods' factual consumption from its normative level. To this indicator an analogous sum should be added which will measure social effects of deviation from normative levels of long-term consumer goods and real term representation of social infrastructure funds.

Spiritual development condition with first estimation can be reduced to two indicators: labor time fund per worker and development of educational, scientific, cultural and administrative fields (according to relative employment level in them). Apart from this, state consumption maximization (in certain proportions) might be ascribed to the overall objective of economic development.

Model may not be used for direct calculations without estimation of optimality criterion parameters. The values of these parameters are chosen so that extremum point in the base interval will best correspond to trajectory. For this, an inverse problem of the original optimization will be solved in the retrospect.

For solving the inverse as well as the original problems the package for nonlinear optimization analysis of economic models was used.

Basic and dual variables of the original problem, as well as its optimality conditions largely exceed unknown parameters of the target function. This means that the inverse function is over specified. For these circumstances the parameters were found under the condition that the sum of squares of derivatives of Lagrange function of the original problem according to its basic and dual variables will reach minimum. After prolonging target function parameter estimates in the perspective the original problem was transformed into a classic problem of nonlinear conditional optimization which was solved using the above-mentioned package. Solving the direct optimization problem yielded macroeconomic forecast indicators of Georgia's socio-economic development. This allows us to analyze main trends of the country's development.

Economic sustainability of GDP growth rates depends on GDP expenditures, or the growth structure of economy and its productivity. The higher the share of investment in capital and the lower its share in private consumption with respect to GDP, the higher the economic sustainability and consequently, quality of economic growth. Georgian economy is characterized by excessive consumption (absorption), which means that domestic demand exceeds the good and service supply capacities of the local economic sector. The overall demand is very high and constitutes 85% of the total GDP which is an indication of low-quality growth. When the ratio of consumption and saving is leaned in favor of the former it means that current generation is living at the expense of the future generations which will negatively affect wellbeing of the latter. This means that we are consuming more than we should.

Resolution of the optimization problem resulted in obtaining forecasting indices of macroeconomic dynamics that permit an analysis of the main development trends in Georgia's national economy until 2030. The main conclusions drawn from the forecasts produced are as follow:

Socioeconomic optimization that forms the consumption goals of economic development leads to surplus grown of GDP and the consumption fund. According to the results of social optimization, when the consumption fund amounts to

21.5 billion GEL, the population's rational demands for goods and services can be met. Production optimization, on the other hand, with a constant standard of accumulation led to an increase in the consumption fund to 24 billion GEL, that is to unsubstantiated hypertrophy of consumption;

Production optimization disregards the interests of spiritual, scientific-educational, and cultural development. According to its results, the optimal percentage of employment in the scientific-educational and cultural-management sphere in 2030 will amount 21%; in corresponding conditions this index equal to 28%;

Socioeconomic optimization ensures the necessary increase in room for individual development in the form of free time. According to its results, by 2030, it may be possible to have a four-day work week with a 7-hour workday.

Based on the calculations carried out with the macroeconomic model we tried to explain how sustainable Georgian economy is and whether Georgian government's current economic policy is adequate and consistent for economic growth. What institutional changes are needed to make the growth of population wellbeing an irreversible process.

Country's economic development depends on not only quantitative but qualitative indicators of growth. Only high-quality economic growth can turn into economic development. On the other hand, economic development is of high quality if it is sustainable, accompanied by structural improvements and innovations. We will briefly discuss **three important aspects of economic growth** that are preconditions to significant progress:

For **sustainable economic development** inflow of investments is crucial. Significant share of foreign direct investment flowing to Georgia is directed towards non-trade sectors. As local producers lack the capacities needed to locally produce goods that constitute an important part of imports, GDP growth stimulates import growth rather than local real sector. Georgia is characterized by labor force moving from production to service sectors which, on one hand, indicates improved distribution of resources and, on the other hand, indicates that the share of tradable goods is decreased in GDP. In Georgia economic growth is very loosely linked with SME development. Recently, Georgia was characterized by an insignificant increase in labor productivity, however, we significantly lag behind developed countries in terms of this indicator. The indicator denotes the level of labor education and their equipment with modern technologies. In order to improve in this direction, science-related sectors need to develop in Georgia.

Innovations imply generation of scientific-technological achievements and their implementation in production which is a prerequisite for economic progress. Innovation quality is measured by the share of research and development (R&D) expenditures in GDP which stands at 0.3% in Georgia, while it is about 3-4% in developed countries.

One of the indicators of **social stability** is GDP per capita according to which Georgia takes one of the last positions among transition economy countries. This indicates low advancement in terms of human development. The indicator in Georgia is 5 times less compared to Easter European countries and 10 times less compared to developed states. The reason for this is that Georgian economy underwent a prolonged (5 years) and deep (almost 75%) contraction. In 2000 Georgian real GDP was only 30% of its 1990 level. In the coming years economic growth needs to be stimulated and long-term stable growth rates need to be restored. The polarization of population income distribution should be put to end by imposing progressive tax system. In Georgia middle-income group of society has not formed yet (5-7% in Georgia vis a vis 65-70% in developed countries), which is still unable to take the role of avant-garde in the society. Reducing inequality, poverty and unemployment is still one of the stressing problems that Georgia is facing. Without solving these problems, it will be impossible to induce social solidarity of the society and ultimately to reach higher levels of wellbeing.

CONCLUSION

To conclude, economic policy of the Georgian government should be directed towards achieving inclusive growth which will guarantee that economic growth and enhancement is reflected in the wellbeing of every citizen in real terms. Government programs of economic and social development should be detailed in terms of timeline so that people can regularly monitor what has been done. This will help people make proper decisions during elections. Discussed macro model of Georgia's socio-economic development and the obtained results allow us to estimate the current stance of Georgia's economic and social development and timeline for reaching target indicators with concrete parameters. Moreover, it allows us to make estimations by correcting growth trajectory based on existing and attracted resources.

REFERENCES:

Julakidze, M.G. (2010). A Macro model of Georgia's Socioeconomic Development and its use in forming Economic policy. 11(1), 137-144.CA&CC *Press Sweden.*

Papava, V. (2013). Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years after. *Nova Science Publishers.*

Papava, V. (2016). Georgia's choice: The European Union or The Eurasian Economic union. Expert Opinion. Georgian Foundation for strategic and international Studies.

Tinbergen, J. (1978). Economic policy: Principles and Design. Amsterdam. 1956, 1978. 478.

Weil, D. N. (2008). Economic Growth. Brown University. Second Edition.

Wooldridge, M. J. (2013). Introductory Econometrics. A Modern Approach. Fifth Edition.

Geostate Database (PC-AXIS Database) of National Statistic Office of Georgia. Retrived from: http://pc-axis.geostat.ge

The World Bank Open Date. (2021). https://data.worldbank.org/

JEL Classification: E24, J21, J28. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.021

STATE EMPLOYMENT POLICY IN THE CONDITIONS OF THE COVID-19 PANDEMIC CRISIS IN GEORGIA

IRMA TKEMALADZE
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
irma.tkemaladze@tsu.ge

Abstract. The crisis caused by the Covid-19 pandemic has not only economic character, it is multifaceted, so ways to tackle the problem are more complex and ambiguous. Measures to protect the health of the population often comes into conflict with economic recovery measures, which raises the issue of their proper balancing. At the same time, financial, moral and material support should be provided to the vulnerable sections of the society, at the same time, the party creating the demand for labor should be encouraged to maintain jobs. Recovering the economy requires a comprehensive and consistent strategy based on the interests of each citizen. It is important to have an active social dialogue between employers 'and entrepreneurs' organizations and employees. These measures are relatively easy to implement for countries with high incomes and developed economies, while for low-income countries, the use of fiscal and monetary policy instruments is limited and therefore becomes a more difficult process. In such a case, it is recommended to differentiate the directions of the state employment policy according to the priority. The first line of action in the conditions of the covid-19 pandemic should be to stop the growth of poverty caused by declining employment income from reduced employment. As mentioned above, the government's anti-crisis plan even provides for passive policy measures and appropriate funding. However, it should be noted that the simplification of bureaucratic procedures related to the issuance and administration of targeted benefits would also be desirable. The activation of passive policy has accelerated the "formalization" of informal employees, it is recommended to continue working in this direction through a different prism to prevent the growth of precariate in the labor market. It is advisable to increase the number of jobs in the formal sector, to adequately remunerate the qualifications and energy expended, to create normal working conditions and to provide real protection of the labor rights of the employees. It is recommended to finance various projects and startups to promote self-employment and motivate the unemployed people. An important measure is the systematic research of labor market needs, which creates a clear picture of the requirements in the field of employment in the policy-making process and is a vector in the planning of training relevant qualified personnel. The latter will help to eliminate the most important problems of the Georgian labor market - the imbalance between labor demand and supply.

KEYWORDS: LABOR MARKET, EMPLOYMENT, REMOTE EMPLOYMENT, UNEMPLOYMENT, PANDEMIC CRISIS.

For citation: Tkemaladze, I. (2021). State Employment Policy in The Conditions of The Covid-19 Pandemic Crisis in Georgia. *Globalization and Business.* 12, 155-161. (In Georgian). https://doi.org/10.35945/gb.2021.12.021

JEL Classification: E24, J21, J28. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.021

დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა კოვიდ–19–ის პანდემიით გამოწვეული კრიზისის პირობებში საქართველოში

ირმა ტყემალაძე

დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
irma.tkemaladze@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: შრომის ბაზარი, დასაქმება, დისტანციური დასაქმება, უმუშევრობა, პანდემია, კრიზისი.

ციტირებისთვის: ტყემალაძე, ი. (2021). დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა კოვიდ–19–ის პანდემიით გამოწვეული კრიზისის პირობებში საქართველოში. *გლობალიზაცია და ბიზნესი.* 12, 155-161. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.021

შესავალი

მიმდინარე პანდემიურმა კრიზისმა გლობალური შრომის ბაზარზე სამუშაო ადგილების არნახული უკმარისობა შექმნა. პროგნოზირებულია, რომ 2021 წელს ჯამურად სამუშაო ადგილების დეფიციტი 75 მილიონს, ხოლო 2022 წელს – 23 მილიონს გაუტოლდება (World Employment and Social Outlook: Trends, 2021). გარდა პირდაპირი გზით სამუშაო ადგილების შემცირებისა, ნავარაუდებია სამუშაო საათების შემოკლება, ანუ არასრული დასაქმების ზრდა, რაც დასაქმებულის ნების საწინააღმდეგოა და უმთავრესად დაკავშირებულია შრომის ანაზღაურების ფონდის ეკონომიასთან. ჯამურად სრულ დასაქმებასთან მიმართებაში თუ გავიანგარიშებთ, 2021 წელს 100 მლნ. სამუშაო ადგილის, ხოლო 2022 წელს 26 მლნ. სამუშაო ადგილის ექვივალენტია. გამოდის რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) მკვლევართა პროგნოზებით, 2022 წელს მსოფლიოში უმუშევართა რაოდენობა 205 მილიონ ადამიანს მიაღწევს, რაც 2019 წლის რაოდენობაზე (187 მილიონი) ბევრად მეტია. უმუშევრობის დონე 5,7%–მდე გაიზრდება, მსგავსი მაჩვენებელი ბოლოს 2013 წელს დაფიქსირდა. სიტუაციის დარეგულირების შემთხვევაში შრომის ბაზარი 2023 წლამდე ვერ მიაღწევს პანდემიამდე არსებულ მდგომარეობას (World Employment and Social Outlook: Trends, 2021).

პანდემიის უარყოფითი გავლენა უფრო ნაკლებია მაღალშემოსავლიანი ქვეყნების ეკონომიკებზე და პირიქით. საქართველომ პანდემიის პირველი ტალღა სამედიცინო თვალსაზრისით შედარებით მსუბუქად გადაიტანა, მაგრამ ისე როგორც ბევრი გარდამავალი ან განვითარებადი ქვეყანა, ეკონომიკური კუთხით მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ეკონომიკის სხვადასხვა სექტორმა, მაგალითად, ტურიზმმა, ტრანსპორტმა და საცალო ვაჭრობამ ფაქტიურად „უძრაობის" ეტაპზე გადაინაცვლა. კრიზისმა მოიცვა მშენებლობა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები, ხელოვნება, გართობა და დასვენების სექტორები. საქართველოს ეკონომიკა პანდემიის დაწყებიდან ოთხ თვეში 7,7%–ით შემცირდა, ხოლო როცა კრიზისი ყველაზე მწვავე იყო GDP–ს შემცირებამ 16,6% შეადგინა. გამოშვება შემცირდა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში. სამუშაო ძალაზე მოთხოვნა წარმოებული მოთხოვნაა და შესაბამისად, კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა მანამდე არსებული პრობლემები და გაჩნდა ახალი გამოწვევები. ასეთ პირობებში სახელმწიფოს მიერ გატარებული ეფექტიანი ეკონომიკური, ორგანიზაციული და სამართლებრივი ღონისძიებების გარეშე შრომის ბაზარზე და ზოგადად ეკონომიკაში შექმნილი რთული მდგომარეობიდან გამოსავლის მოძებნა გართულდება.

ძირითადი ნაწილი

როგორც ზემოთ აღინიშნა, პანდემიამ გლობალურად წარმოაჩინა შრომის ბაზრის სუსტი ადგილები და ამავე დროს უფრო ნათელი გახადა თითოეული ქვეყნის დასაქმების სფეროში არსებული პრობლემები. ეკონომიკური აქტივობების დაქვეითების პარალელურად მყისიერად დაიწყო სამუშაო ადგილებისა და სამუშაო დროის შემცირება, ორგანიზაციათა

ნაწილი გადავიდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე, ნაწილში ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო აღნიშნული პროცესი ვერ განხორციელდა.

მიმდინარე პერიოდში შრომის ბაზრის კვლევისა და ანალიზის შედეგად გამოიკვეთა პანდემიისთვის დამახასიათებელი ახალი პრობლემები, კერძოდ:

- დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები, განსაკუთრებით შრომის ბაზარზე ახალშესულთათვის და ქალებისათვის;
- უკვე არსებული სამუშაო ადგილების შენარჩუნების მაღალი რისკი;
- დასაქმებულთა საბაზრო ძალაუფლების შემცირება, მათი შრომითი უფლებების დარღვევა, რაც შემდეგ მოვლენებში აისახა: სამსახურიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლება, უხელფასო შვებულებაში დასაქმებულის სურვილის საწინააღმდეგოდ გაშვება, შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების ცალმხრივად ცვლილება;
- ანაზღაურების გარეშე ზეგანაკვეთური შრომა;
- დამქირავებლის მიერ დისტანციური შრომის არასათანადოდ შეფასება;
- შრომის ანაზღაურების უკონტროლო შემცირება;
- სამუშაოზე გამოცხადების იძულება კარანტინის და სატრანსპორტო შეზღუდვების პირობებში.

ახალი პრობლემების მრავალრიცხოვნად გამოვლენის ზოგიერთი მიზეზი საქართველოს შრომის ბაზარზე პანდემიამდე არსებული ისეთი გადაუჭრელი საკითხებია, როგორიცაა შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდებასა და მოთხოვნას შორის დისბალანსი, ღარიბი დასაქმებულების მაღალი წილი, ახალგაზრდობის დასაქმების პრობლემები, დასაქმების გენდერული პრობლემები, არაფორმალური დასაქმების მაღალი წილი, გრძელვადიანი, ანუ ქრონიკული უმუშევრობა.

საქართველოს შრომის ბაზრის საფირმო ნიშნად იქცა კონიუქტურა, სადაც ერთდროულად გვაქვს უმუშევრობის მაღალი დონე და ვაკანსიების დიდი რაოდენობა. როგორც შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ვებ-გვერდზე განთავსებული შრომის ბაზრის კვლევებიდან ირკვევა, ბოლო სამი წლის განმავლობაში ჯამურად გამოცხადებულია 161 000 ვაკანსიაზე მეტი (hr.ge). კონკრეტული ქვეჯგუფების მიხედვით ყველაზე მეტი ვაკანსია იყო მაღაზიების კონსულტანტ-გამყიდველებზე (26815 ვაკანსია), კომერციული გაყიდვების წარმომადგენლებზე (8624), მიმტანებზე (4019), ბუღალტრებზე (3964), ოფისის, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დამლაგებლებსა და დამხმარეებზე (3772), სატვირთო ავტომობილის მძღოლებზე (3206), საკონტაქტო ცენტრის კლერკებზე (3625), მზარეულებზე (3121), მტვირთავებზე (1976), უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებზე (2 772). ვაკანსიების დიდი წილი მოდის მომსახურებისა და გაყიდვის სფეროებზე (http://www.lmis.gov.ge), სადაც საკვალიფიკაციო მოთხოვნა საკმარისია პროფესიული ან საშუალო განათლების დონეზე. ასეთი სამუშაო ადგილები დაბალი ანაზღაურების გამო ხასიათდება მაღალი მობილობით და დაბალი პროდუქტიულობით. პარალელურად მიწოდების მხრივ სამუშაო ძალა წარმოდგენილია უმაღლესი განათლების მქონე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) პირთა დიდი ნაწილით, 2017-2020 წლებში სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში სხვადასხვა პროგრამებზე ბაკალავრიატის საფეხურზე ჯამურად 331647 სტუდენტი ირიცხებოდა, მაგისტრატურის საფეხურზე ამავე პერიოდში – 97684 სტუდენტი, ხოლო პროფესიულ პროგრამებზე – 10529. უმაღლეს სასწავლებლებში უმაღლესი განათლების მიღების მქონეთა რიცხვი მუდმივად ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, ხოლო პროფესიულ პროგრამებზე ბოლო ორი წლის შეჯამებით შეიმჩნევა შემცირების ტენდენცია, რაც იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ მომავალში შრომაზე მოთხოვნა და მის მიწოდებას შორის დისბალანსი როგორც სტრუქტურული, ისე კვალიფიკაციური თვალსაზრისით კვლავ აქტუალურ საკითხად დარჩება, იმ შემთხვევაში თუ დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში აქტიურად არ განხორციელდება პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების მნიშვნელობის შესახებ ფართო მასების სწორი კუთხით ინფორმირება. უნდა ითქვას, რომ სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისბალანსი გლობალური მასშტაბითაც მწვავეა, რასაც ადასტურებს ნობელის პრემიის ლაურეატების პიტერ დაიმონდის (Diamond,1982:68), კრისტოფერ პისარიდესის და დეილ მორტენსენის (Mortensen & Pissarides, 1994) ინტერესი აღნიშნული პრობლემით. მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ უმუშევრობის შემწეობა, უკეთესი სამსახურის შოვნის მოლოდინები, შრომის ბაზრის მკაცრი რეგულაციები სხვა თანაბარ პირობებში, აყოვნებს უმუშევრების მიერ შედარებით დაბალანაზღაურებიან სამსახურზე დათანხმებას, ზრდის უმუშევრობას, ასევე ხელს უშლის ეფექტიანი დასაქმების არსებობას.

სიღარიბის მაღალი დონის გამომწვევ ძირითად მიზეზებს – არაეფექტიან დასაქმებას, არაფორმალური დასაქმების მაღალ დონეს და შრომის მწარმოებლურობის დაბალ დონეს დაემატა (Tsartsidze, 2016:7) პანდემიური კრიზისისგან გამოწვეული ეკონომიკური შოკი, რამაც კიდევ უფრო გაართულა სოციალური სფეროში მანამდე არსებული პრობლემები. 2020 წელს 2019 წელთან შედარებით მსოფლიოში კიდევ 108 მლნ. მუშაკი გადავიდა ღარიბ ან უკიდურესად ღარიბ (რაც ნიშნავს, რომ ისინი და მათი ოჯახები ცხოვრობენ დღეში 3,2 დოლარზე, ოჯახის ერთ სულზე გაანგარიშებით) კატეგორიაში (World Employment & Social Outlook: Trends, 2021). რაც შეეხება საქართველოს, ოფიციალური მონაცემებით კრიზისის დაწყებიდან ერთ წელში დასაქმებულთა რაოდენობა 54 100 ადამიანით, ხოლო 2021 წლის ორი კვარტლის მიხედვით 123700 ადამიანით შემცირდა (geostat.ge). დასაქმებულთა

რიცხოვნობის პარალელურად მცირდებოდა სამუშაო საათები. 2020 წელს არასრული დასაქმებისა და უმუშევრობის კომბინირებული დონე 19,6%, ხოლო უმუშევრობის დონე 18,5%-ია, ნაცვლად 2019 წლის 17,6%-სა. დასაქმების და სამუშაო დროის შემცირებამ მიგვიყვანა შრომითი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების მკვეთრ შემცირებასთან და სიღარიბის აბსოლიტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილის ზრდასთან.

ამიტომ, პოსტპანდემიურ პერიოდში დასაქმების პოლიტიკის კიდევ ერთი გამოწვევა მეტი და ამავე დროს ეფექტიანი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა იქნება. გაზრდილი უმუშევრობის საპირწონედ სამუშაო ადგილების მხოლოდ რაოდენობრივი ზრდა საკმარისი აღარაა. ამავე დროს არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გამწვავების თავიდან ასაცილებლად პასიური პოლიტიკის გატარებაც პრიორიტეტული ხდება. პანდემიით გამოწვეული პირველადი უარყოფითი ეფექტების მინიმიზაციისათვის საქართველოს მოქალაქეებს 170 მლნ. ლარიანი ბიუჯეტით დაუფინანსდათ სამი თვის კომუნალური გადასახადები, სახელმწიფომ დააზღვია, რომ არ მომხდარიყო გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული ფასების მნიშვნელოვანი ზრდა ცხრა ძირითად სასურსათო პროდუქტზე, სახელმწიფოს დახმარებით მოქალაქეებს სესხის გადახდის 3 თვით გადავადების შესაძლებლობა მიეცათ, რითაც 600 000- მდე მსესხებელმა ისარგებლა (COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში, 2020). ანტიკრიზისული გეგმის მეორე ეტაპზე პირდაპირი ფინანსური დახმარება მიიღეს დაქირავებით დასაქმებულებმა, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან უხელფასო შვებულებაში იქნენ გაშვებულნი, დახმარების რაოდენობამ 1200 ლარი შეადგინა 6 თვის განმავლობაში და მოიცვა 350 000 მოქალაქე. პროგრამის ბიუჯეტმა 450 მლნ. ლარი შეადგინა. თუმცა უნდა ითქვას, რომ მიზნობრივი შემწეობების გაცემისა და ადმინისტრირების საკითხები გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული, ამ მიმართულებითაც სასურველია ბიუროკრატიული პროცედურების გამარტივება, რომ დახმარებებმა მიზნობრივ ჯგუფებთან დროულად მიაღწიოს და შეასრულოს მისი ძირითადი ფუნქცია – გადაუდებელ შემთხვევებში მოსახლეობის დაცვა შემოსავლების სრული ან ნაწილობრივი გაუფასურებისგან.

კრიზისი არაპროპორციულად აისახა გენდერულ ჭრილშიც, იზოლაციისგან წარმოქმნილი დამატებითი საყოფაცხოვრებო ვალდებულებების გამო ქალების უმრავლესობისთვის პროფესიული საქმიანობის შესრულება გართულდა, საფრთხე შეექმნა დავალებათა მაღალხარისხიანად შესრულებას, ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო გახდა დამატებით სამუშაოზე უარის თქმა, ქალთა ნაწილს მოუწია შრომის ბაზრიდან გასვლა. ასევე ონლაინ – მომსახურებაზე გადასვლის შემდეგ, მიტანის სერვისების გააქტიურებამ კონსულტანტების რაოდენობის შემცირება და კურიერების რაოდენობის ზრდა გამოიწვია. ანუ ე.წ. „ქალთა“ პროფესიები და საქმიანობების შემცირების ტენდენციასთან გვაქვს საქმე, ხოლო მამაკაცები უფრო მეტად ინარჩუნებენ სამუშაო ადგილებს. რაც შესაბამისად აისახა დასაქმების გენდერულ სტრუქტურაზე. კრიზისის დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში დასაქმების დონე ქალებში შემცირდა თითქმის 3.0%-ული პუნქტით, ხოლო მამაკაცებში – 1.0%-ული პუნქტით.

გლობალურ დონეზე 2020 წელს ქალთა შორის დასაქმება შემცირდა 5.0%-ით, მაშინ როცა კაცებში ეს შემცირება 3,9%. აღნიშნული მიმართულებით დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება არ დაწყებულა, გამომდინარე იქედან, რომ საკითხი უფრო ღრმაა და გრძელვადიან პერიოდს ითხოვს პრობლემის გადასაწყვეტად.


დასაქმების სტატუსის მიხედვით ანალიზისას თვითდასაქმებულებმა შედარებით ნაკლები დანაკარგები მიიღეს პანდემიისგან, რასაც ადასტურებს კრიზისის პერიოდში მათი რაოდენობის ზრდა (სამუშაო ძალის უმნიშვნელო ზრდის პირობებში). 2010 წლიდან მუდმივად მცირდებოდა თვითდასაქმებულთა წილი საერთო დასაქმებაში, ხოლო 2020 წელს პირველად დაფიქსირდა ზრდის ტენდენცია. მიზეზი შეიძლება ვეძიოთ დაქირავებული შრომის შემცირებაში და პასუხად სამუშაო ძალის ადაპტირებაში შეცვლილ ეკონომიკურ სიტუაციასთან. ანუ დაქირავებით დასაქმებულთა ნაკადები მიემართა ყველაზე დაბალეფექტიანი სასოფლო თვითდასაქმებისკენ, რამაც სტატისტიკურად დასაქმების დონის კატასტროფული ცვლილებებისგან დაიცვა შრომის ბაზარი. რაც ერთის მხრივ პოზიტიურ მოვლენადაც შეიძლება შეფასდეს და იყოს ვექტორი დასაქმების პოლიტიკის შემუშავების პროცესში, რომ სამომავლოდ ხელი შეეწყოს თვითდასაქმების შესაძლებლო-

ცხრილი 1. დასაქმება და სიღარიბე საქართველოში კოვიდ-პანდემიის პირობებში

მაჩვენებლები	2019	2020
დასაქმებულთა რაოდენობა საქართველოში (ათასი კაცი)	1295.9	1241.8
დასაქმების დონე (%)	42,67	41,14
სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი, %	19,5	21,3

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, geostat.ge

დიაგრამა 1: დასაქმების დონე სქესის მიხედვით 2010-2020 წლებში (%) საქართველოში



წყარო: საქსტატი, სამუშაო ძალის კვლევა 2020


ბების ზრდას, როგორც უმუშევრობის და ეფექტიანი დასაქმების პრობლემის გადაჭრის გზას. მეორე მხრივ, სავარაუდოა, რომ თვითდასაქმებულთა რაოდენობის ზრდა განპირობებული იყო მათი არაფორმალური ნაწილის „გაფორმალურებისგან“, ეს უკანასკნელი მოვლენა დაკავშირებულია მთავრობის ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებულ 300 ლარიან დახმარებასთან, რომელიც ერთჯერადად გაიცა უმუშევრად დარჩენილ თვითდასაქმებულ პირებზე და გარკვეულწილად კატალიზატორის როლი შეასრულა ამ კატეგორიის დასაქმებულთა „ჩრდილიდან“ გამოსასვლელად.

შრომის ბაზრის კიდევ ერთი გამოწვევა დაკავშირებულია არაფორმალურ სექტორში ჩართული ადამიანების დიდ რაოდენობასთან. ზოგადად, არაფორმალური დასაქმება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის „აქილევსის ქუსლად“ რჩება. თუმცა განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის იგი ერთგვარ გამოსავლადაც შეიძლება მივიჩნიოთ, მანამდე, ვიდრე ეკონომიკის რეალური სექტორისა და ფინანსურ კაპიტალზე შემოსავლიანობის ზრდა იქნება შესაძლებელი (Kakulia & Chikobava, 2016;123).

საქართველოში 2018 წლიდან არაფორმალური დასაქმება შემცირების ტენდენციით ხასიათდება, იგი უფრო მაღალია მამაკაცებში და სოფლად. პანდემიის პერიოდში არაფორმალური დასაქმების წილის შემცირება შეიძლება აიხსნას ზემოთაღნიშნული სახელმწიფოს მიერ ანტიკრიზისული პროგრამით გათვალისწინებული დახმარების გაცემით, რითაც ჩრდილიდან გამოვიდა არაფორმალურად დასაქმებულთა ნაწილი და მოხდა მათი ფორმალიზება.

პანდემიის პირობებში დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვან მიზნად იქცა სამუშაო ადგილების დაცვა. დასაქმებულთა შენარჩუნების მოტივით დამსაქმებლებმა ანტიკრიზისული გეგმის მეორე ეტაპზე საგადასახადო შეღავათები მიიღეს, მათ შორის 6 თვის განმავლობაში 750 ლარის ოდენობის ხელფასი სრულად გათავისუფლდა საშემოსავლო გადასახადისგან. 1500 ლარამდე ხელფასი კი, 750 ლარის ოდენობაზე გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან. პროგრამის ბიუჯეტი 250 მლნ. ლარი იყო (COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში, 2020). ასევე, ბიზნესსუბიექტებს 4 თვის ქონების და საშემოსავლო გადასახადი გადაუვადდათ 2020 წლის 1-ელ ნოემბრამდე – პროგრამის ბიუჯეტი 171 მლნ. ლარს შეადგენს. მცირე სასტუმროებს მიეცათ შესაძლებლობა საბანკო სესხის 6 თვის პროცენტის თანადაფინანსებით ესარგებლათ. ცვლილებები შეეხო მცირე მეწარმეობის განვითარების საგრანტო კომპონენტს – გრანტის მოცულობის მაქსიმალური ზღვარი იზრდება 20 000 ლარიდან 30 000 ლარამდე, ხოლო ბენეფიციარის მხრიდან თანადაფინანსების მოთხოვნა მცირდება 20%-დან 10%-მდე, რაც მეტ ბენეფიციარს მისცემს საგრანტო კონკურსში გამარჯვების საშუალებას. ტურიზმის, დეველოპერული და სოფლის მეურნეობის სექტორები წარმოადგენენ მსხვილ დამსაქმებლებს, სადაც დასაქმე-

დიაგრამა 2. არაფორმალურად დასაქმებულთა წილი (%) არასასოფლო-სამეურნეო სფეროს დასაქმებულებში საქართველოში 2017-2020 წლებში



Source: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, www.geostat.ge

ბულთა რაოდენობა პანდემიამდე 400 000-ზე მეტ ადამიანს შეადგენდა, ამიტომ ცალკე შემუშავდა აღნიშნული ინდუსტრიების ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმები, რაც ასევე უმუშევრობის ზრდის შეჩერებისკენ იქნება მიმართული. ასევე, ლოქდაუნის პირველივე ეტაპზე დაიწყო დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე აქტიური გადასვლა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა პანდემიისგან გამოწვეული რისკები და დანაკარგები.

და ბოლოს, გამომდინარე იქიდან, რომ დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის საბაზრო მექანიზმები ვრცელდება იმ სეგმენტზე, სადაც დაქირავებული შრომა გამოიყენება, მისი მოქმედების არეალი შეზღუდულია, ანუ დასაქმების ბაზრის 38%-ს ფარავს და გარკვეული ეკონომიკური განუსაზღვრელობის პირობებში აქცევს შრომის ბაზარს. მისი შემცირებისთვის კი კომპლექსური საპროგნოზო-ანალიტიკური საქმიანობის გაძლიერების აუცილებლობაა საჭირო როგორც კერძო სექტორის დონეზე, ისე მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას (Bedianashvili, 2021:177).

დასკვნა

კოვიდ-19-ის პანდემიისგან გამოწვეული კრიზისი მხოლოდ ეკონომიკური არაა, მას მრავალწახნაგოვანი ხასიათი აქვს, ამიტომ, პრობლემის დაძლევის გზები უფრო რთული და ბუნდოვანია. მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის დაცვაზე მიმართული ღონისძიებები ხშირად წინააღმდეგობაშია ეკონომიკის აღდგენის ღონისძიებებთან, ჩნდება მათი სწორად დაბალანსების საკითხი. ერთდროულად უნდა მოხდეს საზოგადოების დაუცველი ფენების ფინანსური, მორალური და მატერიალური მხარდაჭერა, პარალელურად სამუშაო ადგილების შესანარჩუნებლად უნდა წახალისდეს სამუშაო ძალის მოთხოვნის შემქმნელი მხარე. ეკონომიკის აღდგენისათვის საჭიროა ყოვლისმომცველი და თანმიმდევრული სტრატეგია, რომელიც თითოეული მოქალაქის ინტერესზე იქნება დაფუძნებული. მნიშვნელოვანია დამსაქმებელთა და მეწარმეთა ორგანიზაციებსა და დასაქმებულთა შორის საჭიროა აქტიური სოციალური დიალოგი. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება მაღალი შემოსავლების და განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის შედარებით მარტივად განსახორციელებელია, მცირე შემოსავლიანებისათვის კი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენების შეზღუდულობასთან არის დაკავშირებული და შესაბამისად, უფრო რთული პროცესია. ასეთ შემთხვევაში რეკომენდირებულია დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებების დიფერენციაცია პრიორიტეტულობის მიხედვით. პირველი რიგის ღონისძიებად covid-19-ის პანდემიის პირობებში, დასაქმების შემცირების შედეგად შრომითი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების შემცირებისგან გამოწვეული სიღარიბის ზრდის შეჩერება უნდა გახდეს. როგორც ზემოთ აღინიშნა, მთავრობის ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებულია კიდეც პასიური პოლიტიკის ღონისძიებების გატარება და შესაბამისი დაფინანსებაც. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მიზნობრივი შემწეობების გაცემისა და ადმინისტრირების საკითხებთან დაკავშირებული ბიუროკრატიული პროცედურების გამარტივებაც სასურველი იქნებოდა. პასიური პოლიტიკის გააქტიურებამ დააჩქარა არაფორმალურად დასაქმებულთა „გაფორმალურება", რეკომენდირებულია ამ მიმართულებით განსხვავებული პრიზმით გაგრძელდეს მუშაობა, რათა შრომის ბაზარზე ხელი შეეშალოს პრეკარიატის ზრდას. მიზანშეწონილია ფორმალურ სექტორში სამუშაო ადგილების ზრდა, კვალიფიკაციისა და დახარჯული ენერგიის შესაბამისი ანაზღაურება, შრომის ნორმალური პირობების შექმნა და დასაქმებულთა შრომითი უფლებების რეალური დაცვა. თვითდასაქმების ხელშეწყობის, უმუშევრების მოტივირებისათვის რეკომენდირებულია სხვადასხვა პროექტებისა და სტარტაპების დაფინანსება. მნიშვნელოვანი ღონისძიებაა შრომის ბაზრის საჭიროებების სისტემური კვლევა, რაც პოლიტიკის შემუშავების პროცესში ნათელ

წარმოდგენას ქმნის დასაქმების სფეროში არსებულ მოთხოვ-ნებზე და წარმოადგენს ვექტორს შესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადების დაგეგმვის საქმეში. უკანასკნელი კი საქართველოს შრომის ბაზრის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლების – სამუშაო ძლაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისბალანსის აღმოფხვრას შეუწყობს ხელს.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

Bedianashvili, G. (2018). Culture as a factor of knowledge economics with paradigmatic changes in systemic institutional context. *Globalization and Business*, 6, 59-62 (In Georgian).

Bedianashvili, G. (2021). Macroeconomic and Cultural Determinants of the COVID-19 Pandemic Crisis. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 15(2), 191-197.

Data of the National Statistics Office of Georgia - https://www.geostat.ge/ka (In Georgian).

Diakonidze, A., & Natsvlishvili, V. (2020). Labor and Social Security during the New Coronavirus Pandemic. Open Society Fund (In Georgian).

Diamond, P. (1982). Aggregate demand management in search equilibrium. *Journal of Political Economy*.

Enterprise Demand Survey on Skills. (2019). Tbilisi: Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia (In Georgian).

Georgian Labor Market Survey. (2020). Tbilisi: Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia (In Georgian).

http://mes.gov.ge/content.php?lang=geo&id=1028

https://ec.europa.eu/eurostat

Kakulia, N., & Chikobava, M. (2016). The possibility of Overcoming the Current Economic Crisis through the Use of Negative Interest Rates, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, *The collection of The International Scientific-Practical Conference Materials*, 125-132 (In Georgian).

Kakulia, N., & Lazarashvili, T. (2019). Institutional transformation and its challenges in Georgia. Ivane Javakhishvili Tbilisi State University, *The collection of The 4th International Scientific-Practical Conference Materials*, 173-178 (In Georgian).

Law of Georgia N6819-SR On Employment Promotion, 2020 years, 14 Juile (In Georgian).

Papava, V. (2020). On the COVID-19 Pandemic Economic Crisis and the Reorientation of the Georgian Economy, *Reflecting on a Changed World*, 215-221.

Report on the measures taken by the Government of Georgia against COVID-19. (2020). (In Georgian).

Resolution of the Government of Georgia N662 On Approval of the National Strategy of Labor and Employment Policy of Georgia for 2019-2023. (2019). (In Georgian).

Saltiel, F. (2020). Who Can Work From Home in Developing Countries? working paper, Duke University, Durham, North Carolina.134-168

Silagadze, A., Atanelishvili, & T., Silagadze, N. (2020). Some Tendencies of Post-Soviet Migration and Unemployment. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 14 (1), 175-176. (In Georgian).

Tsartsidze, M. (2019). Active labor market policy and peculiarities of youth employment in Georgia. *Ekonomics and Business*, XI (2), 16-37. (In Georgian).

Tsartsidze, M. (2019). Efective Employment - An important factor in human well-being and economic growth in Georgia. *Economisti*, 2, 79-82. (In Georgian).

Tukhashvili, M., & Shelia, M. (2012). The impact of labor emigration on the demographic and economic development of Georgia in the post-Soviet period. http://www.carim-east.eu/media/CARIM-East-2012-RR-29.pdf.

World Economic Outlook, (2020). IMF. https://www.imf.org/en/Publications/WEO-/Issues/2020/04/14/weo-april-2020

World Employment and Social Outlook: Trends (2021), ILO. International Labour Office – Geneva. https://www.ilo.org/global/research/global-reports/weso/trends2021/WCMS_795453/-lang--en/index.htm

JEL Classification: I20, J10. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.022

MODERN PRACTICE OF LEADERSHIP: ITS ROLE AND IMPORTANCE IN THE SUCCESSFUL OPERATION OF THE ORGANIZATION

TEIMURAZ SARTANIA
PHD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
t.sartania@yahoo.com

Abstract. The rapidly accelerating globalization process in the 21st century, advances in technology and science, and other developments related to these processes have posed hitherto unknown challenges to our country's education system. Therefore, at the current stage of the country's development, the main challenge of the Georgian higher education system should be considered to improve the quality of education.

However, the effectiveness of the higher education system depends on a large extent on the optimal distribution and efficient use of monetary resources between the various links and field of the education system.

Based on the study, generalization and research of the above-mentioned issues in the article, the main factors, influencing the development of organizational leadership and educational space in Georgia, were identified.

The aim of this research is to determine the compliance of the Georgian educational system with the international principles and to identify the model of a successful university with a significant impact in this direction. Also, based on the generalization and evaluation of the experience of foreign universities, active use and implementation of leadership strategies in Georgia.

The aim of research is to identify the challenges of the Georgian education system based on the generalization of modern leadership practice.

The object of research is Georgian and foreign educational institutions.

The subject of research is to study and identify the factors that have a positive and negative impact on the development of the Georgian educational system.

As for the various artificial intelligence technologies used in the projects, although currently only 4% of companies globally use them extensively, 65% have already said they are working on an implementation plan or are already planning to start the planning process in the next 3-6 months. The companies plan to introduce artificial intelligence in three main areas: Predictive Analytics Tools, Chat Bots and Robotic Process Automation (RPA) (International Project Management Association, 2020).

According to current forecasts, by 2025 AI will be able to: plan projects, allocate resources, create budgets, assist with contract administration, evaluate cost received, and perform completion cost forecasts (rpsgroup.com, 2021).

About the research conducted by the author in Georgia

In the period June-August 2021, the author of the article interviewed 70 professionals working in Georgia, from up to 60 organizations that have direct contact with project management.

Table 4 lists the respondents' activities, experiences, and project types that they run most frequently. As we can see, the project was mainly attended by project managers with average experience.

The vast majority of respondents are employed in the private sector (81.4%), led by banking-finance (24.3%) and IT companies (18.6%). The remaining 18.6% are employed in public sector.

CONCLUSION

As we have seen, the Agile approach is still mainly used in the field of IT and software development, although its various elements / principles and software are effectively introduced and developed in many other areas as well. Also in Georgia, private and public organizations working with IT projects are actively using this method and latest software are also used successfully. The tendency is to growing demand of Agile, because we are facing global increases of digitalization and growing degree of turbulence in all areas of economy.

Agile has many positive effects on the organization and the effectiveness of projects, however the first thing an organization needs to understand the reason for Agile application, because incorrectly selected processes and practices, along with team cultural incompatibility, can have quite negative consequences.

Table 4. Positions and experiences of the professionals participating in the study. 2021

Position	%	Experience	%
Project/ Program / Portfolio manager	50	> 2 years	21.4
Functional Manager	36	2-5 years	45.7
CEO	14	5 years and more	32.9

Source: Author's research

Despites there are up to twenty methods of Agile project management, several international standards and more than a dozen software, its use and implementation is still associated with a number of problems. The introduction of the new Agile approach requires first of all appropriate preparation of the team, because resistance to change is very natural condition. Additionally, we should not forget that Agile is a very different management scheme, the team is self-governing, which requires a high level of self-management, motivation and understanding on the part of the project team and leaders. Only then it is appropriate to introduce a specific method, framework, artifacts, software, and identify relevant roles of Agile.

At the expense of the rapid development of technology on the one hand, and the strengthening of the VUCA world on the other, and the impact of the COVID 19 pandemic, situational mix of approaches and methods, utilization of software and artificial intelligence capabilities will be the most effective (and in part already) way for future development in projects management.

REFERENCES:

Agilemanifesto.org (2001). Agile Basic Principles of the Manifest. Online available at: https://agilemanifesto.org/iso/ka/principles.html (in Georgian).

Atlassian.com (2020). What is a Kanban Board, Online available at: https://www.atlassian.com/agile/kanban/boards

Cambridge Dictionary (2021). Definition of agile on English. Online available at: https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/agile

digital.ai (2021). 15th State of Agile Report.

EyLean.com (2013). Scrum vs. Kanban vs. Scrumban.

Gouveia, D.R. (2015). An Essay on Agile Project Management Practices. Universidade Nova de Lisboa, Faculdade de Ciências e Tecnologia.

Griffin, C., & Roldan, M. (2013). Swimming up the waterfall: agile processes in a waterfall world. Paper presented at PMI® Global Congress (2013) — North America, New Orleans, LA. Newtown Square, PA: Project Management Institute.

Hrablik, H., Husovič, R., Babčanová, D., & Makyšová, H. (2020). Agile Project Management - What is It?.

International Project Management Association (2020). Artificial Intelligence impact in Project Management.

Milliken, F. (1987). Three Types of Perceived Uncertainty about the Environment: State, Effect, and Response Uncertainty. Academy of Management review. 133-143.

Project Management Institute (2017). Agile Practice Guide.

Project Management Institute (2021). Beyond Agility: Flex to the Future. Pulse of the Profession®. online available at: [https://www.pmi.org/learning/library/beyond-agility-gymnastic-enterprises-12973?fbclid=IwAR24oXduVtqHKYXp62UYitbb-jZ1HGv-789abT7LDC_dgRWvYlAys4v1gWpo] Accesses on 01/05/2021.

Rasnacis, A., & Berzisa S. (2017) Method for Adaptation and Implementation of Agile Project Management Methodology, Procedia Computer Science, 104, 43-50, https://doi.org/10.1016/j.procs.2017.01.055.

Reddy, A. (2016). Scrumban Evolution, The: Getting the Most Out of Agile, Scrum, and Lean Kanban (Agile Software Development Series.

rpsgroup.com. (2021). The Impact of AI on Project Management. Available online at: https://www.rpsgroup.com/insights/the-impact-of-ai-on-project-management/

Schwaber, K., & Sutherland J. (2020). The Definitive Guide to Scrum: The Rules of the Game. Available online at: https://scrumguides.org/docs/scrumguide/v2020/2020-Scrum-Guide-US.pdf#zoom=100

Scrum.org (2021). The scrum framework Poster. Online available at: https://www.scrum.org/resources/scrum-framework-poster

Stellman, A., & Greene, J. (2016). Learning Agile: understanding scrum, xp, lean and Kanban.

techbeacon.com (2015). Survey: Is agile the new norm?. Available online at: https://techbeacon.com/app-dev-testing/survey-agile-new-norm

The Projex Academy (2017). Agile Methodology and PMBOK - PMP Mastery. Online Available: http://www.pm-primer.com/agile-methodology-and-pmbok/.

vitilitychicago.com. (2019). Agile Project Success Rates Are 2X Higher Than Traditional Projects. Online Available at: https://vitalitychicago.com/blog/agile-projects-are-more-successful-traditional-projects/

Wrike.com (2020). The Complete Guide to Personal Kanban. Online Available at: https://www.wrike.com/blog/complete-guide-personal-kanban/

JEL Classification: Q0, Q1. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.028

APPLE PRODUCTION INVESTMENT OPPORTUNITIES IN GEORGIA AND GLOBAL CONTEXT

EKATERINE ZVIADADZE

Invited Lecturer

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ekaterine74@yahoo.com

LASHA ZIVZIVADZE

Associate Professor

Business and Technology University (BTU), Georgia

l.zivzivadze@yahoo.com

MIKHEILI KUCHAVA

NNLE Rural Development Agency, Georgia

mikheili.Kuchava@rda.gov.ge

Abstract. The main objective of the presented paper is to identify investment opportunities in the apple value chain and also to evaluate the specific apple project using the state programs/projects. The methodological part provides a financial evaluation of a specific business project, taking into account state funding programs/projects. Furthermore, general investment opportunities of apples are analyzed in the paper. In addition, in order to study the investment potential, the investment climate of Georgia and Georgia's international ratings are discussed. A brief description and analysis of various state support projects are also provided. Additionally, an overview of local apples and the world market is given.

Due to the climate conditions and soil types of Georgia, the production of intensive apple varieties has a great potential in the country. Promoting the cultivation of intensive apple orchards through the use of various state supporting programs/projects and full compliance with apple production technologies, Georgia will have potential to increase the average apple yield per hectare. It is important for Georgia to use the existing free trade relations with other countries and to diversify the apple export market, which will further increase its competitiveness.

Based on the financial evaluation, key performance indicators are positive and beneficial for the investors, which should give the motivation to the investors to invest in the apple value chain. In the field of agriculture, the continuation of the implementation of various state co-financing projects/programs and their development will give additional motivation to local and foreign investors, which will further increase the competitiveness of Georgian apple value chain.

KEYWORDS: APPLE PRODUCTION, VALUE CHAIN, INVESTMENT POTENTIAL, ECONOMIC EVALUATION.

For citation: Zviadadze, E., Zivzivadze, & L., Kuchava, M. (2021). Apple Production Investment Opportunities in Georgia and Global Context. *Globalization and Business.* 12, 197-205. (In Georgian). https://doi.org/10.35945/gb.2021.12.028

JEL Classification: Q0, Q1 https://doi.org/10.35945/gb.2021.12.028

ვაშლის წარმოების საინვესტიციო შესაძლებლობები საქართველოში და გლობალური კონტექსტი

ეკატერინე ზვიადაძე
მოწვეული ლექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
ekaterine74@yahoo.com

ლაშა ზივზივაძე
ასოცირებული პროფესორი
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო
l.zivzivadze@yahoo.com

მიხეილი კუჭავა
სოფლის განვითარების სააგენტო, საქართველო
mikheili.Kuchava@rda.gov.ge

საკვანძო სიტყვები: ვაშლის წარმოება, ღირებულების ჯაჭვი, საინვესტიციო პოტენციალი, ეკონომიკური შეფასება.

ციტირებისთვის: ზვიადაძე, ე., ზივზივაძე, ლ., კუჭავა, მ., (2021). ვაშლის წარმოების საინვესტიციო შესაძლებლობები საქართველოში და გლობალური კონტექსტი. *გლობალიზაცია და ბიზნესი.* 12, 198-205. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.028

შესავალი

მსოფლიოში ცნობილია ვაშლის ათიათასზე მეტი ჯიში, მათგან საქართველოში გავრცელებულია 200-მდე. განსაკუთრებით დიდი სამეურნეო მნიშვნელობა გააჩნია შემდეგ ადგილობრივ ჯიშებს: ქართული სინაპი, თურაშაული, აბელაური, კეხურა, ივერია, ნაცარა ვაშლი და სხვა. ამასთან, აღსანიშნავია შემდეგი უცხოური ვაშლის ჯიშები: გალა, გოლდენ დელიშესი, ზამთრის ბანანი, რედ დელიშესი, მოცუ, ფუჯი, ჯონათან გოლდი და სხვა.

საქართველოს კლიმატური პირობებიდან და ნიადაგის ტიპებიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის მიმართულებით, მეხილეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, მათ შორის აღსანიშნავია ვაშლის წარმოება. საქართველოს გააჩნია ხელსაყრელი კლიმატური პირობები. ქვეყანაში წარმოდგენილია 13 კლიმატური და 22 მიკროკლიმატური ზონა. ასევე, ქვეყანა მდიდარია წყლის რესურსებით. საქართველოს ტერიტორიაზე დაახლოებით 26,000 მდინარეა, რომელთა საერთო სიგრძე დაახლოებით 26,000 კმ-ს შეადგენს. ქვეყანაში დაახლოებით 860 ტბაა, რომელთა უმეტესობა მტკნარ წყალს შეადგენს.

2020 წელს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, ქვეყანაში ვაშლის წარმოების პროცენტულმა წილმა მთლიანი ხილის წარმოებაში 15% შეადგინა. ხოლო ანალოგიური მაჩვენებელი ბოლო 5 წლის (2016-2020 წლები) მიხედვით, დაახლოებით 13%-ს შეადგენს.

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს ვაშლის ღირებულებათა ჯაჭვში საინვესტიციო შესაძლებლოებების იდენტიფიცირება და ასევე, სახელმწიფო პროგრამების/პროექტების გამოყენებით ვაშლის კონკრეტული წარმოდგენილი პროექტის ეკონომიკური შეფასება. წარმოდგენილი კვლევა მნიშვნელოვანი და აქტუალურია, როგორც ფერმერებისთვის ასევე, ინვესტორებისთვის და სამეცნიერო წრეებისთვის.

კვლევაში გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები: მოცემულია სახელმწიფო დაფინანსების პროგრამების გათვა-

ლისწინებით კონკრეტული ბიზნეს პროექტის ფინანსური შეფასება. გაანალიზებულია ვაშლის ზოგადი საინვესტიციო შესაძლებლობები. ასევე, საინვესტიციო პოტენციალის შესწავლის მიზნით, განხილულია საქართველოს საინვესტიციო კლიმატი და საერთაშორისო რეიტინგები. აგრეთვე, მოცემულია სხვადასხვა სახელმწიფო მხარდამჭერი პროექტების მოკლე აღწერა და ანალიზი. დამატებით, ასევე მოცემულია ადგილობრივი ვაშლის და მსოფლიო ბაზრის მიმოხილვა.

ძირითადი ტექსტი

საქართველოს საინვესტიციო კლიმატი და საერთაშორისო რეიტინგები

საქართველო, 2020 წლის მსოფლიო ბანკის მიერ „ბიზნესის კეთების სიმარტივის" მონაცემების მიხედვით, ბიზნესის დაწყების სიმარტივით მსოფლიოში მეორე ადგილზეა. საქართველოში, ბიზნესის დაწყებას მხოლოდ 1-2 დღე სჭირდება. ქვეყანაში კომპანიის იმავე დღეს რეგისტრაციისთვის საჭიროა 205 ლარი, ხოლო ერთი სამუშაო დღის შემდეგ 105 ლარი (Business Registration, 2021).

საქართველოში საგადასახადო დაბეგვრა არის მარტივი, დაბალი, ეფექტიანი და სამართლიანი. ქვეყანაში გადასახადების აკრეფას და საგადასახადო გარემოს ზედამხედველობას უზრუნველყოფს სსიპ შემოსავლების სამსახური. საქართველოში წარმოდგენილია 6 სახის გადასახადი (Tax legislation, 2020): 0% ან 15% – კორპორატიული მოგების გადასახადი; 18% – დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ); რამდენიმე შერჩეულ საქონელზე – აქციზის გადასახადი; 20% – საშემოსავლო გადასახადი; 0%, 5% ან 12% – იმპორტის გადასახადი; 1%-მდე – ქონების გადასახადი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის **82 მუხლის „ლ" პუნქტის** შესაბამისად, გადასახადისგან თავისუფლდება 2023 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი 200,000 ლარს არ აღემატება (Tax Code of Georgia, 2021).

2020 წლის მაჩვენებლების მიხედვით, მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების სიმარტივის" რეიტინგში, მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის, საქართველო პირველ ათეულშია შემდეგი კომპონენტების მიხედვით: ა) ბიზნესის დაწყება – მე-2 პოზიცია; ბ) ქონების რეგისტრაცია – მე-5 პოზიცია; მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვა – მე-7 პოზიცია (The World Bank Group, 2020).

2021 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, მსოფლიოს 178 ქვეყანას შორის, საქართველო მეთორმეტე ადგილს იკავებს – უმეტესწილად თავისუფალი ეკონომიკა (Index of Economic Freedom, 2021).

ფრეიზერის ინსტიტუტის 2021 წლის „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების" რეიტინგში, მსოფლიოს 165 ქვეყანას შორის, საქართველო მეხუთე (ჰონგ კონგის, სინგაპურის, ახალი ზელანდიის და შვეიცარიის შემდეგ) ადგილს იკავებს (Fraser Institute, 2021).

სავაჭრო ურთიერთობები

2014 წელს ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებას საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA, 2021) შესახებ.

საქართველოს, დსთ-ს ქვეყნებთან, გააჩნია თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება. ქვეყანას ასევე გააჩნია თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ჩინეთის რესპუბლიკასთან, ჰონგ კონგთან და თურქეთთან.

გარდა ამისა, 2016 წლის 27 ივნისს, საქართველომ ხელი მოაწერა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრ ქვეყნებთან (EFTA): ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია.

ამასთან, სავაჭრო მიმართულებით, გათვალისწინებულ იქნა ზოგადი სქემები საქართველოსთვის უპირატესობის მინიჭების შესახებ (GSP) აშშ-სთან, კანადასთან და იაპონიასთან, რის შედეგად შემცირდა ტარიფები საქართველოდან ექსპორტირებულ 3,400 სახეობის პროდუქციაზე.

საქართველოში საექსპორტო პროცედურები მარტივია. საბაჟო ადმინისტრირება არის გამჭვირვალე, სწრაფი და ეფექტიანი. საშუალო განბაჟების დრო შეადგენს მხოლოდ 15-20 წუთს (New Customs Code, 2021).

სახელმწიფო მხარდამჭერი პროგრამები/პროექტები

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აგრარული დარგის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, ახორციელებს მიზნობრივ პროგრამებსა და პროექტებს სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის ყველა კომპონენტის მხარდასაჭერად.

საგრანტო მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამების მეშვეობით სისტემატიურად მიმდინარეობს აუთვისებელ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე სხვადასხვა მრავალწლოვანი კულტურის გაშენება. კერძოდ, მეხილეობის დარგის განვითარების მიმართულებით 2015 წლიდან დაიწყო პროგრამა „დანერგე მომავალი", რომელმაც ქვეყანაში სტიმული მისცა ახალი თანამედროვე სტანდარტებით გაშენებულიყო მრავალწლოვანი ხეხილის ბაღები, რომელმაც ბოლო 6 წლის მანძილზე 14,400 ჰექტარზე მეტი შეადგინა, საიდანაც 356 ბენეფიციარმა გააშენა 1,386 ჰა ვაშლის ბაღი. სულ, პროგ-

რამის ფარგლებში, სახელმწიფო დაფინანსებამ, 105 მილიონ ლარს გადააჭარბა („Plant the Future" Project, 2021). აღსანიშნავია, რომ მოცემული პროგრამა წარმატებით ხორციელდება საქართველოში (Zivzivadze et al., 2021).

2013 წლიდან, ამოქმედდა პროგრამა „შეღავათიანი აგროკრედიტი". სოფლის მეურნეობაში ჩართულ მეწარმეებსა თუ ფერმერებს გაეზარდათ იაფ, ფულად სახსრებზე ხელმისაწვდომობა. სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების გაუმჯობესების მიმართულებით მიმდინარე საკრედიტო პორტფელი 1.3 მლრდ ლარს აღემატება, ხოლო 2013 წლიდან დღემდე გაცემულია 3 მლრდ ლარზე მეტი შეღავათიანი კრედიტი, სექტორში სადაც სასესხო პროდუქტებზე ხელმისაწვდომობა ფაქტობრივად არ არსებობდა. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სესხის პროცენტის თანადაფინანსებამ 440 მლნ. ლარს გადააჭარბა ("Preferential Agrocredit" project, 2021).

ბოლო წლებში და 2021 წელსაც სახელმწიფო ახორციელებს „არასტანდარტული ვაშლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამას", რაც გულისხმობს არასტანდარტული ვაშლის შესყიდვის შემთხვევაში, ხილის გადამამუშავებელი კომპანიები, რომლებიც 1 კგ. არასტანდარტულ ვაშლს არანაკლებ 0.22 ლარად შეისყიდიან, სააგენტო 1 კგ-ზე 0.10 ლარის ოდენობის სუბსიდიას გასცემს (Industrial apple sale promotion program, 2021).

პროგრამის „აგროდაზღვევა" მიზანი აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირებაა. აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში 2014 წლიდან 2021 წლამდე პერიოდში დაზღვეულია 110 ათას ჰექტარზე მეტი მიწის ფართობი და სულ სადაზღვევო პრემიამ შეადგინა 78 მლნ. ლარზე მეტი, საიდანაც სახელმწიფო დაფინანსება 53 მლნ. ლარს აღემატება. ფერმერებისთვის ანაზღაურებული ზარალი 56 მლნ. ლარს აღემატება (Agroinsurance Program, 2021).

ასევე, დაიწყო გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი, რაც უზრუნველყოფს პირველადი წარმოებიდან მიღებული მოსავლის დროულად შენახვა/გადამუშავების პროცესს. ამ პერიოდის მანძილზე მხარდაჭერილია 106 ახალი გადამამუშავებელი და შემნახველი მეურნეობა, მათი დაფინანსება კი, ჯამურად, 55 მლნ ლარს აღემატება (Co-financing of Processing and Storage Enterprises project, 2021).


მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის მიზანია მოსავლის ამღებ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობა ერთ ბენეფიციარზე მარცვლეულის მოსავლის ასაღებად განკუთვნილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (კომბაინის) შემთხვევაში შეადგენს ღირებულების არაუმეტეს 30%-ს, მაგრამ არაუმეტეს 150,000 ლარისა, ხოლო სხვა ტიპის მოსავლის ამღები (გარდა ყურძნისა) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემთხვევაში არაუმეტეს 50%-ს, არაუმეტეს 150,000 ლარისა (State Program for Co-financing of Harvesting Agricultural Machinery, 2021).

სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის (AMMAR) თანადაფინანსების პროგრამა მიზნად ისახავს პირველადი წარმოების პროდუქტის ხარისხისა და მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარი სახელმწიფოსგან იღებს თანადაფინანსებას პროექტის ჯამური ღირებულების 40%-ის ოდენობით, ხოლო ბენეფიციარის თანამონაწილეობა შეადგენს 60%-ს (Agricultural Modernization, Market Access and Resilience (AMMAR) program, 2021).

სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინასების სახელმწიფო პროგრამის მიზანია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესასყიდად საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა თანადაფინანსების გზით (State Co-financing Program of Agricultural Mechanization, 2021).

ზემოაღნიშნული პროგრამები მხოლოდ მცირე ჩამონათვალია პროექტებისა და პროგრამების, რომელიც დარგში წლების მანძილზე წარმატებით ხორციელდება. მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე, მომავალში გაგრძელება სხვადასხვა სახელმწიფო თანადაფინანსების პროექტების/პროგრამების განხორციელება, რაც დამატებით მოტივაციას გაუჩენს ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს.

გრაფიკი 1. ვაშლის წარმოება (ტონა)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვაშლის ადგილობრივი ბაზარი

ქვეყანაში ვაშლის წარმოება, წლების მიხედვით, მაღალი ცვალებადობით ხასიათდება (გრაფიკი 1). საქართველოში ვაშლის ცვალებადი მოსავლიანობა, ძირითადად, გამოწვეულია შესაბამისი წარმოების ტექნოლოგიების დაუცველობით. ამასთან, ვაშლის მოსავლიანობაზე და მის ხარისხზე უარყოფით გავლენას ახდენს ვაშლის ბაღების მეწლეურობა და სხვადასხვა დაავადებები (ქეცი, სიდამპლე და ა.შ.).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2016-2020 წლების მონაცემების მიხედვით, ვაშლის ძირითადი მწარმოებელი რეგიონებია შიდა ქართლი – 81%, ქვემო ქართლი – 3% და აჭარის ა.რ. – 3% (გრაფიკი 2).

გრაფიკი 2. 2020 წელს ვაშლის წარმოება რეგიონების მიხედვით




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2017-2020 წლებში ვაშლის ექსპორტი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2020 წელს, 2017 წელთან შედარებით, ვაშლის ექსპორტი გაზრდილია დაახლოებით ხუთჯერ (გრაფიკი 3). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2020 წელს, საქართველოდან ვაშლის ძირითად საექსპორტო ქვეყნებს წარმოადგენს რუსეთი (91%), სომხეთი (4%) და აზერბაიჯანი (2%).

2017-2020 წლებში ვაშლის იმპორტი ცვალებადი ტენდენციით ხასიათდება. 2020 წელს, 2017 წელთან შედარებით, ვაშლის იმპორტი გაზრდილია დაახლოებით 56%-ით (გრაფიკი 3). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2020 წელს, საქართველოში ვაშლის ძირითად იმპორტიორ ქვეყნებს წარმოადგენს თურქეთი (47%), ირანი (45%) და უკრაინა (3%).


გრაფიკი 3. ვაშლის ექსპორტ-იმპორტი (1,000 აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღსანიშნავია, რომ ვაშლის იმპორტი საქართველოში, ძირითადად, ხორციელდება იანვარი-ივნისის თვეებში (გრაფიკი 4).

გრაფიკი 4. ვაშლის იმპორტი თვეების მიხედვით (1,000 აშშ დოლარი)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვაშლის მსოფლიო ბაზარი

მსოფლიოში, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მაჩვენებლების მიხედვით, 2019 წელს, დაახლოებით 87 მლნ ტონა ვაშლი იქნა წარმოებული. მსოფლიოში, ვაშლის ძირითადი მწარმოებელი ქვეყნებია: ჩინეთი (49%), აშშ (6%), თურქეთი (4%) და პოლონეთი (4%).

როგორც ავღნიშნეთ, ვაშლის იმპორტი საქართველოში, ძირითადად, ხორციელდება იანვარი-ივნისის თვეებში და ამავე პერიოდში ვაშლის საცალო საბაზრო ფასები ზრდადი ტენდენციით ხასიათდება (გრაფიკი 5).


გრაფიკი 5. ვაშლის საცალო საბაზრო ფასები თვეების მიხედვით – 2020 წელი (ლარი/კგ)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2019 წლის, მონაცემების მიხედვით, ერთ ჰექტარზე ვაშლის მოსავლიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით მსოფლიოში ლიდერობს ახალი ზელანდია, სადაც ერთ ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა შეადგენს დაახლოებით 57 ტონას. ევროპის ქვეყნებიდან, ვაშლის საშუალო მოსავლიანობის მიხედვით, მაღალ პოზიციებს იკავებს შვეიცარია და იტალია. საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, ვაშლის საშუალო მოსავლიანობის მაჩვენებლით, ლიდერობს თურქეთი (20.7 ტონა/ჰა), ხოლო ვაშლის საშულო მოსავლიანობის ყველაზე დაბალი

გრაფიკი 6. ერთ ჰა-ზე ვაშლის მოსავლიანობა ქვეყნების მიხედვით (ტონა/ჰა)



წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)

მაჩვენებელი სომხეთს (8.1 ტონა/ჰა) გააჩნია (გრაფიკი 6).

2020 წლის მონაცემების მიხედვით, მსოფლიოში ვაშლის ყველაზე დიდი ექსპორტიორი ქვეყნებია ჩინეთი (1.4 მილიარი აშშ დოლარი), იტალია (962 მილიონი აშშ დოლარი), აშშ (855 მილიონი აშშ დოლარი) და ახალი ზელანდია (590 მილიონი აშშ დოლარი) (წყარო: comtrade).

2020 წლის მონაცემების მიხედვით, მსოფლიოში ვაშლის ყველაზე დიდი იმპორტიორი ქვეყნებია გერმანია (649 მილიონი აშშ დოლარი), რუსეთი (477 მილიონი აშშ დოლარი), გაერთიანებული სამეფო (435 მილიონი აშშ დოლარი) და ინდონეზია (326 მილიონი აშშ დოლარი) (წყარო: comtrade).

2019 წელს, ევროკავშირის ქვეყნებში, კერძოდ, საბერძნეთში, საფრანგეთში და იტალიაში, ვაშლის მწარმოებლის საშუალო ფასი 579 აშშ დოლარიდან 687 აშშ დოლარამდე მერყეობდა. მაგალითისთვის საფრანგეთში, ვაშლის მწარმოებლის საშუალო ფასი საქართველოში ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, დაახლოებით 2.2-ჯერ მაღალია. საქართველოს მეზობელ ქვეყნებში – თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი, ანალოგიური მაჩვენებელი, 235 აშშ დოლარიდან 417 აშშ დოლარამდე მერყეობდა. უკრაინაში, ვაშლის მწარმოებლის ფასმა კი 1 ტონაზე დაახლოებით 183 აშშ დოლარი შეადგინა, რაც საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 39%-ით ნაკლებია (გრაფიკი 7).


ვაშლის ზოგადი საინვესტიციო შესაძლებლობები საქართველოში

- ქვეყანაში ახალი ჯიშის ნერგების წარმოება;
- წარმოების საშუალებების მიწოდება (მცენარეთა დაცვის საშუალებები, სასუქები, სარწყავი სისტემები და სხვა);
- ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების მიწოდება კლიმატკონტროლირებადი სასაწყობო მეურნეობებისთვის;
- სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებისა და ხელსაწყოების მიწოდება;
- გადამამუშავებელი დანადგარების და ტექნოლოგიების მიწოდება;
- სატვირთო გადაზიდვების მომსახურების მიწოდება, რომელიც აღჭურვილია კლიმატკონტროლირებადი სისტემებით;
- ვაშლის ინტენსიური ბაღების გაშენება;
- პროდუქციის შენახვისთვის მომსახურების მიწოდება, რომელიც აღჭურვილია კლიმატკონტროლირებადი სისტემებით;
- დამატებითი ღირებულების შესაქმნელად მომსახურების მიწოდება (კონცენტრატი, წვენი და სხვა);
- პირველადი და გადამუშავებული პროდუქციისთვის შესაფუთი მასალების წარმოება (ყუთები და სხვა).

ვაშლის საინვესტიციო წინადადება/შესაძლებლობა

აღნიშნულ ფინანსურ გათვლებში გათვალისწინებული ინფორმაცია, ეყრდნობა დარგის ექსპერტებიდან მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას. გათვლებში გათვალისწინებულია სახელმწიფოს პროგრამების და დახმარების ოდენობები, რომელსაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო აგრარული დარგის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ახორციელებს, სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის ყველა კომპონენტის მხარდასაჭერად. აღნიშნული გულისხმობს, როგორც საგრანტო დახმა-

გრაფიკი 7. ვაშლის მწარმოებლის ფასები ქვეყნების მიხედვით – 2019 წელი (აშშ დოლარი/ტონა)



წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)

რებას, ასევე სტრატეგიული მიმართულებების მხარდაჭერას სისტემური პროგრამების განხორციელების გზით.

სავარაუდო სცენარის, ფინანსურ გათვლებში წარმოდგენილი მოდელით, გაშენდება ვაშლის (M9) კულტურის ინტენსიური ბაღი 10 ჰა მიწის ფართობზე (დარგვის სქემა: 3.8 მეტრი * 1 მეტრზე – სულ 2,600 ნერგი), თანამედროვე სტანდარტების დაცვით. იმპორტირებული ნერგის ღირებულება გათვალისწინებულია – 3.5 ევროს ოდენობით. ასევე, გათვალისწინებულია შეიქმნას პირველადი წარმოების სრული ჯაჭვი, რაც გულისხმობს, როგორც შემნახველი სამაცივრე მეურნეობის შექმნას, ბაღის მოვლისათვის საჭირო მექანიზაციით უზრუნველყოფას, მოსავლის ამღები ტექნიკით უზრუნველყოფას და სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სისტემების/სტანდარტების დანერგვასა და ბრენდირების მიმართულებითაც ხელშეწყობას. აღნიშნული მიმართულებებით დაშვებებში გამოყენებულია ააიპ სოფლის განვითარების სააგენტოს ყველა შესაძლო თანადაფინანსების პროგრამები.

ვაშლის ბაღის გაშენებისათვის ცალცალკეა დაანგარიშებული შემდეგი ძირითადი განსახორციელებელი აგროტექნოლოგიური სამუშაოები. თითოეული პროცესის ღირებულება მოიცავს როგორც მასალისა და ინვენტარის ფასებს, ასევე მომსახურებისა და დაქირავებულ თანამშრომელთა ანაზღაურებას წლების მიხედვით. ბაღის გაშენების ხარჯები, მოიცავს:

- მიწის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება;
- ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება;
- ინტენსიური ბაღისთვის დამატებითი ინფრასტრუქტურის შექმნა;
- ნერგების დარგვა;
- სარწყავი სისტემის მოწყობა;
- ჭის/ჭაბურღილის მოწყობა;
- სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მოწყობა;
- საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა (შემდგომ წლებში მომსახურების საკომისიოს გადახდა);
- ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ინფრასტრუქტურის შექმნა.

შემდგომ ძირითად საკითხს წარმოადგენს ბაღის მოვლის ყოველწლიური ხარჯების ოდენობის განსაზღვრა. ბაღის გაშენების შემდგომ, მეორე წლიდან ხორციელდება პირველადი წარმოების ღირებულებათა ჯაჭვის შექმნის ღონისძიებების უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს შემნახველი სამაცივრე მეურნეობის შექმნას (ვინაიდან მშენებლობასა და სრულ გამართვას დაახლოებით 12–18 თვე სჭირდება), რითიც მესამე–მეოთხე წლიდან დაბინავებულ იქნება არსებულ ბაღში მისაღები მოსავლის 84%. ასევე, შესყიდულ იქნება ტრაქტორი და საჭირო მისაბმელი ტექნიკა ბაღის მოვლის უზრუნველსაყოფად. მეორე წლიდან გათვალისწინებულია მოსავლის ამღები ტექნიკის შესყიდვაც.

შემდგომ საკითხს წარმოადგენს, მოსავლის სავარაუდო ოდენობების განსაზღვრა. მოსავლის რეალიზაციისათვის და დაბინავებისათვის საჭირო ტარა მასალების უზრუნველყოფას, რომელიც მოიცავს, როგორც სარეალიზაციო, შესანახად და კრეფისათვის განკუთვნილ სხვადასხვა მოცულობის ყუთებს. ბაღის მსხმოიარობაში შესვლის შემდგომ ხორციელდება, აგროდაზღვევის პროგრამით, მოსავლის დაზღვევა. განსაზღვრულია მოსავლის სამაცივრე მეურნეობაში შენახვის ოპტიმალური ვადები, წონის კლების კოეფიციენტი და სამაცივრე მეურნეობაში შენახვის ხარჯები.

დაშვებებში გათვალისწინებულია, რომ ვაშლის მოსავლის 6% იქნება არასტანდარტული (ე. წ. ნაქარი ვაშლი) მოსავალი. სარეალიზაციო ღირებულება გათვალისწინებულია 1კგ – 0.22 თეთრი. ბაზრის კონიუნქტურიდან გამომდინარე, სავარაუდოდ მოსავლის 10%–ის რეალიზაცია განხორციელდება უშუალოდ ბაღიდან, საოპერაციო ხარჯების ნაწილის დასაფინანსებლად და სარეალიზაციო ფასი გათვალისწინებულია 1კგ – 1.3 ლარი. დარჩენილი 84% დაბინავდება, არანაკლებ 5 თვის ვადით შემნახველ მეურნეობაში. შენახვის შემდგომ, აღნიშნული მოსავლის სარეალიზაციო ფასი შეადგენს, საშუალოდ: 1კგ – 2.2 ლარს. მოსავლის აღების ხარჯები დაანგარიშებულია საშუალოდ 1 კგ– 0.09 თეთრი. ასევე, გათვალისწინებულია ბაღის მოვლისათვის, სამაცივრე მეურნეობისათვის და მექანიზაციისათვის საჭირო თანამშრომელთა ზედნადები და ადმინისტრაციული ხარჯები. ყოველწლიურად გათვალისწინებულია ბაღისთვის global gap მინიჭების ყოველწლიური მომსახურების თანხა (2500 ევროს ექვივალენტი). დაშვებებში, მომდევნო წლებში სარეალიზაციო ვაშლის ფასი (არასტანდარტულის გარდა) გაზრდილია შემდეგი დაშვებით: გაშენებიდან მესამე წელს საწყისი ფასი გაზრდილია 4%–ით, მეოთხე–მეხუთე წლებში პირვანდელი ფასი გაზრდილია 5%–ით, მეექვსე–მეშვიდე წლებში პირვანდელი ფასი გაზრდილია 6%–ით, მერვე–მეათე წლებში პირვანდელი ფასი გაზრდილია 7%–ით. დაშვებაში მეორე წელს ვაშლის სრული მოსავალი გაიყიდება ბაღიდან, რადგან მეორე წელს მაცივრის მშენებლობა არ იქნება დასრულებული.


დაშვებებში გათვალისწინებულია მიზნობრივი დახმარების პროგრამებიდან, სახელმწიფო თანადაფინანსებით მიღებული სარგებელი (საშუალო მონაცემები):

- ვაშლის ბაღის გაშენებისთვის ნერგების შეძენასა და სარწყავი სისტემის უზრუნველყოფაში, სახელმწიფო თანამონაწილეობა შეადგენს მაქსიმუმ: 100,000 ლარს;
- ჭის/ჭაბურღილის მოწყობა: 18,800 ლარი;
- სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების მოწყობა: 106,475 ლარი (1 ჰა საშუალო ფასი 10,648 ლარი);
- საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა (მოიცავს ბაღში Global Gap სტანდარტის დანერგვას და ასევე, ბრენდირების მიმართულებით მხარდაჭერას) — 15,000 ლარი;
- მექანიზაციის პროგრამა: 70,000 ლარი მაქსიმალური

თანადაფინანსების ოდენობა, რომელიც მოიცავს ტრაქტორის და იმპლემენტების შესყიდვას;

- მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა: 150 000 ლარი მაქსიმალური თანადაფინანსების ოდენობა;
- შემნახველი სამაცივრე მეურნეობის შექმნა – აღნიშნული მიმართულებით სახელმწიფო თანადაფინანსება ხორციელდება, როგორც საგრანტო მიმართულებით, ასევე შეღავათიანი აგროკრედიტის პროცენტის თანადაფინანსების სახით. აღნიშნული მოცულობის ბაღის საჭიროებიდან გამომდინარე, 297,024 ლარის სახელმწიფო თანადაფინანსებაა შესაძლებელი ბენეფიციარმა მიიღოს, საშუალოდ 437 ტონის მოცულობის სამაცივრე ინფრასტრუქტურის შექმნისათვის;
- შეღავათიანი აგროკრედიტი – ა) პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი დაშვება, რომ ბაღის სრული გაშენებისა და ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო საკუთარ კაპიტალს, წარმოადგენს ბენეფიციარის მიერ კომერციული ბანკიდან აღებული შეღავათიანი აგროკრედიტი, მრავალწლიანი ბაღების გაშენების ქვეკომპონენტით (გარდა ქარსაცავი, მინდორდაცვითი ინფრასტრუქტურის შექმნისა). სესხი კომერციული ბანკის მიერ დამტკიცდება შემდეგი სავარაუდო პირობებით: სესხის თანხა: 1,284,846 ლარი, სესხის ვადა: 96 თვე, სესხის პროცენტი: 13%, მათ შორის სახელმწიფოს თანადაფინანსება 11%, 66 თვის მანძილზე. კაპიტალის დაფარვაზე საშეღავათო პერიოდი: 36 თვე. სულ სახელმწიფოს %-ის თანადაფინანსება 66 თვის მანძილზე 708,051 ლარს შეადგენს;
- შეღავათიანი აგროკრედიტი – ბ) პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი დაშვება, რომ ბაღის გაშენების მომდევნო წელს, შემნახველი სამაცივრე მეურნეობის შესაქმნელად და მექანიზაციის შესაძენად საჭირო საკუთარ კაპიტალს წარმოადგენს, ბენეფიციარის მიერ კომერციული ბანკიდან აღებული შეღავათიანი აგროკრედიტი. სესხი კომერციულ ბანკში დამტკიცდება შემდეგი სავარაუდო პირობებით: სესხის თანხა: 775,536 ლარი (შედგება 445,536 სამაცივრეს თანამონაწილეობა და 180,000 მექანიზაციის თანამონაწილეობა + 150,000 მოსავლის ამღები ტექნიკა), სესხის ვადა: 96 თვე, სესხის პროცენტი: 13%, მათ შორის სახელმწიფოს თანადაფინანსება 11%, 48 თვის მანძილზე. კაპიტალის დაფარვაზე საშეღავათო პერიოდი: 24 თვე. სულ სახელმწიფო %-ის თანადაფინანსება 321,180 ლარს შეადგენს;
- აგროდაზღვევა – ბენეფიციარს შესაძლებლობა აქვს მიიღოს აგროდაზღვევის პროექტში მონაწილეობა და მაქსიმუმ 5 ჰა-ზე დააზღვიოს მოსავალი. სახელმწიფოს წლიური თანამონაწილეობის თანხა 1 ჰა-ზე შეადგენს 1400 ლარს და წელიწადში 7,000 ლარს შეადგენს. ბენეფიციარის წილი 1 ჰა-ზე შეადგენს 600 ლარს;
- აღნიშნულ დაშვებებში არაა გათვალისწინებული მიწის შესყიდვის ღირებულება. დაშვების მიხედვით მიწა საკუთრებას წარმოადგენს და წლიური იჯარის თანხა 1 ჰა-ზე 85 ლარს შეადგენს;
- ჯამში 2 წლის მანძილზე 2,853,421 ლარი კაპიტალდაბანდებაა განსახორციელებელი საიდანაც 757,299 შეადგენს საგრანტო თანადაფინანსება (არ მოიცავს სესხის პროცენტის თანამონაწილეობას, რომელიც დამატებით შეადგენს – 1,029,231 ლარს 66 თვის მანძილზე და დაზღვევის შემოსავალს – 7000 ლარს ყოველწლიურად);
- აღნიშნული კაპიტალდაბანდების შედეგად, კომპანია 10 წლის მანძილზე შეძლებს 489,872 ლარის დღგ-ს აქტივის შექმნას;
- დაშვების მიხედვით გათვალისწინებულია მოგების გადასახადის 15% განაკვეთით დაბეგვრა, მაგრამ ესტონური მოდელიდან გამომდინარე, მოგების რეინვესტირების შემთხვევაში, შესაძლებელია არ მოუწიოს კომპანიას აღნიშნული გადასახადის გადახდა;
- კომპანიას მოუწევს პირველი 3 წლის საოპერაციო ხარჯების დასაფარად საკუთარი სახსრების ინვესტირება ჯამში 324,590 ლარის ფინანსური რესურსი;
- დაშვებას წარმოადგენს ასევე, რომ განხორციელდება საინვესტიციო თანხის (მოიცავს გრანტის თანხასაც) ყოველწლიური დისკონტირება 1% განაკვეთით.

პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV) შეადგენს 3,035,275 ლარს. პროექტის შიდა უკუგების განაკვეთმა (IRR) შეადგინა 20%, ხოლო გამოსყიდვის (უკუგების) პერიოდმა (Payback Period) კი 5.6 წელიწადი, რომელიც მოცემულია ცხრილში დანართად.



წყარო: ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

3. დასკვნა

საქართველოს კლიმატური პირობებიდან და ნიადაგის ტიპებიდან გამომდინარე ვაშლის ინტენსიური ჯიშების წარმოებას დიდი პოტენციალი გააჩნია. ვაშლის ინტენსიური ბაღების გაშენების ხელშეწყობა სხვადასხვა სახელმწიფო მხარდამჭერი პროგრამების/პროექტების გამოყენებით და ვაშლის წარმოების ტექნოლოგიების სრული დაცვის გათვალისწინებით საქართველოს ექნება დიდი პოტენციალი გაზარდოს ვაშლის საშუალო მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე. ვაშლის მოსავლიანოს ზრდასთან ერთად მნიშვნელოვანია, არსებული თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების გამოყენება სხვა ქვეყნებთან და ვაშლის საექსპორტო ბაზრის დივერსიფიცირება, რაც კიდევ უფრო გაზრდის მის კონკურენტუნარიანობას.

კვლევაში მოცემულ ფინანსურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, სახელმწიფო მხარდამჭერი პროგრამების/პროექტების გამოყენებით, ადგილობრივ ან უცხოელ ინვესტორს აქვს შესაძლებლობა აწარმოოს ვაშლის კულტურა, რომელიც ეკონომიკურად და ფინანსურად მომგებიანია.

ასევე, ინვესტორს გააჩნია შესაძლებლობები ვაშლის ღირებულებათა ჯაჭვის ნებისმიერ რგოლში განახორციელოს ინვესტიცია, მათ, შორის, ვაშლის ახალი ჯიშის ნერგების წარმოებაში, დამატებითი ღირებულების შესაქმნელად მომსახურების მიწოდებაში, წარმოების საშუალებების მიწოდებაში, გადამამუშავებელი დანადგარების და ტექნოლოგიების მიწოდებაში და სხვა.

აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის მიმართულებით, სხვადასხვა სახელმწიფო თანადაფინანსების პროექტების/პროგრამების განხორციელების გაგრძელება და მათი განვითარება დამატებით მოტივაციას გაუჩენს ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს, რაც კიდევ უფრო გაზრდის ქართული ვაშლის კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

Business Registration. (2021). Public Service Hall. http://psh.gov.ge

Fraser Institute. Economic Freedom Ranking. (2021). https://www.fraserinstitute.org/economicfreedom/map?geozone=-world&page=map&year=2019

Free Trade Regimes - Deep and Comprehensive Free Trade Agreement (DCFTA). (2021). https://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/countries/georgia/

Index of Economic Freedom. (2021). https://www.heritage.org/index/ranking

New Customs Code. (2021). https://www.rs.ge/; https://matsne.gov.ge/document/view/4598501?publication=0

NNLE Rural Development Agency. (2021). "Plant the Future" Project. https://rda.gov.ge/projects/read/plant_future/2:parent

NNLE Rural Development Agency. (2021). "Preferential Agrocredit" project. https://rda.gov.ge/projects/read/agro_credit/5:parent

NNLE Rural Development Agency. (2021). Agricultural Modernization, Market Access and Resilience (AMMAR) program. rda.gov.ge

NNLE Rural Development Agency. (2021). Agroinsurance Program. https://rda.gov.ge/projects/read/agroinsurance/4:parent

NNLE Rural Development Agency. (2021). Co-financing of Processing and Storage Enterprises project. http://enterprise.rda.gov.ge/?lang=en

NNLE Rural Development Agency. (2021). Industrial apple sale promotion program. https://rda.gov.ge/projects/read/industrial_apple_%20sale_%20promotion_%20program/7:parent

NNLE Rural Development Agency. (2021). State Co-financing Program of Agricultural Mechanization. http://agrotech.rda.gov.ge/

NNLE Rural Development Agency. (2021). State Program for Co-financing of Harvesting Agricultural Machinery. rda.gov.ge

Tax Code of Georgia. (2021). https://matsne.gov.ge/

Tax legislation - legal guide "Invest in Georgia". (2020). https://www.investingeorgia.org/en/

The World Bank Group. (2020). Ease of doing business in Georgia. https://www.doingbusiness.org/en/data/exploreeconomies/georgia

Zivzivadze, L., Taktakishvili, T., Zviadadze, E., & Machavariani, G. (2021). An Evaluation of Permanent Crops: Evidence from the "Plant the Future" Project, Georgia: Open Agriculture 6(1), 212-222. https://doi.org/10.1515/opag-2021-0012

პროფესორ იური ანანიაშვილს 70 წელი შეუსრულდა



გამოჩენილ ქართველ მეცნიერ–ეკონომისტს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორს, ჟურნალის „გლობალიზაცია და ბიზნესი“ სარედაქციო კოლეგიის წევრს იური ანანიაშვილს 70 წელი შეუსრულდა.

იური ანანიაშვილი დაიბადა 1951 წლის 6 მარტს ახალქალაქის რაიონის სოფელ კოთელიაში. 1968 კოთელიის საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ იგი წარმატებით აბარებს მისაღებ გამოცდებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე, მოგვიანებით აგრძელებს სწავლას საინჟინრო–ეკონომიკის ფაკულტეტზე. სპეციალობით „ეკონომიკური კიბერნეტიკა“. აღნიშნული სპეციალობა იმ დროისათვის იყო ერთ–ერთი ახალი მიმართულება ეკონომიკაში. უნივერსიტეტში სწავლის დამთავრების შემდეგ მას მიენიჭა ეკონომისტ–მათემატიკოსის კვალიფიკაცია.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში იური ანანიაშვილი, როგორც ერთ–ერთი წარჩინებული სტუდენტი, წინასადიპლომო ერთსემესტრიან პრაქტიკას გადის იმ დროისათვის მსოფლიოში ცნობილ სამეცნიერო–კვლევით ცენტრში მოსკოვის ცენტრალურ ეკონომიკურ–მათემატიკურ ინსტიტუტში. აქვე გაიარა მან ასპირანტურის კურსი ცნობილი მეცნიერის პროფესორ ე. ბარანოვის ხელმძღვანელობით. ამავე ინსტიტუტში მან დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ იური ანანიაშვილი მოღვაწეობას აგრძელებს მშობლიურ უნივერსიტეტში და მუშაობას იწყებს საინჟინრო–ეკონომიკური ფაკულტეტის ეკონომიკური კიბერნეტიკის კათედრაზე, ჯერ ასისტენტის, შემდეგ კი დოცენტის თანამდებობაზე. უკვე 1998 წელს იური ანანიაშვილმა წარმატებით დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „აგრეგირებული დარგთაშორისი კავშირების ეკონომიკურ–მათემატიკური მოდელირება“. 1999 წელს იგი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ხდება, 2006 წლიდან კი ხელმძღვანელობს ეკონომეტრიკის კათედრას.

იური ანანიაშვილი, როგორც პედაგოგი, პატივისცემით სარგებლობს სტუდენტებს შორის. მისი ლექციები და სემინარები ყოველთვის სტუდენტთა დიდ ინტერესს იწვევს. იგი აქტიურად მონაწილეობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო–სამეცნიერო ცხოვრებაში. მას მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ საერთაშორისო და ეროვნული დონის სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში.

პროფესორის სამეცნიერო ინტერესების ძირითადი სფეროს წარმოადგენს ეკონომიკურ–მათემატიკური მოდელირებისა და მაკროეკონომიკის პრობლემების კვლევა. მისი კვლევის შედეგები ასახულია 90–დე გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომში, მათ შორის არის 3 მონოგრაფია და 3 სახელმძღვანელო.

აღსანიშნავია, რომ მეცნიერთა ჯგუფთან ერთად პროფესორ იური ანანიაშვილს მიღებული აქვს საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის 2004 წლის სახელმწიფო პრემია ნაშრომთა ციკლისთვის: „მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები“.

ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ 2014 წლის სამეცნიერო ფორუმზე პროფესორი გახდა გამარჯვებული ნაშრომისთვის: „არადაკვირვებადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შეფასებისა და ანალიზის მოდელები“. ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო–პედაგოგიური მოღვაწეობისათვის პროფსორი იური ანანიაშვილი დაჯილდოებულია ღირსების ორდენითა და ივანე ჯავახიშვილის მედლით.

პროფესორ იური ანანიაშვილს ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. იგი კოლეგებს შორის სარგებლობს დამსახურებული პატივისცემით.

ვულოცავთ პროფესორ იური ანანიაშვილს სახელოვან 70 წლის იუბილეს, ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს სამეცნიერო–პედაგოგიურ მოღვაწეობასა და ყოველივე საუკეთესოს პირად ცხოვრებაში.

ჟურნალ „გლობალიზაცია და ბიზნესის“
სარედაქციო კოლეგია

რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო – პრაქტიკული ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“

ტექსტის კორექტორი: **ნინო ქერაშვილი**

დაკაბადონება: **ნიკა ხვედელიძე**

გარეკანის დიზაინი: **ლიზა ჯალაღონია**

თბილისი, 0141, დ. გურამიშვილის გამზ. №76

ტელეფონი: (+995 32) 2 000 171

(+995 599) 96 94 59

ფაქსი: (+995 032) 214 35 83

ელ–ფოსტა: info@eugb.ge

REFEREED AND PEER-REVIEWED INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL GLOBALIZATION & BUSINESS

Proof-reader: **Nino Kerashvili**

Page Make-up: **Nika Khvedelidze**

Cover Design: **Liza Jalaghonia**

76 D. Guramishvili ave, Tbilisi, 0141, Georgia

Phone: (+995 32) 2 000 171

(+995 599) 96 94 59

Fax: (+995 032) 214 35 83

E-mail: info@eugb.ge

